

# **საცხოვრებელი სადგომით საჩიტო დოკუმენტის ნართოვადილი ურთიერთობები**

კრეპულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძრვა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2017, №12**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)  
2017, №12**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)  
2017, №12**

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)  
2017, №12**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ზაზა ჯაფარიძე**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 299-04-18; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლები

## განხილვა

№ას-253-241-2016

15 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთ-  
ხოვა, საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

#### 1. მოსარჩელის/შეგებებული სარჩელის ავტორების მოთ- ხოვნა:

1.1. ვ. ა-მა (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი  
აღძრა სასამართლოში მ. მ-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებე-  
ბული სარჩელის ავტორი ან მონინაალმდეგე მხარე) მიმართ ქ.  
მცხეთაში, ჯ-ის ქ. №...-ში მდებარე სახლზე, კომპენსაციის გა-  
დახდის სანაცვლოდ მოსარჩელის საკუთრების უფლების აღია-  
რების მოთხოვნით. სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ოჯახთან  
ერთად 1985 წლის 28 მარტიდან რეგისტრირებულია და ცხოვ-  
რობს ზემოხსენებულ მისამართზე. უძრავი ქონების მესაკუთ-  
რეს წარმოადგენდა ნ. ა-ი, რომელთანაც მოსარჩელეს დადებუ-  
ლი ჰქონდა საცხოვრებელ სადგომზე უფლების დათმობის შე-  
სახებ გარიგება, ამასთანავე, მოსარჩელე იხდის კომუნალურ  
გადასახადებას. ქონების დღევანდელ მესაკუთრეს წარმოად-  
გენს მოსარჩელის ძმის ცოლი.

1.2. მოპასუხე მხარემ შეგებებული სარჩელით მიმართა სა-  
სამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის, ასევე გ. ე-ის, ქ. და ვ.  
ა-ების მიმართ მოპასუხეთა მფლობელობიდან ქ. მცხეთაში, ჯ-  
ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების გამოთხოვის თაობაზე.  
შეგებებული სარჩელის თანახმად, მ. მ-ს უძრავი ქონება საკუთ-  
რებაში გადაეცა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, თავ-  
დაპირველი მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები „საცხოვრე-  
ბელი სადგომით სარგებლობისას წარმოაშობილ ურთიერთობა-  
თა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მართლზო-  
მიერ მფლობელებს არ წარმოადგენენ.

#### 2. მოპასუხების პოზიცია:

**2.1.** კვალიფიციური შესაგებლით თავდაპირველმა მოპასუხებულმა არ ცნო სარჩელი და აღნიშნა შემდეგი: მოსარჩელე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა მშობლების სახლში ქ. მცხეთაში, ა-ის №...-ში, მათთან ერთად ცხოვრობდა მისი ძმა ა. ა-იც. ოჯახის წევრებს შორის არსებული უსიამოვნების გამო, ა. ა-მა მათ ნება დართო, დროებით ეცხოვრათ მამიდის სახლში, ქ. მცხეთაში, ი. ჯ-ის №...-ში. ა.ს თხოვნის საფუძველზე მამიდამ, ნ. ა-მა, თავისუთან საცხოვრებლად შეუშვა მოსარჩელე და მისი ოჯახი. კომუნალური გადასახადის გადამხდელებადაც ისინი აღირიცხნენ, რადგან, ფაქტობრივად, ამ მისამართზე ცხოვრობდნენ და ისინი სარგებლობდნენ ამ მომსახურებით. ნ. ა-ისათვის თანხა არ გადაუხდიათ, მას მუდმივად პატრონობდა და მატერიალურად ეხმარებოდა ანდერძისმიერი მემკვიდრე ა. ა-ი. მამიდის გარდაცვალების შემდგომ მოსარჩელემ, ა. ა-ის თანხმობით, გააგრძელა ცხოვრება სადაცვო სახლში, ხოლო ა. ა-ი ოჯახთან ერთად ცხოვრობს მშობლების სამკვიდრო სახლში, რომლის ნახევარი მემკვიდრეობის გზით ეკუთვნის მოსარჩელეს.

**2.2.** შეგებებული სარჩელი არ ცნეს მოპასუხებმა იმ საფუძვლით, რომ ისინი წარმოადგენენ სადაცვო ქონების მართლზომიერ მფლობელებს, ჩაწერილები არიან მითითებულ მისამართზე, რეგისტრირებული არიან კომუნალური გადასახადების გადამხდელად, ამასთან, 1995 წელს თავდაპირველმა მოსარჩელემ სანოტარო ფორმის დაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა ნივთის მესაკუთრესთან, რასაც ესწრებოდა მისი მეუღლე. მიუხედავად ქონების მესაკუთრესთან გაფორმებული გარიგებისა, მისოთვის ცხობილი გახდა, რომ 1988 წელს შედგენილი ანდერძის საფუძველზე უძრავი ქონება დარეგისტრირდა ა. ა-ის საკუთრებად.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ვ. ა-ის, ქ. ა-ის, ვ. ა-ის, გ. ე-ის მფლობელობიდან გამოთხვილ იქნა მცხეთაში, ჯ-ის №...-ში მდებარე 460 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე საცხოვრებელი სახლი.

#### **4. აპელანტების მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასასჩივრება გ. ე-მა, ვ., ქ. და ვ. ა-ებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო თავდაპირველი სარჩე-

ლის სრულად დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 26 იანვრის განჩინებით სააპელაციო სა-ჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვე-ტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-ასაჩივრა ვ. ა-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვე-ტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია შემ-დეგ გარემოებათა გამო:

##### **1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-ხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნე-ლოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-სებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქ-მე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რო-მელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშ-ნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც სა-კასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასა-ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო სა-ჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითე-ბული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

1.2.1. კასატორი 1985 წლის 23 მარტიდან რეგისტრირებუ-ლია მისამართზე: ქ. მცხეთა, ჯ-ის ქ. №.... ამავე მისამართზე 2002 წლის 13 ნოემბრიდან რეგისტრირებულია ვ. ა-ი, 2005 წლის სექ-

ტემბრიდან – ქ. ა-ი, ხოლო გ. ე-ი 2005 წლის 12 ოქტომბრიდან რეგისტრირებულია მცხეთაში, დ.ა-ის ქ. №...-ში. ქ. მცხეთაში, ი. ჯ-ის ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კომუნალური მომსახურების აპონენტია ვ. ა-ი.

1.2.2. მ. მ-სა და ა. ა-ს შორის 2014 წლის 10 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ქონების მესაკუთრეა მ. მ-ი, კერძოდ, 2014 წლის 10 ივნისს ა. ა-სა და მ. მ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, ა. ა-მა მ. მ-ს აჩუქა სადავო მისამართზე მდებარე 460 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №... და №....

1.2.3. მხარეთა შორის არ არსებობს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას ნარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგლამენტირებული ურთიერთობა. ვ. ა-ი 1985 წლის 28 მარტიდან ჩაენერა მამიდის სახლში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბინის თავდაპირველი მესაკუთრის მიერ მოსარჩელის საცხოვრებელ სადგომში ჩაენერა განხორციელდა როგორც მისი ნათესავის და არა გარიგების საფუძველზე, მხარეთა ურთიერთობა წარმოადგენდა არა საცხოვრებელი სადგომის დათმობის გარიგებას, არამედ, ასახავდა ერთი ოჯახის წევრებს შორის არსებულ ურთიერთობას. კომუნალურ გადასახადებს მოსარჩელე იხდიდა, როგორც ნ. ა-ის ოჯახის წევრი და არა როგორც მითითებული კანონიდან გამომდინარე საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლე.

1.2.4. შეგებებული სარჩელის ავტორს სადავო ნივთზე გააჩნია საკუთრების უფლება და იგი შეზღუდული არ არის თავდაპირველი მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების მიერ ქონების მართლზომიერი ფლობის უფლებით.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და და-

**საბუთებული პრეტენზია (შედავება).**

1.4. საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების საფუძველი ვერ გახდება კასატორის ის პრეტენზია, რომლის თანახმადაც სასამართლომ კასატორი საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლედ არასწორად არ მიიჩნია, შესაბამისად, არასწორად შეაფასა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ცნობა, კასატორის მიერ ქონებით მართლზომიერი სარგებლობისა და კომუნალური გადასახადების გადამხდელად რეგისტრაციის ფაქტი. საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციას კასატორი „უკავშირებს ქონების მიდროინდელი მესაკუთრის მიერ სარგებლობის უფლების დათმობას და აღნიშნავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონი ნათესავებს შორის ურთიერთობას არ არეგულირებს. კასატორის ამ ძირითად პრეტენზიასთან მიმართებით პალატა აღნიშნავს, რომ ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა დავის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე სწორედ ვ. ა-ის მიერ სადაცოდ გამხდარი ფაქტებისა და მტკიცებულებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ კვლევას ემყარება, ამასთანავე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. რაც შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის საკითხს, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება ასევე სწორად ემყარება სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლებს, ხოლო განჩინების ფაქტობრივი დასაბუთების თაობაზე კასატორს პრეტენზია არ წარმოუდგენია.

1.5. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაამე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივრის არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისაგან (იხ. სუსკ №ას-1033-1226-08, 28 მაისი, 2009 წელი).

1.6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასა-  
მართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივა-  
რი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

## 2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი  
ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბა-  
ჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-  
უშვებლობის გამო.
2. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფ-  
ლებულია.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლე

### განხილვა

№ას-347-332-2016

30 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთ-  
ხოვა (სარჩელში), კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, საც-  
ხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა (შეგებებულ სარ-  
ჩელში)

## აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. ა-ას (შემდგომში: მოსარჩელე) საკუთრებაში აქვს ქ. თბი-

ლისში, ჩ-ის ქუჩა №26-ში მდებარე უძრავი ქონების (შემდგომში: სადაცვო ბინა) 1/4 ნაწილი; ხოლო ი. რ-ის (შემდგომში: მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, კასატორი) საკუთრებაშია იმავე მისამართზე მდებარე უძრავი ქონების 1/8 ნაწილი. (სამოქალაქო კოდექსის, შემდგომში სსკ-ის, 311.1 მუხლი).

2. მოსარჩელე 1992 წლიდან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, საქართველოში არ იმყოფებოდა და მის კუთვნილ ქონებას ამავე წლიდან, სარჩელის აღმდეგის დრომდე, მოპასუხე ფლობს. (სსკ-ის 155.1 მუხლი).

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელემ მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვის მოთხოვნით. (სსკ-ის 172-ე მუხლი).

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებულ სარჩელში მიუთითა, რომ იგი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლეს წარმოადგენს და სადაცვო საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის მოსარჩელისთვის გადახდის შემდგომ, მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობას ითხოვს. („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მეექვსე პუნქტი; საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი 1998 წლის 25 ივნისის რედაქცია).

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვის თაობაზე დაკმაყოფილდა; შეგებებული სარჩელი, თანხის გადახდის სანაცვლოდ ი. ა-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობის შესახებ, არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 170-ე, 172-ე, 159-ე, 162-ე მუხლებით და საქართველოს კანონით „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“. სასამართლომ განმარტა:

5.1. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, ან ადმინისტრაციული აქტით. ამავე

კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციითა და კომუნალური გადასახადების გადახდით ან/და მესაკუთრისთვის გარკვეული საფასურის გადახდით (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ (შეგებებულმა მოსარჩელებმ) ვერ დაადასტურა, რომ იგი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლეს წარმოადგენს. ამ გარემოების დამტკიცებას მხარე მოწმის სანოტარო წესით დამოწმებული წერილობითი ჩვენების საფუძველზე ცდილობს, რაც სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან მოწმე სასამართლოს მიერ გამოკითხული უნდა იქნეს სასამართლო სხდომაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით. სასამართლომ, აგრეთვე, არ გაიზიარა მოპასუხის რეგისტრაციის ფაქტი, როგორც ეს მოსარგებლის სტატუსის დამდგენი გარემოება, ვინაიდან მისი რეგისტრაცია უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მოპასუხე ამ მისამართზე მდებარე სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს და წლების მანძილზე ცხოვრობს იქ.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

6.1. მოპასუხემ მოხსნა მოწმის დაკითხვის შუამდგომლობა, რადგან მოსარჩელემ სხდომაზე დაადასტურა, რომ მოპასუხე მის საკუთრებას 1992 წლიდან ფლობს. სხვა შემთხვევაში, მოწმე დაადასტურებდა, რომ მოპასუხე სადავო ბინას მოსარჩელის გარდაცვლილ დედისთვის გარკვეული თანხის გადახდის საცვლოდ დაუუფლა და თვითნებობას ადგილი არ ჰქონია.

6.2. მოპასუხე 1992 წლიდან იხდის კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ 1996 წლამდე გადახდილი ქვითრების წარმოდგენა ვერ მოახერხა, რადგან სადავო ბინაში მოქირავნეები ცხოვრობდნენ და ისინი იხდიდნენ ყველანაირ გადასახადს, თუმცა, ლოგიკურია, რომ თუკი მოპასუხე 1992 წლიდან სარგებლობს სადავო ქონებით, კომუნალური გადასახადებიც გადახდილი ექნება.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-

და, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა;

8. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, არ დადგინდა, რომ მოპასუხე სადაც საცხოვრებელი სადგომის იმ მოსარგებლეს ნარმოადგენს, რომელსაც მფლობელობის უფლება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით აქვს მიღებული. შესაბამისად, არ არსებობს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ, მართალია, მოპასუხე 1972 წლიდან რეგისტრირებულია და ცხოვრობს სადაც მისამართზე, თუმცა იგი ამავე მისამართზე მდებარე უძრავი ქონების სხვა ნაწილის მესაკუთრეს ნარმოადგენს და, ამდენად, გარიგება, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, ვერ დადასტურდება მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტით.

9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ნებით გაასაჩივრა მოპასუხებ შემდეგი საფუძვლებით:

10.1. სასამართლომ არასწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას ნარმობობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტი და არასწორად დაადგინა, რომ კასატორმა ვერ დაადასტურა შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა. იგი რეგისტრირებულია სადაც ქონების მისამართზე 1972 წლიდან, რაც სასამართლომ ცნო კიდეც დადგენილად, თუმცა კასატორი დაავალდებულა, ნარმოედგინა ქვითრები, რაც ვერ შეძლო, რადგან გადასახადებს იხდიდნენ აღნიშნულ ფართში იმ დროისთვის მცხოვრები მოქირავნები. სასამართლოს ლოგიკურად უნდა მიეჩნია, რომ თუკი მოპასუხე 1992 წლიდან სარგებლობს სადაც ქონებით, კომუნალური გადასახადებიც გადახდილი ექნება.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნარმოებაში იქნა მიღებული, სსკ-ს 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ის არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს და დაუშევებელია შემდეგი გარემოებების გამო:

14. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში და-

საშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. აღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

15. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძვლით.

16. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული არ არის მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ არსებითად სწორია.

17. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან.

18. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ პირი მოსარგებლედ უნდა ჩაითვალოს მისამართზე მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტით და განმარტავს შემდეგს: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის (იგულისხმება საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია) 1<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად, ფაქტობრივად, ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. კასატორი აცხადებს, რომ მოსარჩელის დედასთან დადო

გარიგება და სადგომით სარგებლობის უფლება თანხის გადახდის სანაცვლოდ მიიღო. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებითი: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციით და კომუნალური გადასახადების გადახდით ან/და მესაკუთრისთვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდით (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა)“. მოყვანილი დანაწესი იმპერატიული შინაარსისა და ადგენს, რომ რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდის ფაქტი ერთად უნდა არსებობდეს, რათა სასამართლომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება დაადგინოს.

19. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კასატორმა კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები ვერ წარმოადგინა. ის ფაქტი, რომ კასატორი რეგისტრირებულია სადავო ქონების მისამართზე, არ ქმნის შეგებებული სარჩელის დაკავყოფილების საფუძველს, ვინაიდან მითითებულ მისამართზე კასატორი რეგისტრირებულია და ცხოვრობს 1972 წლიდან როგორც ამავე მისამართზე მდებარე სხვა ქონების მესაკუთრე და არა როგორც სადავო ქონების მოსარგებლე. აღნიშნულთან მიმართებით დადგენილია სასამართლო პრაქტიკაც (იხილეთ სუსგ №ას-772-733-2013; №ას-1071-1101-2011; №ას-322-306-2011).

20. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას კასატორის საკასაციო საჩივრი, რის გამოც საკასაციო საჩივრის უნდა ეთქვას განხილვაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 7.2, 257.1, 264.3, 391-ე მუხლებით, 401-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და

### **და ადგინოს:**

1. ი. რ-ის საკასაციო საჩივრი, როგორც დაუშვებელი, დარ-

ჩეს განუხილველად;

2. კასატორ ი. რ-ეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300.00 ლარის, საგადახდო დავალება №2, გადახდის თარიღი 22.04.2016) 70% – 210.00 ლარი;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლები

### განხილვა

№ას-460-442-2016

2 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანამესაკუთრედ ცნობა (ძირითად სარჩელში), უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტა (შეგებებულ სარჩელში)

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ც. კ-ა (შემდეგში: მოსარჩელე, პირველი მოპასუხე შეგებებულ სარჩელში, აპელანტი ან კასატორი) 1967 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა რ. კ-თან (შემდეგში: მოსარჩელის მეუღლე). თანაცხოვრების პერიოდში მეუღლებს შეეძინათ ერთა შვილი – მ. კ-ი (შემდეგში: მოსარჩელის შვილი, მეორე მოპასუხე შეგებებულ სარჩელში ან აპელანტი).

2. მეუღლები 1975 წელს განქორწინდნენ და ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოს იმავე წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე მცირენლოვან შვილთან ერთად შეასახლეს ქ. ბათუმში, კ-ის ქ. №36-ში (ამჟამად ჯ-ის//.. №10/34ა) მდებარე ბინაში, რომელიც მოსარჩელის მეუღლის საკუთრება იყო.

3. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმების სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით ბათუმის სასამართლოს 1975 წლის გადაწყვეტილება შეიცვალა და მოსარჩელეს შვილთან ერთად გადაეცა საცხოვრებლად ვარგისი

27 კვ.შ. ფართის ოთახი კ-ის ქ. №36-ში (ამჟამად ჯ-ის/.. №10/34ა), ხოლო დამატებითი სათავსოები დარჩა საერთო სარგებლობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მოსარჩელე საქმის განხილვის დროსაც ამავე ფართში ცხოვრობს.

4. მოსარჩელის მეუღლემ 1978 წლს ბინა მიჰყიდა მ. ა-ას, რომელმაც შემდეგ ბინა გაუცვალა ჟ. ვ-ეს. ამ უკანასკნელმა კი, 1979 წლის 6 ივლისს, ჩუქების ხელშეკრულებით, უძრავი ქონება გადასცა ნ. ხ-ს. 1981 წლის 6 აგვისტოს, ჩუქების ხელშეკრულებით, ნ. ხ-მა მის საკუთრებად რიცხული საცხოვრებელი ბინა – 139.80 კვ.მ. საკუთრებაში გადასცა მ. ხ-ს (შემდეგში: ბინის მესაკუთრე, მოსარჩელე შეგებებულ სარჩელში, მოპასუხე, აპელაციი ან შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორი). საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით, ამ უკანასკნელის საკუთრებას წარმოადგენს დასახელებული უძრავი ქონება.

5. შპს „დ-ის“ 2015 წლის 18 მაისის დასკვნის თანახმად, სადაც უძრავი ქონების 1 კვ.მ. ფართის ღირებულებაა 785 აშშ დოლარი.

6. მოსარჩელემ 2015 წლის 19 მაისს სარჩელი ალდრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა, ამ უკანასკნელის სახელზე, 1981 წლის 10 აგვისტოს გაცემული სახლმფლობელობის ტექ-პასპორტში მითითებული №6 ოთახის, ფართით 27 კვ.მ. მესაკუთრედ ცნობა და დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საპაზრო ღირებულების 10%-ის უძრავი ქონების მესაკუთრისათვის გადახდით, მის მფლობელობაში არსებული ქონების აღრიცხვა საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში.

7. მოსარჩელისა და მისი შვილის წინააღმდეგ შეტანილი შეგებებული სარჩელით მოპასუხებ (მესაკუთრემ) მოითხოვა, მის საკუთრებაში არსებული ბინიდან 27 კვ.მ. ფართზე, მოსარჩელისა და მისი შვილის სარგებლობის უფლების შეწყვეტა, ამ ფართობის საპაზრო ღირებულების 75%-ის ანაზღაურების სანაცვლოდ.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის გახმობის თაობაზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 83<sup>1</sup> მუხლი); დაკმაყოფილდა, ამ საფუძვლით მოპასუხის (მესაკუთრის) წინააღმდეგ აღძრული სარჩელი დარჩა განუხილველი.

9. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხის (მესაკუთრის) შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ გა-

დაწყვეტილების მიღებისას მიუთითა, რომ მოსარჩელები არ ნარმოადგენენ იმ პირებს, რომლებიც „საცხოვრებელი სადგო- მით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მიღე- ბის მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლო- ბენ საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორ- მის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელ- შეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღე- ბული აქვთ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. მოსარჩელები სადავო ფართში შესახლებული არიან სასამარ- თლოს გადაწყვეტილებით.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარეები.

11. სააპელაციო საჩივრით მოსარჩელემ და მისმა შვილმა გა- საჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწ- ყვეტილების მიღებით, სათანადო კომპენსაციის გადახდის სა- ნაცვლოდ, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა მოითხოვეს შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

11.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გა- რემოებები და შესაბამისად არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. აპელანტები აღნიშნავენ, რომ საქალაქო სასამართლომ არას- წორად ცნო მოსარჩელე კანონგარეშე მოსარგებლედ, მიუხე- დავად იმისა, რომ ბინის მესაკუთრე (მოპასუხე) აღიარებდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურ- თიერთობის შესახებ სამართლებრივ ურთიერთობას და მხარე- თა შორის სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მოსარჩელე სადავო ფართის კანონიერი მოსარგებლეა;

11.2. საქალაქო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 131-ე და 132-ე მუხლები, ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არ უნდა დარეგუ- ლირებულიყო მხარეთა შორის ურთიერთობა ამ განჩინების მე- 9 პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონის საფუძველ- ზე;

11.3. სასამართლო გასცდა მოსარჩელის მოთხოვნას, რაც დასტურდება იმით, რომ მხარეები აღიარებდნენ მათ შორის არ- სებულ სამართლებრივ ურთიერთობას, სადავოდ ხდიდნენ მხო- ლოდ კომპენსაციის ოდენობას და არა სამართლებრივი ურთი- ერთობის არსებობას. საქალაქო სასამართლომ მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხის გადაწყვეტის ნაცვლად, ორივე- სათვის მიუღებელი გადაწყვეტილება მიიღო.

12. მოპასუხებ (მესაკუთრე) სააპელაციო საჩივრით მოით-

ხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, სათანადო კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ მოსარჩელისა და მისი შევილის სარგებლობის უფლების შეწყვეტა ფართობზე. მოპასუხემ შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე მიუთითა:

12.1. კანონით პირს მაშინ წარმოეშობა მესაკუთრისგან ბინის საკუთრებაში გადაცემის უფლება გარკვეული ანაზღაურებით, თუ მესაკუთრე მოითხოვდა მის გამოსახლებას კანონით განსაზღვრული თანხის გადაუხდელად. მოცემულ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელით მოთხოვნილია სადაცვო ფართობის საპაზრო ღირებულების 75%-ის ანაზღაურების სანაცვლოდ, მის მოსარგებლეთა სარგებლობის უფლების შეწყვეტა, რაც შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია;

12.2. საქალაქო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სადაცვო ბინაში 10 წელზე მეტია არ იმყოფება მოსარჩელის შვილი და იგი ოჯახთან ერთად სხვა მისამართზე ცხოვრობს, თუმცა, რეგისტრირებულია სადაცვო ფართში;

12.3. სადაცვო ფართში სასამართლოს გადაწყვეტილებით შესახლებული მოსარჩელები წარმოადგენენ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შესახლებულ პირებს, ვინაიდან ისინი იძულებითი წესით, მესაკუთრის ნების სანინაალმდეგოდ იქნენ შესახლებული მის საცხოვრებელ ბინაში, რის საფუძველზეც წარმოეშვათ უფლება, ესარგებლათ სხვისი საკუთრებით. ამასთან, ქვემდგომ სასამართლოს არ უმსჯელია, თუ რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტად. თუ სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ აქტად იქნება მიჩნეული, მაშინ სახელმწიფოა ვალდებული, გარკვეული თანხა გადასცეს მოსარჩელებს სადაცვო ფართით სარგებლობის შეწყვეტისათვის. მესაკუთრემ თვითონვე შეთავაზა მოსარჩელებს 27 კვ.მ. ფართის ღირებულების 75%-ის, 16 000 აშშ დოლარის გადახდა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ უკანონოდ არ დაკმაყოფილა.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 მარტის განჩინებით მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

14. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა შეეხო საქმეში წარდგენილ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, მესაკუთრის უფლების უვადოდ შეზღუდვას, რის

შემდეგაც, ყოველი მომდევნო მესაკუთრის ხელში, ისეთივე მდგომარეობაში გადავიდა ნივთი, როგორც იგი იყო იყო წინა მესაკუთრის ხელში; შეგებებული სარჩელის მოპასუხეები (მოსარჩელე და მისი შვილი) არ წარმოადგენენ სპეციალური კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლები პირებს, შესაბამსად, კონკრეტულ სადაც ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება მითითებული კანონი.

15. სპეციალური კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც კონკრეტულ სამართლებრივ მოწესრიგებას ასახავს. სასამართლომ იმსჯელა, რომ მესაკუთრესა და შეგებებული სარჩელის მოპასუხებს შორის ურთიერთობა არანაირ სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას არ საჭიროებდა, რადგან იგი უკვე მოწესრიგებული და დარეგულირებული იყო (და არის) ყველაზე სანდო და მყარი სამართლებრივი აქტით – სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

16. სპეციალური კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად, ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს, მესაკუთრესთან, სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე, დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადაც საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა).

17. სასამართლომ განმარტა, რომ სადაც ფართობთან დაკავშირებული ურთიერთობა არ უნდა დარეგულირებულიყო მითითებული კანონით, რადგან კანონის ნორმათა მოქმედება განპირობებულია საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრისა და მოსარგებლის საერთო უფლებიდან, თითოეულის მართლზომიერი ინტერესის დაკავშირებული საჭიროებით, ანუ ეს ის ურთიერთობაა, როცა მიუხედავად პირის მესაკუთრედ ყოფნის ფაქტისა და საკუთრების უფლების თითქმის აბსოლუტური ბუნებით.

ბისა, ამ კანონის საფუძველზე არსებული საკუთრება მაინც უფლებრივად ნაკლის მქონეა და იგი შეზღუდულია მოსარგებლის უფლებით.

18. განსახილველ შემთხვევაში, მხარეებს შორის არ არსებობს კანონით გათვალისწინებული არც ერთი შემთხვევა: არც ფორმადაცველი ნასყიდობა, არც უფლების დათმობის გარიგების დადგება. მოსარჩევებმ და მისმა შვილმა სადაც ფართზე სარგებლობის უფლება მოიპოვეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

19. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდეგში სტაჟი) მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი; ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად კი, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრძელვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

20. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმასაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

21. საზოგადოებრივ ურთიერთობაზე სამართლის ზემოქმედების ინსტრუმენტს წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლება, როგორც გარკვეული შესაძლებლობებით აღჭურვილი სასამართლო ორგანოთა სისტემა, სახელმწიფო ხელისუფლების ერთ - ერთი განშტოებაა. სასამართლო ხელისუფლება განსაკუთრებული და გამორჩეულია, რადგან მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობას აქვს კონკრეტული (უბირატესად ინციდენტური, დაგვასთან, კონფლიქტთან დაკავშირებული) ხასიათი. ამ საქმიანობას სასამართლოები განსაკუთრებული პროცესუალური ფორმით ახორციელებენ. ყო-

ველივე ეს კი სასამართლო ხელისუფლების, როგორც დამოუკიდებელი განმტოვების არსებობის დასტურია.

22. სასამართლო ხელისუფლება განიმარტება, როგორც სასამართლოებისა და სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებათა დამოუკიდებელი სახელმწიფო სისტემა, რომელიც კანონით დადგენილი პროცესუალური ფორმით ახორციელებს სასამართლო კონტროლს, განიხილავს და წყვეტს სოციალურად მნიშვნელოვან სამართლებრივი ხასიათის დავებს (კონფლიქტებს), ადგენს იურიდიულ ფაქტებს და ა.შ. სასამართლოს გადაწყვეტილება არის აქტი, (მაგრამ არა ადმინისტრაციული, ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ან ქრესტომათიული განმარტებით), რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ის არამც და არამც არ წარმოადგენს წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტში მითითებული სპეციალური კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ აქტს.

23. ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და, მეორე მხრივ, კერძო სამართლის სუბიექტს შორის ურთიერთობის მოსახლესრიგებლად შექმნილი აქტი, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, რომ კერძო სამრთლის სუბიექტმა, პირმა მოიპოვოს სარგებლობის უფლება საცხოვრებელ სადგომზე, რომელიც არ არის კერძო საკუთრება. ასეთ შემთხვევაში, ლოგიკურია, სპეციალური კანონის დათქმა, რომ, თუ პირი საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობას ახორციელებს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, მაშინ მოპასუხე სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფო.

24. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება (რომლითაც მოსარჩევები და მისმა შვილმა მოიპოვეს სარგებლობის უფლება საცხოვრებელ სადგომზე) მიღებულია კერძო სამართლის სუბიექტთა შორის არსებულ სრულიად კონკრეტულ დავაზე, რომელშიც სადაცო უძრავი ქონება წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, მონაწილე ორივე მხარე იყო კერძო სამართლის სუბიექტი, ფიზიკური პირი; ერთი მხრივ, უძრავი ქონების მესაკუთრე ფიზიკური პირი და, მეორე მხრივ, უძრავი ქონების სარგებლობის უფლების მომპოვებელი ფიზიკური პირი. შესაბამისად, უსაფუძვლო მსჯელობა იმის შესახებ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება (მიღებული კერძო სამართლის სუბიექტთა შორის, კერძო საკუთრებაზე არსებულ დაგაზე) გავუთანაბროთ ადმინისტრაციულ აქტს, რომლის ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც იღებს ვალდებუ-

ლებას სახელმწიფო ქონებაზე სარგებლობის უფლება მიანიჭოს პირს.

25. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ დასკვნა, რომ მხარეებს შორის არ დადებულა კანონით გათვალისწინებული ფორმადაუცველი ნასყიდობის, ან უფლების დათმობის გარიგება, ამასთან, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული აქტიდან.

26. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

27. მოსარჩელემ (პირველი კასატორი) მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

27.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა და არასწორად განმარტა კანონი. სასამართლოს მსჯელობა, თითქოსდა მხარეებს შორის აღვილი არ ჰქონია სპეციალური კანონით გათვალისწინებულ არც ერთ შემთხვევას უსაფუძვლოა, რადგან მოპასუხე აღიარებს ასეთ ურთიერთობას, მეტიც, მან სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ ახსნა-განმარტებაში, აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე სასამართლო გადაწყვეტილებით იყო შესაბლებული სადავო ფართში, მესაკუთრემ, ოჯახის წევრებთან ერთად, დართო წება, ეცხოვრა სადავო ფართში და მიაღწიეს კიდევ გარკვეულ შეთანხმებას თანაცხოვრების შესახებ;

27.2. ახალ მესაკუთრესთან გარკვეული შეთანხმება ადასტურებს, რომ სახეზეა სპეციალური კანონის საფუძველზე წარმომბილი ურთიერთობა;

27.3. სასამართლომ არ გაითვალისწინა მხარის ახსნა-განმარტება, რითაც დაარღვია სსკ-ის 102-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 131-ე-132-ე მუხლების მოთხოვნები.

28. მესაკუთრემ (მეორე კასატორი) შეგებებული საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, შეგებებული სარჩელის დაქმაყოფილება, შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

28.1. სადავო ფართში სასამართლო გადაწყვეტილებით შესახლებული პირი ითვლება ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შესახლებულად, რადგან იგი იძულებითი წესით, მესაკუთრის წების სანინააღმდეგოდ იქნა შესახლებული. სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ დაასაბუთა, რატომ არ შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ

სამართლებრივ აქტად და აღნიშნულს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება;

28.2. სასამართლო გადაწყვეტილება თუ ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვლება, სადაც ფართით სარგებლობის შეწყვეტისას, სახელმწიფო ვალდებული, მოსარგებლეს აუნაზღაუროს თანხა. მოპასუხე მოსარჩევლეს სთავაზობს 27 კვ.მ. ფართის ორებულების 75%-ს, რაც დაახლოებით 16 000 აშშ დოლარს შეადგენს და სახელმწიფოსაგან არაფერს მოითხოვს.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 2 ივნისისა და 1 ივლისის განჩინებებით საკასაციო საჩივრები წარმოებაში მიიღო, სსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 28 ივლისის განჩინებით, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის სამართლებრივი დასაბუთებულობის შესამოწმებლად ზეპირი მოსმენა დანიშნა 30 აგვისტოს.

30. საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 30 აგვისტოს სხდომაზე მხარეებს სასამართლომ შესთავაზა მორიგების ფარგლებში საკუთარი პოზიციების წარმოჩენა (იხ. სხდომის ოქმი). მხარეთა მოთხოვნით, მათ მიეცათ ვადა მორიგების პირობების შესათანხმებლად და განემარტათ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტდა საკასაციო განაცხადების დასაშვებობის საკითხს სსკ-ის 391-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების შემოწმების საფუძველზე.

31. კასატორებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მოსაზრება მორიგების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საზიდოების დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს სსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ ისინი დაუშვებელია, შემდეგი არგუმენტაციით:

32. სსკ-ის 391-ე მუხლის მეტუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი.

ვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სა-აპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავ-დეს და ეფუძნებოდეს.

33. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხ-ლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძ-ვლით.

34. საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განხსხვავების არსებობის საფუძ-ვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განხსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამარ-თლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგები: №ძას-1043-978-2012. 04.03.2014.; №ძას-836-784-2012, 27.04.2016.; №ძას-580-551-2015. 27.04.2016.).

35. საკასაციო საჩივრების განხილვისა და საკასაციო სასა-მართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არ-სებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სა-სამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-საზრისით.

36. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სა-ჩივრები დასაშვებიც რომ ყოფილიყო, მათ არა აქვთ წარმატე-ბის პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განხსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეტაურე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასა-ციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედ-ვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასა-მართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცე-სო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქ-მის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოე-ბები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წა-მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენ-ზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

37. საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები: მოსარჩელე და მოპასუხე არ არიან წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონის სუბიქტები, ამასთან, აღსანიშნავია, რომ მესაკუთრის (მოპასუხის) საკუთრების უფლება შეზღუდულია სასამართლოს აქტით, რომლითაც მოსარჩელეები შეისახლეს სადავო ფართში (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი). მიუხედავად იმისა, რომ არსებული ნორმატიული მოწესრიგება ხელყოფს მესაკუთრის უფლებას, მოსარჩელეები, რომლებიც მართლზომიერად ფლობენ სადავო ფართს, გამოსახლებული ვერ იქნებიან, რადგან შეუძლებელია აღნიშნულის განხორციელება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების გარეშე.

38. საკასაციონ სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ სადავო სამართალურთიერთობის გადასაწყვეტად, მესაკუთრის უფლების დასაცავად არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით დადგენილი მოწესრიგების გამოყენებაა შესაძლებელი იმავე მიზნით, რომ მოსარჩელეები სასამართლო აქტით არიან შესახლებული და მათ მიერ სადავო ფართობის ფლობის საფუძველი მართლზომიერია.

39. ზემოხსენებული სამართლებრივი მოტივაციით, არ არსებობს საკასაციონ საჩივრების დასაშვებად ცნობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წინაპირობები, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია, რაც მისი უცვლელად დატოვების საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციონ სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 391-ე, 401-ე, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. კ-ას საკასაციონ საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. მ. ხ-ის შეგებებული საკასაციონ საჩივარი, როგორც დაუშეგებელი, დარჩეს განუხილველად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლები

### განრიცხვა

№ას-556-531-2016

30 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფ-  
ლების გადაცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-  
ფუძვლები:**

1.1. პ. ა-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატო-  
რი) სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ა-ისა (შემდგომში – მო-  
პასუხე ან მონინააღმდეგე მხარე) და დამოუკიდებელი მოთ-  
ხოვნის გარეშე მესამე პირების: კ. და გ. ა-ების (შემდგომში –  
მესამე პირები) მიმართ, ქ. თბილისში, კ-ის პირველი შესახვევის  
№...-ში მდებარე 35,15 კვ.მ უძრავი ქონების საბაზრო ღირებუ-  
ლების – 15 005 ლარის 25%-ის – 3 751,12 ლარის მოპასუხისათ-  
ვის გადახდის სანაცვლოდ, მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:  
მოსარჩელის მამა დაიბადა და ცხოვრობდა ზემოხსენებულ მი-  
სამართზე და მათ სარგებლობაში ჰქონდათ 35.51 კვ.მ სადგომი.  
მამის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელემ მიიღო სამკვიდ-  
რო. შ. ა-ი (მოსარჩელის მამა) 80-იანი წლებიდან მივლინებაში  
იმყოფებოდა ახალციხის რაიონში, მიუხედავად ამისა, ა-ებს  
საცხოვრებელი სადგომი თბილისში არ მიუტოვებიათ, რეგის-  
ტრიორებული არიან საბინაო წიგნში და მათ სახელზე მოდის კო-  
მუნალური გადასახადის ქვითრები, შესაბამისად, მხარეთა შო-  
რის ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს „საცხოვრებელი სად-  
გომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესა-  
ხებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხემ სარჩე-  
ლი არ ცნონ და განმარტა, რომ სადაცო ურთიერთობა „საცხოვ-  
რებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთო-

ბების „შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირებაში არ ექცივა, ვინაიდან დავა სამეცნიერო კატეგორიისაა. უძრავი ქონების მესაკუთრეს 1971 წელს გარდაცვლილი ა. ა-ი წარმოადგენდა, რომელსაც ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე ჰყავდა, მათ შორის, მოსარჩელის მამა რომელსაც სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით არ მიუღია და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით პ. ა-ს უარი ეთქვა მითითებული უძრავი ქონების 1/4-ის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნაზე.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების (დამატებითი გადაწყვეტილების) სარეზოლუციო ნაწილი:**

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიის 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

3.2. ამავე სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბრის დამატებითი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 112,50 ლარის გადახდა.

### **4. აპელანციის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დამატებითი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 4 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილები დარჩა უცვლელად.

### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა და მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა (იხ. დაზუსტებული საკასაციო საჩივარი).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 დეკემბრის დამატებითი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებისა და აპელანტისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელ-

მწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ უნდა იქნას დასაშვებად, ხოლო დანარჩენ ნაწილში, როგორც დაუშვებული, უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეტყობენის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასაციო სასამართლო შეიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

1.2.1. а. ა-ი (შემდგომში – მამკვიდრებელი) გარდაიცვალა 1971 წლის 27 აპრილს და მის სამკვიდროს წარმოადგენდა ქ. თბილისში, კ-ის პირველი შესახვევის №...-ში მდებარე 450.00 კვ.მ მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

1.2.2. მამკვიდრებელს დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე: შ. ა-ი, ვ. ა-ი, ვ. ა-ი და ქ. ა-ი. მოსარჩელე და მოპასუხე არიან ა. ა-ის შეიძლები: შ. და ვ. ა-ების შეიძლები.

1.2.3. შ. ა-ი გარდაიცვალა 2005 წლის 11 დეკემბერს და მოსარჩელეს 2010 წლის 29 მარტს მიღებული აქვს მამის სამკვიდრო.

1.2.4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით, პ. ა-ის სარჩელი დ. და თ. ა-ების მიმართ, ქ. თბილისში, კ-ის ქუჩის პირველი შესახვევის №...-ში მდებარე ა. ა-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების 1/4-ის მესაკუთრედ ცნობის თა-

ობაზე, არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ პ. ა-ის მამკვიდრებელი, შ. ა-ი კანონით დადგენილ ვადაში არ დაუფლებია მამის – ა. ა-ის სამკვიდრო ქონებას.

1.2.5. მოპასუხე წარმოადგენს ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეს (დაზუსტებული ფართობი 219 კვ.მ, შენობა-ნაგებობები: №1, №2, №3, №4, №5).

1.2.6. მოსარჩელე არ წარმოადგენს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოსარგებლეს, რამდენადაც მოსარჩელის მამა, რომელიც დაბადებიდან (1933 წელი) ცხოვრობდა სადავო ბინაში, 1952 წელს ოფიციალურად ჩაეწერა მამის (მამკვიდრებელ ა. ა-ის) ქუთვნილ ბინაში, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ შ. ა-ის სადავო ფართში რეგისტრაციის საფუძველი არა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება, არამედ ნივთის მესაკუთრესთან მისი ნათესაური კავშირი გახდა. იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ შ. ა-ს საკუთარ მამასთან დადებული ჰქონდა კანონით გათვალისწინებული გარიგება, რომელიც კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, სადავო ფართის მის საკუთრებაში გადაცემის საფუძველი გახდებოდა, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. მხოლოდ ის გარემოება, რომ შ. ა-ი რეგისტრირებული იყო სადავო ბინაში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ურთიერთობის არსებობას არ ადასტურებდა (აღნიშნული მსჯელობა შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის №ას-438-410-2010 განჩინებასთან). წინამდებარე დავის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში განხილვის შეუძლებლობას ადასტურებდა ასევე საქმეში წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაც, რომლითაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, სამემკვიდრეო სამართლის ნორმებს ემყარებოდა.

1.2.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მიერ მითითებული ახალი გარემოება იმის თაობაზე, რომ ა. ა-მა შ. ა-ს, სესხის სანაცვლოდ, დაუთმო ერთი ოთახი, რომელიც შეადგნდა 9,80 კვ. მეტრს.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ ნარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. საკასაციო საჩივრის განსახილვებად დაშვების საფუძველი ვერ გახდება კასატორის შედავება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას ნარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი, რადგანაც სადგომი მესაკუთრე ა. ა-ს უკანონოდ ჰქონდა აშენებული და იგი სანოტარო ბიუროში ვერც სესხისა და ვერც გირავნობის ხელშეკრულებას ვერ დაამონშებდა, ამდენად, კასატორის მამკვიდრებელთან მესაკუთრეს გარიგება ზეპირად ჰქონდა დადებული, შესაბამისად, სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ დავა სამეცნიერებრივ კატეგორიისაა, საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის არასწორ განმარტებას ემყარება.

1.5. საკასაციო პრეტენზიების საპირისპიროდ, პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან სწორად იქნა გამოყენებული და განმარტებული საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის დათქმა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათს უზრუნველყოფს და მოდავე მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს უკრძალავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული უფლების სადაცოდ მიჩნევასა თუ ამავე უფლების თაობაზე სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვის შესაძლებლობას, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა (სსსკ-ის 265-ე მუხლი). გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა განუმარტავს მხარეს, რომ სასამართლო, დაგის სამართლებრივი შეფასებისას, მხარეთა მოსაზრებებით არ არის შეზღუდული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებულია მხარის ვალდებუ-

ლება, სასამართლოს მოახსენოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშეწონილია, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზეც – ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან, შესაბამისად, შესაგებელი ემყარება (პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი: სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს), თუმცა საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ეს არ არის შემზღვდავი სასამართლოსათვის და არც გავლენას ახდენს დავის შედეგზე. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციებს ირჩევენ. სასამართლო ვალდებულია, საქმის მასალებზე დაყრდნობითა და სხვაგვარი დასაბუთებით გამოიტანოს კანონიერი გადაწყვეტილება. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას (იხ. სუსგ №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი). გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობას დავის სამართლებრივი საფუძვლის გამიჯვნის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ მხრივ სააპელაციო პალატის მსჯელობა არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკეიდრებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ №ას-438-410-2010, 9 ნოემბერი, 2010 წელი)

1.6. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

1.7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასა-

მართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

## **2. სასამართლო ხარჯების განსაზღვრის ნაწილში საკაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის დასაბუთება:**

2.1. განსაზილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით განმარტა, რომ დამატებითი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრა, კანონიერი იყო, რადგანაც იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არ არსებობს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას ნარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე სამართალურთობა, მოსარჩელე არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო სამოქალაქეო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტად, რაც ამ ნაწილში აპელანტის პრეტენზიის გაზიარებას გამორიცხავდა, ამასთანავე, სააპელაციო პალატამ, მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისა, 2016 წლის 22 იანვრის განჩინებით სწორედ ზემოხსენებულ ნორმაზე დაყრდნობით გაათავისუფლა აპელანტი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო შემაჯამებელი განჩინების გამოტანისას მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

2.2. წინამდებარე საკასაციო საჩივრით მხარე სადაცოდ ხდის გასაჩივრებული განჩინების ზემოაღნიშნულ მსჯელობას, რაც, საკასაციო პალატის შეფასებით, სამოქალაქეო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველია.

2.3. სამოქალაქეო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

2.4. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი განხილულ უნდა იქნეს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

## **3. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქეო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 401-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## **და ადგილი:**

1. პ. ა-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განჩინებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 დეკემბრის დამატებითი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებისა და აპელანტისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლობდ, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, მიჩნეულ იქნას დასაშვებად, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე დაინიშნოს 2016 წლის 5 ოქტომბერს, რის შესახებაც კანონით დადგენილი წესით ეცნობოთ მხარეებს.

3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **მოსარგებლის მიერ სადგომზე საკუთრების უფლების მოპოვება**

### **განრიცხვა**

№ას-580-551-2015

27 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ე. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ბ-ის მიმართ და

მოითხოვა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ქ. თბილისში, მ-ის მე-... ჩიხი №...ა-ში მდებარე ლ. ბ-ის საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი: ...) 73 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის (ორი ოთახი: 25 კვ.მ და 18 კვ.მ.; ცალკე მდგომი ოთახი – 18 კვ.მ.; შუშაბანდი – 12 კვ.მ.) მესაკუთრედ ცნობა ლ. ბ-ისათვის საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10%-ის – 2500 ლარის გადახდის სანაცვლოდ შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

2. მოსარჩელე არის სადაცვო საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლე, რაც დასტურდება მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული ნერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულებით, საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციითა და კომუნალური გადასახადის გადამხდელ აღონენტად რეგისტრაციით. ვინაიდან მესაკუთრე ლ. ბ-ი უარს აცხადებს კომპენსაციის გადახდაზე, მოსარჩელემ სადაცვო ფართზე თანხის გადახდის სანაცვლოდ მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა სასამართლოს მეშვეობით.

3. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე არ არის სადაცვო საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლე, არ არის რეგისტრირებული მის საკუთრებაში არსებულ ფართში. მისივე განცხადებით, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულება არის ყალბი.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით ე. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: ე. მ-ს ლ. ბ-ის სასარგებლოდ დაკისრა 2500 ლარის გადახდა. ე. მ-ი ცნობილი იქნა ქ. თბილისში, მ-ის მე-... ჩიხი №...ა-ში მდებარე ლ. ბ-ის საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი ...) 73 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის (ორი ოთახი: 25 კვ.მ და 18 კვ.მ.; ცალკე მდგომი ოთახი – 18 კვ.მ.; შუშაბანდი – 12 კვ.მ.) მესაკუთრედ.

5. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ბ-მა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ბ-ის სააპელაციო საჩივრარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ე. მ-ს ლ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 6 250 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი:

8. საჯარო რეესტრის ამონანერის შესაბამისად, ქ. თბილისში, მ-ის მე... ჩიხი №...ა-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით №..., მინის ნაკვეთი: 288 კვ.მ., შენობა-ნაგებობები: №1, №2, №3, №4, რეგისტრირებულია ლ. ბ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია სამკვიდრო მოწმობა (დამოწმების თარიღი: 28/11/2013), სააღრიცხვო ბარათი №003134, აღრიცხულია 1985 წელს.

9. ქ. თბილისში, მ-ის მე... ჩიხი №...ა-ში მდებარე უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა-დახსინათების მიხედვით, აღრიცხული იყო ბ. ბ-ის საკუთრებად. ლიტერი „ა“ (საცხოვრებელი) – 34.25 კვ.მ; ლიტერი „ბ“ (საცხოვრებელი) – 57 კვ.მ; ლიტერი „ვ“, „გ“, „ვ ც“ (დამხმარე) – 16 კვ.მ.

10. ბ. ბ-ი 1952 წლის 30 მარტიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ზ. ა-იანის ასულ პ-თან, რომელმაც ქორწინების შემდეგ მიიღო მეუღლის გვარი – ბ-ი.

11. ბ. ბ-ი გარდაიცვალა 1955 წლის 22 აპრილს.

12. 2013 წლის 28 ნოემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის შესაბამისად, ბ. ბ-ის სამკვიდრო ქონება მიიღო მისმა შვილმა – ლ. ბ-მა.

13. ე. მ-ი 1975 წლის 26 დეკემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ს. მ-თან, რომელიც გარდაიცვალა 2011 წლის 2 სექტემბერს. მისი სამკვიდრო ქონება 2014 წლის 11 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მიიღო მისმა მეუღლებრ, ე. მ-მა, ხოლო შვილი, ი. მ-ი სამკვიდრო მოწმობაში შეყვანილ იქნა ე. მ-ის თანხმობით.

14. საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 28 იანვრის ინფორმაციით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ე. მ-ი 1975 წლის 15 აპრილიდან რეგისტრირებულია მისამართზე ქ. თბილისი, მ-ის მე... ჩიხი №..., ხოლო მისი მეუღლე – ს. მ-ი ამავე მისამართზე რეგისტრირებულია 1994 წლის 2 დეკემბრიდან. ს. მ-ი ამავე მისამართზე რეგისტრირებულია კომუნალური გადასახადების გადამხდელ აბონენტად, კომუნალური გადასახადების ქვითრებში და დაზღვევის მოწმობებში უძრავი ქონების მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, მ-ის მე... ჩიხი №...და №....ა.

15. საქმეში წარმოდგენილი 1975 წლის 8 აპრილის ხელშეკრულების მინარსიდან გამომდინარე პალატამ გამოარევია, რომ ზ. ა-ის ასული ბ-ი და ს. ი-ს ძე მ-ი შეთანხმდნენ შემდეგზე: ზ. ა-ის ასულმა ბ-მა ქ. თბილისში, მ-ის მე... ჩიხი №...-ში მდებარე მის

საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი – ორი ოთახი: 25 კვ.მ. და 18 კვმ; ეზოს ფართი 350 კვ.მ, ფალკე მდგომი ოთახი 18 კვ.მ და შუშაბანდი 12 კვ.მ., რომელშიც ცხოვრობდა ბ. ბ-ი, 7 000 რუბლად მიჰყიდა ს. მ-ს. ნასყიდობის ხელშეკრულების და-დებას ესწრებოდნენ ვ. ჯ-ი, ა. კ-ი, ე. ო-ი, რომლებიც ხელს აწე-რენ ხელშეკრულებას.

16. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება იმის შესახებ, რომ მხარეებს შორის არ-სებობს სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერი-ლობითი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარგებ-ლებ უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზ-ლაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღი-რებულების 10%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სად-გომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

17. სასამართლომ მიუთითა „საცხოვრებელი სადგომით სარ-გებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ პუნქტზე, რომლის მიხედვით, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდი-სიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესა-კუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წე-რილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სად-გომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით.

18. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახ-მად, თუ მხარეებს შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობაზე (სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე), მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოს-თხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგო-მის საბაზრო ღირებულების 90%-ის გადახდის შემთხვევაში. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, თუ მესაკუთრე უარს აც-ხადებს მოსარგებლისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათ-ვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფ-ლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურე-ბის (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებუ-ლების 10%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

19. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. ბ-ი, გარდაიცვალა 1955 წლის 22 აპრილს. იგი 1952 წლის 30

მარტიდან რეგისტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდა ზ. ა-ის ასულ პ-თან. ქორნინების შემდგომ ზ. ა-ის ასულმა პ-მა მიიღო მეუღლის გვარი – ბ-ი.

20. 2013 წლის 28 ნოემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის შესაბამისად, ბ. ბ-ის სამკვიდრო ქონება მიიღო მისმა შვილმა – ლ. ბ-მა.

21. მოპასუხე ლ. ბ-ი დაბადებულია 1952 წლის 29 თებერვალს, ე.ი. იგი სადავო უძრავ ქონებაზე გარიგების დადების დროისათვის წარმოადგენდა სრულწლოვან პირს – მამკვიდრებლის, ბ. ბ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზ. ა-ის ასულ ბ-სა და ს. ი-ს ეგ მ-ს შორის, 1975 წლის 8 აპრილის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად, ასევე საჭირო იყო ლ. ბ-ის ნების გამოვლენაც, რასაც როგორც სადავო ხელშეკრულება ცხადყოფს, ადგილი არ ჰქონია (საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბ. ბ-ი გარდაიცვალა 1955 წლის 22 აპრილს და მისი გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო; დადგენილია ის გარემოებაც, რომ 2013 წლის 28 ნოემბერს ბ. ბ-ის პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეზე – ლ. ბ-ზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა; ე.ი. 1975 წლის 8 აპრილის გარიგების დადებისას, უძრავი ქონება არ იყო აღრიცხული ზ. ბ-ის საკუთრებად. ამ ხელშეკრულების დადებისას იგი წარმოადგენდა მამკვიდრებლის – ბ. ბ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს, მის მეუღლეს; ასევე პირველი რიგის მემკვიდრეს წარმოადგენდა ლ. ბ-ი). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს აზრით, მითითებული ხელშეკრულება ვერ იქნებოდა განსხილული „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობაზე მესაკუთრესთან (სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე) დადებულ წერილობით შეთანხმებად.

22. პალატამ მიუთითა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-სამე პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში. გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია

და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრის-თვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავ-ნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა).

23. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 28 იანვრის ინფორმაციით პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ე. მ-ი 1975 წლის 15 აპრილიდან რეგისტრირებულია მისამართზე ქ. თბილისში, მ-ის მე... ჩიხი №...-ში. ასევე დადგინდა, რომ ამავე მისამართზე 1994 წლის 2 დეკემბრიდან რეგისტრირებულია ე. მ-ის მეულე ს. მ-ი, როგორც კომუნალური გადასახადების გადამხდელი აბონენტი; დადგენილია ის გარემოებაც, რომ საბინაო წიგნს ფლობს მოსარჩელე;

24. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებულ მოსარგებლეს; შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მესაკუთრე უარს აცხადებდა მოსარგებლისათვის კომპენსაციის გადახდისას სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით. კერძოდ, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

25. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ საქმეზე სათანადო მტკიცებულების და შესაბამისი დასაბუთების გარეშე მიაკუთვნა ე. მ-ს პ. პ-ის კუთვნილი 25 კვ.მ. ფართი და 12 კვ.მ. შუმაბანდი და არასწორად დაადგინა ეს ქონება მესაკუთრისაგან გამოსასყიდ ქონებად.

26. პალატამ ყურადღება გაამახვილა 1975 წლის 8 აპრილის ხელშეკრულების შინაარსზე, რომლის შესაბამისად, მოსარგებლისათვის გადაცემული ფართი შედგება ორი ოთახისაგან – ერთი 25 კვ.მ. საერთო ფართით, მეორე კი 18 კვ.მ. ასევე მითითებულია ეზოში ცალკე ითახი 18 კვ.მ. ფართით და 12 კვ.მ. ფართი გალერეით, რომელშიც ცხოვრობდა მობინადრე პ. ნ. ძე პ-ი.

27. პალატის განმარტებით, სადავო ფართში პ-ის ცხოვრების ფაქტს ასევე ადასტურებენ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეები (ა. კ-ი: 17.14.45-17.15.26სთ; გ. ბ-ი აღნიშნავს, რომ პ-ი ცხოვრობდა ქირით და 17.35.47-17.36.06სთ; ს. მ-ი: ასევე აღნიშნავს, რომ პ-ები ცხოვრობდნენ ქირით 17.46.49სთ); თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას გამართულ სასამართლო სხდომაზე, მოპასუხის წარმომადგენელმა მიუთითა იმის შესახებ, რომ დღეის მდგომარეობით, სადავო ფართი პ-ს არ უკავია (10.02.10156. სასამართლო სხდომის ოქმი).

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, ს. მ-მა (სხვა ფართთან ერთად) შეიძინა ოთახი 18 კვ.მ. ფართით და 12 კვ.მ. ფართის გალერეით, რომელშიც ცხოვრობდა მობინადრე ბ. ნ. ძე პ-ი. ამრიგად, მხარეებს შორის არსებობდა გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ; ამასთან, პალატის განმარტებით, ვინაიდან მოპასუხეს, როგორც სადავო საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეს, არ გამოუვლენია ნება, რომ სათანადო კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ მოსარჩელეს (მოსარგებლეს) გაეთავისუფლებინა საცხოვრებელი სადგომი, აღნიშნული მოსარგებლეს აძლევდა შესაძლებლობას, შესაბამისი თანხის გადახდის სანაცვლოდ, მოეთხოვა სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

29. სააპელაციო სასამართლომ აპელანტის იმ პოზიციის თაობაზე, რომ სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატებოდა ე. მ-ის მიერ წარდგენილ შეფასებას, მიუთითა შემდეგზე:

30. 2014 წლის 24 თებერვლის აუდიტორული დასკვნის მიხედვით, შეფასდა ქ. თბილისში, მ-ის მე-... ჩიხი №...ა-ში მდებარე, ე. მ-ის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართი, რომლის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 25 000 ლარით; აღნიშნული დასკვნა უძრავი ქონების შეფასების თაობაზე, წარდგენილია სარჩელთან ერთად და მის შესახებ მითითებულია სასარჩელო განცხადებაშიც. შესაბამისად, მოპასუხეს, რომელიც არ ეთანხმებოდა აუდიტორულ დასკვნას საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ, შეეძლო ამ მტკიცებულების სანინააღმდეგოდ, უძრავი ქონების შეფასების თაობაზე წარედგინა სხვა მტკიცებულება. მას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული უფლება პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის გან-

ხილვისას არ გამოუყენებია და სასამართლოში არ წარუდგენია მტკიცებულება საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის პრეტენზია უძრავი ქონების საბაზრო ფასის არასწორად დადგენის თაობაზე.

31. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ლ. ბ-მა შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

32. კასატორის განცხადებით, მან საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას ნარადგინა მტკიცებულებები ბ. პ-ის სადაც ფართში, ქ. თბილისში, მ-ის მე-... ჩიხი №....ა-ში რეგისტრაციის შესახებ. ასევე წარდგენილ იქნა მტკიცებულებები წყალკანალიდან და თელასიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ბ. პ-ი გადასახადების გადამხდელ აბონენტად არის რეგისტრირებული. თუმცა სასამართლომ მოცემული მტკიცებულებების საქმეზე დართვა არ მიიჩნია მიზანშეწონილად. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე ცნობის მინდების შემდეგ სასამართლო ვალდებული იყო ბ. პ-ი ჩაერთო საქმეში მესამე პირად, რაც არ განახორციელა და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები.

33. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ ე. მ-ი 1975 წლის 15 აპრილიდან რეგისტრირებულია კასატორის საკუთრებაში არსებულ სახლში მისამართზე ქ. თბილისი, მ-ის მე-... ჩიხი №.... სასამართლომ ასევე არასწორად მიიჩნია, რომ იგი აღნიშნულ მისამართზე აბონენტადა რეგისტრირებული. სინამდვილეში კასატორის უძრავი ქონება მდებარეობს მ-ის მე-... ჩიხი №....ა-ში და საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა კასატორის საკუთრებაში არსებულ სახლში მ-ების კომუნალური გადასახადების გადამხდელ აბონენტად რეგისტრაციას. სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებაზე, ვინაიდან არ არსებობს მტკიცებულება, გარდა გაყალბებული ფორმის დაუცველად დადებული ხელშეკრულებისა და მოწმეთა ჩვენებებისა (რომელიც ვერ განიხილება საკმარის მტკიცებულებად), რომელიც დაადასტურებს მ-ების კასატორის საკუთრებაში არსებულ სახლში რეგისტრაციას და კომუნალური გადასახადების გადახდას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობე-

ბის „შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ.

34. კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მისი მოსაზრება, რომ საქალაქო სასამართლომ საქმეზე სათანადო მტკიცებულებებისა და შესაბამისი დასაბუთების გარეშე მიაკუთვნა ე. მ-ს ბ. პ-ის კუთვნილი 18 კვ.მ ფართი და 12 კვ.მ შუშაბანდი და არასწორად დაადგინა ეს ქონება მესაკუთრისაგან გამოსასყიდ ქონებად. სააპელაციო სასამართლომ პირველ ინსტანციაში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების საფუძვლზე დადგენილად მიიჩნია სადაცო ფართში ბ. პ-ის ცხოვრების ფაქტი და ყურადღება არ გაამახვილა 2014 წლის 9 ივლისს საქმის განხილვის მთავარ სხდომაზე ე. მ-ის ნარმომადგენლის განცხადებაზე, სადაც ის არ უარყოფს, რომ ცალკე მდგომი 18 კვ.მ. და 12 კვ.მ. შუშაბანდი ნარმომადგენდა ბ. პ-ის საკუთრებას, რომელიც მ-ებისგან იქნა შეძენილი (იხ. აუდიო ჩანაწერი 2014 წლის 9 ივლისი, 14:22), სასამართლომ ასევე არ გაამახვილა ყურადღება მოწმე ს. მ-ის ჩვენებაზე, რომლის მიხედვითაც ს. მ-მა შეიძინა ბ. პ-ის მფლობელობაში არსებული ფართი. გარიგების თანახმად, ბ. პ-თან თავად უნდა შეთანხმებულიყო ს. მ-ი, ან ერთად ეცხოვრათ ან თანხა გადაეხადა და გაეშვა იგი (სხდომის ოქმი 25.06.2014). ზემოაღნიშნული ჩვენებით ცალსახად დგინდება, რომ პ-ი არის სადაცო 18 კვ.მ და 12 კვ.მ ფართის მოსარგებლება და არა მოქირავნე. საქმეს არ ერთვის არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ე. მ-ის მიერ ბ. პ-ისგან 18 კვ.მ ოთახისა და 12 კვ.მ შუშაბანდის შეძენის ფაქტს. სასამართლოს უნდა ემსჯელა მტკიცებულებებზე, რომელიც დაადასტურებდა მ-ის მხრიდან სადაცო ფართის შეძენის ფაქტს, ასევე უნდა დაედგინა მ-ის მხრიდან სადაცო ქონების მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი გარემოებები.

35. კასატორის განმარტებით, სასამართლოს არ უმსჯელია, ჰქონდა თუ არა ადგილი ე. მ-ის მხრიდან ბ. პ-ის კუთვნილი ქონების მიტაცების საფუძველზე მოთხოვნის უკანონოდ და უსაფუძვლოდ დაყენების ფაქტს. სასამართლოს არ მოუხდენია ე. მ-ის მიერ დაკავებული ფართის იდენტიფიკაცია. საქმეზე არ არის ნარმოდგენილი ე. მ-ის მიერ მოთხოვნილი ქონების, 73 კვ.მ ფართის აზომვითი ნახაზი, რომლითაც დადგინდებოდა, თუ სად მდებარეობს მოთხოვნილი ქონება და ლ. ბ-ის დარჩენილი 44 კვ.მ შენობა-ნაგებობა.

36. სააპელაციო სასამართლო ასევე არ იმსჯელა იმ მინის ნაკვეთზე და ამ მინის ნაკვეთის მიხედვით გამოსასყიდ თანხა-

ზე, რომელზეც მდებარეობს სადავო უძრავი ნივთი, ვინაიდან მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მასზე გან-თავსებული შენობა-ნაგებობა. კასატორის განცხადებით, მხო-ლოდ შენობის გამოსასყიდი თანხით, იგი მიიღებს გაცილებით ნაკლებს, ვიდრე მიიღებდა მიწის ნაკვეთის მიხედვით გამოსას-ყიდი თანხის დადგენის შემთხვევაში.

37. ამასთან, მისი განმარტებით, იგი მზად იყო აენაზღაურე-ბინა მოსარგებლისთვის მხოლოდ მის მიერ დაკავებული ფარ-თის ლირებულების 75% და ასევე მიეღო მათგან დაკავებული 25 კვ.მ და 18 კვ.მ საცხოვრებელი ფართის საბაზრო ლირებუ-ლების, 19 000 ლარის 25%, თუმცა არა იმ ხელშეკრულების სა-ფუძველზე, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებად. კასატორის განცხა-დებით, იგი უარს აცხადებს საცხოვრებელი საფორმის მოსარ-გებლის, ბ. პ-ის მფლობელობაში არსებული ფართის 18 კვ.მ და 12 კვ.მ შუშაბანდის საბაზრო ლირებულებიდან, 6000 ლარიდან 90%-ის გადახდაზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მ-ები არ წარმოადგენ ზემოაღნიშნულ ფართში რეგისტრირე-ბულ და გადასახადების გადამხდელ პირებს. დღესდღეობითაც, მხოლოდ პ-ია აღნიშნულ ფართში რეგისტრირებული და წარმო-ადგენს გადასახადის გადამხდელ აბონენტს. შესაბამისად, სა-სამართლო ვალდებული იყო ჩატოთ იგი საქმეში მე-3 პირად.

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის განჩინებით ლ. ბ-ის საკასა-ციონ საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შე-სამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

39. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩ-ნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

40. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეუ-თე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნე-ლოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-

სებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებოთად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

41. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

42. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითობს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებოთად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

43. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (იხ. მაგ. სუსგ №ას-1000-957-2013, 11 ივნისი, 2015 წელი, სადაც განმარტებულია სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავებული საცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ მოსარგებლის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე მისი მესაკუთრედ ცნობის საფუძველია („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი).

44. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

45. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას

განხილვაზე.

46. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქ-ნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (1250 ლარის) 70% – 875 ლარი.

47. რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე თანდართულ მტკიცებულებებს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ისინი უნდა დაუბრუნდეს კასატორს, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების ნარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულება ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული, მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე ნარმოედგინა ისინი.

48. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე თანდართული მტკიცებულებები (სს „თელასის“ 2014 წლის 10 ივნისის წერილი; აბონენტის ბრუნვის ისტორია; შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდაციას“ 2014 წლის 18 ივნისისა და 26 ივნისის წერილიები; აბონენტის ძველი ბარათები; აბონენტის ბარათები), მთლიანობაში 16 ფურცლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ადგილი:**

1. ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარ-

ჩეს განუხილველად;

2. კასატორ ლ. ბ-ს (...) დაუბრუნდეს მის მიერ 2015 წლის 20 აპრილს №97 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლ. და 2015 წლის 22 ივნისს №5 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 950 ლარის 70% – 875 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი თლEმზE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახინო კოდი 3 0077 3150;

3. კასატორ ლ. ბ-ს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (სს „თელასის“ 2014 წლის 10 ივნისის წერილი; აბონენტის ბრუნვის ისტორია; შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდაცია 2014 წლის 18 ივნისისა და 26 ივნისის წერილები; აბონენტის ძველი ბარათები; აბონენტის ბარათები), მთლიანობაში „16“ ფურცლად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მესაკუთრის მოთხოვნით მოსარგებლის მიერ საცხოვრებელ საღმოზე მფლობელობის შეფერის

### განრიცხვა

№ას-136-132-2016

18 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** ძირითად სარჩელში – კომპენსაციის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა, შეგებებულ სარჩელში – კომპენსაციის სანაცვლოდ მფლობელობის შეწყვეტა

### აღნერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის, შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა:

1.1. დ. და-ამ (შემდგომში – თავდაპირველი მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. შ-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი ან მოწინააღმდეგი

მხარე) მიმართ, 2 527,25 ლარის გადახდის სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ა-ის ქ. №1, №25-ში მდებარე მოპასუხის კუთხით 47,26 კვ.მ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნით.

1.2. მოპასუხებ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ, 24 584,25 ლარის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ სადგომზე მოსარჩელის მფლობელობა-სარგებლობის შეწყვეტის მოთხოვნით.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. მოპასუხებ თავდაპირველი სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონი მას, როგორც მესაკუთრეს, ანიჭებს უპირატესობას, კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, მოითხოვოს მფლობელობის შეწყვეტა.

2.2. თავდაპირველი მოსარჩელე ასევე არ დაეთანხმა შეგებებული სარჩელის მოთხოვნას.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელის ავტორს დ. დ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 24 584,25 ლარის გადახდა და ამ ვალდებულების შესრულების დღიდან თავდაპირველ მოსარჩელეს შეუწყდა ქ. თბილისში, ა-ა, ქუჩა №1, №25-ში მდებარე, 47,26 კვ.მ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობა-სარგებლობის უფლება და ნივთი გადაეცა მესაკუთრეს.

## **4. აპელაციის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. საჯარო რეესტრის ამონანტრის თანახმად, ქ. თბილისში, ა-ა, ქუჩა №1, №25-ში მდებარე, 435 კვ.მ მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საკადასტრო კოდით

რეგისტრირებულია მოწინააღმდეგე მხარის სახელზე.

5.1.2. აპელანტი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსარგებლეა, რომელსაც სადავო სადგომით სარგებლობის უფლება მოპოვებული აქვს უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე. შესაბამისად, მისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკუთრების უფლების დათმობით მოწინააღმდეგე მხარეს აღარ აქვს უფლება, ისარგებლოს მესაკუთრისათვის მინიჭებული უფლებებით, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს.

5.1.3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2015 წლის 9 მარტის №... დასკვნის თანახმად, სადავო სადგომის საერთო ფართი შედგება – 47,26 კვ. მეტრისგან, საიდანაც 32,69 კვ.მ არის 14,57 კვ. მეტრისგან დამოუკიდებელი ფართი და მათი საერთო საბაზრო ღირებულება განისაზღვრება 32 779 ლარით.

5.1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად, შესაბამისი მტკიცებულებების წარუდგენლობის მოტივით არ იქნა გაზიარებული აპელანტის მტკიცება იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი ფართის უმეტესი ნაწილი აშენებული იყო დ. დ-ას მიერ, კერძოდ, მიშენებისათვის მან განია ხარჯი 22 670 ლარი, ხოლო სადავო ქონების ის ნაწილი, რომელიც მიაშენა აპელანტმა წარმოადგენს მხოლოდ მის საკუთრებას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩევები ვერ დაადასტურა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ თავდაპირველი შეთანხმების საგანი იყო სადგომი, რომლის ფართიც მხოლოდ 14,57 კვ. მეტრს შეადგენდა, ხოლო მის მიერ მიშენებული ფართი მოიცავდა 32,69 კვ. მეტრს. სადავო საკითხთან დაკავშირებით დაკითხული მოწმის ჩვენების შესახებ პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ვ. ს-ის ჩვენება, სადავო გარემოების დასადასტურებლად, სწორად მიიჩნია არასაკმარის მტკიცებულებად.

5.1.5. პალატამ იხელმძღვანელა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-2 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებით და აღნიშნა შემდეგი: აპელანტს სადავო სადგომზე მფლობელობა მიღებული ჰქონდა სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, შეგებებული სარჩელის ავტორი კი, ამ სადგომის მესაკუთრეს წარმოადგენდა. დასტურდებოდა მესაკუთრის ნების არსებობაც ზემოსენებული კანონით გათვალისწინებული უფ-

ლებით ერთმნიშვნელოვნად სარგებლობის თაობაზე, რაც საფუძვლიანს ხდიდა მესაკუთრის მოთხოვნას, სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ მოსარჩელეს შენყვეტოდა უფლება ნივთზე, შესაბამისად, არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

#### 6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

##### 6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინების, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთება ენინააღმდეგება კანონმდებლობას. სასამართლომ არასწორად იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ კასატორი სადაც ფართის მოსარგებლეა. მართალია, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონი მოსარგებლისათვის, კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საკუთრების უფლების გადაცემას ითვალისწინებს მხოლოდ მაშინ, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისათვის კომპენსაციის გადახდაზე, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ კასატორსა და შესაკუთრეს შორის გაფორმებული ე.წ. „შინაურული ნასყიდობიდან“ გამომდინარე, მესაკუთრემ დათმო საკუთრების უფლება, რის გამოც მას აღარ გააჩინა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

6.1.2. სასამართლოს არ უმსჯელია, თუ რა გარიგება დაიდო მხარეთა შორის. მოწინააღმდეგე მხარეს, უფლების დათმობიდან გამომდინარე, აღარ გააჩინა საკუთრება, ყველა ეს უფლება გადაეცა კასატორს. თავდაპირველი მოსარჩელე ქონებას ფლობს, როგორც მესაკუთრე და ეს უფლება არ შეიძლება იგნორირებულ იქნას სასამართლოს მხრიდან.

6.1.3. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ კასატორმა სადაც ქონებაზე ანარმოა მიშენება, რაც დასტურდება მოწმის ჩვენებით. საცხოვრებელი ფართის უმეტესი ნაწილი მიშენებულია, ხოლო სასამართლომ შეგებებული სარჩელის ავტორს მიანიჭა ამ ქონების 100%, რის შედეგადაც დაირღვა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება სადგომის გადაცემის დროისათვის არსებულ მდგომარეობაზე, ყოველგვარი მიშენება წარმოადგენს კასატორის საკუთ-

რებას.

6.1.4. სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია ასევე საპროცესო ნორმებიც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, 106-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები. ამ თვალსაზრისით კასატორმა მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, სადაც განმარტებულია სასამართლოს ვალდებულება, დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება (№ას-452-427-2015).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებოთად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ კასატორი საცხოვრებელი სადგომის დათმობის შესახებ გარიგებით უფლებამოპოვებულ მოსარგებლეს წარმოადგენს; შეგებებული სარჩელის ავტორი სადგომის მესაკუთრეა; ქონების საბაზრო ღირებულება 32 779 ლარს შეადგენს; მოსარგებლემ ვერ დაამტკიცა უძრავ ნივთზე მიშენების წარმოების ფაქტი.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ ნარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. საკასაციო პრეტენზიებთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი ანესრიგებს 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ სამართლებრივ ურთიერთობას, როდესაც მითითებულ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა კერძო საკუთრების უფლებას სრულყოფილად არ აღიარებდა, მით უფრო შეზღუდული იყო პირის სანივთო უფლებები, არ ხდებოდა მათი თავისუფალი განკარგვა. ასეთ ვითარებაში სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტებს შორის ფაქტობრივად ხდებოდა გარკვეული გარიგებების დადება, რომელთაც საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ გააჩნდათ. მითითებულმა კანონმა კი, ამგვარი ფაქტობრივი ურთიერთობები გარკვეული რეგულაციის ჩარჩოები მოაქცია (იხ. მითითებული კანონის მუხლი 1). ამავე კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტით მოსარგებლედ მიიჩნევა პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშექრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით კანონმდებელი განმარტავს, თუ რა განიხილება საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის უფლების დათმობის გარიგებად – სადაც საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისთვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნო-

ბის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა). მოცემულ შემთხვევაში, კასატორს სადგომზე მფლობელობა წარმოშობილი აქვს მესაკუთრესთან დადებული ფორმადაუცველი გარიგების საფუძველზე, რაც სავსებით გამორიცხავს მისი პოზიციის გაზიარების შესაძლებლობას, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ამ გარიგებით დაკარგა მესაკუთრის უფლება. მას სრული უფლება გააჩნდა ესარგებლა ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციით.

1.5. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სასამართლომ არასწორად არ დაადგინა მიშენების წარმოების ფაქტი. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა შეჯიბრებითობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებიდან გამომდინარე, სწორედ კასატორს ეკისრებოდა იმის სათანადო მტკიცებულებით დადასტურების ტვირთი, რომ მან აწარმოა მიშენება. ამ გარემოების დასადასტურებლად მოწმის ჩეგნება არასარწმუნო მტკიცებულებაა (სსსკ-ის 102.3 მუხლი). ისეთ ვითარებაში, როდესაც მხარემ ვერ დაამტკიცა მიშენების წარმოების ფაქტი, პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სავსებით მართებულად არ იხელმძღვანელეს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით. გადაწყვეტილების დასაბუთების თვალსაზრისით, პალატა აღნიშნავს, რომ ამ კუთხით კასატორს ასევე არ წარმოუდგენია დასაბუთებული შედავება, მან მიუთითა მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, მაგრამ არ დაუსაბუთებია, თუ რაში გამოიხატა საპროცესო დარღვევა.

1.6. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ ქანს-1273-1531-2009, 21 ივნისი, 2010 წელი).

1.7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასა-  
მართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივა-  
რი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი  
ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კასატორი სახელმწიფო  
ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გა-  
თავისუფლებულია.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. დ-ას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-  
უშენებლობის გამო.

2. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფ-  
ლებულია.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## მოსარგებლის მიერ სადგომზე საკუთრების უფლების მოავოვა

მესაკუთრის მოთხოვით მოსარგებლის მიერ  
საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეცვალა

### განხილვა

№ას-180-173-2016

19 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10%-ის გადახდის სანაცვლოდ, უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა (ძირითად სარჩელში), მოსარგებლისათვის თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა (შეგებებულ სარჩელში), ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მესაკუთრედ აღრიცხვა (დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა)

#### აღწერილობითი ნაწილი:

#### სასარჩელო მოთხოვნა:

1. მ. და თ. ჩ-ებმა (შემდგომში – მოსარჩელები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში გ. გ-ის მიმართ (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი), საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების – 72 000 აშშ დოლარის 10%-ის – 7200 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

#### შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა:

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოსარჩელეების წინააღმდეგ. მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელეები არ წარმოადგენენ მოსარგებლებს და მათი სარჩელი უსაფუძვლოა, თუმცა თუ სასამართლო მაინც ჩათვლის მათ, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სადაც ფართის მოსარგებლედ, შეგებებული სარჩელის ავტორი გადაუხდის უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების – 35 000 ლარის 75 ან 90%-ს, როგორც ამას სასა-

მართლო დაადგენს.

**მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა:**

3. საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირად ჩაება მ. ჩ-ე, რომელმაც მოითხოვა 1999 წლის 2 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად აღიარება/ცნობა და ქ. თბილისში, დ-ის ქ. №..-ში მდებარე სადაც სახლის 63/129 ნილის მესაკუთრედ აღრიცხვა საჯარო რეესტრში.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებულ სარჩელსა და დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას ეთქვა უარი, რაც მოპასუხებ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ასევე, მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში, როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სარჩელი განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

6. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში და მოითხოვეს შ. კ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 63/129 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა. სარჩელს ერთვოდა სანოტარო პალატიდან ნარმოდებენილი ცნობა, რომლის თანახმად 2008 წელს გარდაცვლილი შ. კ-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდროს მისაღებად არავის მიუმართავს, თუმცა საქმის განხილვისას დადასტურდა, რომ შ. კ-ს ჰყავდა მემკვიდრე (შვილი), შესაბამისად, მისი დანაშთი ქონება 2006 წლის 19 მაისის ანდერძით მიეკუთვნა შვილს – გ. გ-ს და გაიცა სამკვიდრო მოწმობა.

7. მითითებული გარემოების გათვალისწინებით, მოსარჩელებმა დააზუსტეს სარჩელი და მოითხოვეს, დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულების 10%-ის მესაკუთრისათვის გადახდის სანაცვლოდ, დაკავებულ საცხოვრე-

ბელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

8. 2014 წლის 12 მარტის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ლ-ის ქუჩა №..-ში მდებარე 95.69 კვ.მ საერთო ფართის მქონე №1 შენობა-ნაგებობისა (მათ შორის, პირველ სართულზე 21.54 კვ.მ №2 ოთახი და 74.15 კვ.მ მეორე სართული, აქედან 13.47 კვ.მ №2 ფორი, 22.60 კვ.მ №3 ოთახი, 20.58 კვ.მ №4 ოთახი, 14.46 კვ.მ №5 ოთახი, №1 ოთახი – 3.04 კვ.მ აივანი) და პირველ სართულზე 6.51 კვ.მ-ის თანამესაკუთრები არიან გ. გ-ი და მ. ჩ-ე.

9. ამავე ამონაწერის თანახმად, პირველ სართულზე მდებარე 40.21 კვ.მ №1-ში შენობა-ნაგებობისა (მათ შორის 6.13 კვ.მ №1 ოთახი, 12.92 კვ.მ №4 ოთახი, 15.34 კვ.მ №3 ოთახი, 5.82 კვ.მ №5 ოთახი) და პირველ სართულზე არსებული 6.51 კვ.მ-ის თანამესაკუთრები არიან მ. ჩ-ე და გ. გ-ი.

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2012 წლის 30 მაისს გ. გ-მა შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში. შეგებებული სარჩელის ავტორი ცალსახად მიუთითებს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანახმა მოსარგებლებს გადაუხადოს შესაბამისი თანხა, სარგებლობის უფლების შეწყვეტის სანაცვლოდ, კერძოდ, გ. გ-ი შეგებებულ სარჩელში მიუთითებს, რომ „თუ სასამართლო მაინც ჩათვლის, რომ თავდაპირველი მოსარჩელები არიან „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მოსარგებლები, მაშინ იგი მზადაა ამ კანონის თანახმად გადაუხადოს მათ სახლის შესაბამისი ღირებულება (75%, ან 90%), იმის მიხედვით, თუ რომელი სამართლებრივი ურთიერთობა ვრცელდება მათზე (შეგებებული სარჩელი); საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2012 წლის 27 თებერვლით დათარიღებული განცხადებით, გ. გ-ის წარმომადგენელი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და აღნიშნავს, რომ თუკი შედეგობრივად არ დადგება მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, ის თანახმაა (გ. გ-ი) გადაუხადოს მოსარჩელებს შესაბამისი თანხა (შუამდგომლობა).

11. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად ჩათვალა, რომ გ. გ-ს შეგებებულ სარჩელზე უარი არ განუცხადებია.

12. სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების (საინფორმაციო ბარათები, პირადობის მოწმობები, ამომრჩევლის ბარათები) საფუძველზე, დაადგინა, რომ

მოსარჩელე მ. ჩ-ი 1977 წლის 9 ივნისიდან, ხოლო თ. ჩ-ი 1979 წლის 5 ივნისიდან რეგისტრირებული არიან სადაცო საცხოვრებელ სადგომში დას ქ. №..-ში.

13. თ. და მ. ჩ-ები არიან 1998 წლის 30 აპრილს გარდაცვლილი მ. და-ის შვილები.

14. მ. და ი რეგისტრირებული იყო სადაცო ფართში. მის სახელზე მოდიოდდა კომუნალური გადახდის ქვითრები. დადგენილია, რომ მ. და-ის სამკვიდრო მიიღეს მისმა შვილებმა, მოსარჩელებმა – თ. და მ. ჩ-ებმა.

15. მოსარჩელეებმა მიუთითეს ფორმადაუცველ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია 1976 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებული შინაურული ხელშეკრულება, რომელშიც მითითებულია, რომ დ. ჯ-ემ, მ. დ-მა და ა. ჩ-ემ დადეს გარიგება – 1976 წლის 12 სექტემბერს დ. ჯ-ემ, რომელიც ცხოვრობს და-ის ქ. №..-ში მდებარე სახლის მე-2 სართულზე, სახლის მესაკუთრესთან ა. ჩ-ესთან შეთანხმებით, მის მფლობელობაში არსებული ფართი მთლიანად მიჰყიდა მ. დას.

16. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გ. გ-მა სადაცოდ გახადა ხელშეკრულებაზე ა. ჩ-ის ხელმოწერა, თუმცა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელწერილის ექსპერტიზის დასკვნით“ დადასტურდა, რომ 1976 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულებაზე, „მესაკუთრის“ გრაფაში განლაგებული ხელმოწერა შესრულებულია ა. ჩ-ის მიერ.

17. მოსარჩელე (შეგებებულ სარჩელში) გ. გ-ის წარმომადგენლის მიერ საქმის განხილვისას წარდგენილ იქნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 17 აგვისტოს დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ ქ. თბილისში, და-ის ქ. №..-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებია. განსაკუთრებით ავარიულია მეორე სართულზე გ. გ-ის კუთვნილი სამოთახიანი ბინა, რომლის კედლებში განვითარებული ბზარები საფრთხის შემცველია, მოსალოდნელია აგურების ცვენა, ჭერის ჩამოშლა, უსაფრთხოების მიზნით სასურველია მეორე სართულის დემონტაჟი.

18. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მითითებული ექსპერტიზის დასკვნა სადაცოდ გახადეს მოსარჩელეებმა და ამ მტკიცებულების საპირისპიროდ მათ მიერ წარდგენილ იქნა ინდივიდუალური მენარმის – დამოუკიდებელ ექსპერტ „დ. ლ-ის“ განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად და-ის ქუჩა №..-ში მდებარე გ. გ-ის სახელზე რიცხული ფარ-

თის საერთო ოდენობა შეადგენს არანაკლებ 80 კვ.მ-ს. მისი საერთო ღირებულებაა არანაკლებ 72000 აშშ დოლარი.

19. საცხოვრებელი ფართი არ ექვემდებარება დემონტაჟს მისი ავარიული მდგომარეობის გათვალისწინებით. რაც შეეხება ავარიულობის ხარისხს, აღნიშნულის დადგენა ვიზუალური დათვალიერებით არ ხდება.

20. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 აპრილის საოქმო განჩინებით, დაინიშნა სასაქონლო-საინჟინრო ექსპერტიზა „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“, ვინაიდან მხარეთა მიერ სასამართლოში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის იყო. შესაბამისად, არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.

21. ექსპერტიზისათვის შეკითხვების წარმოსადგენად მხარებს განესაზღვრათ ვადა.

22. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 აპრილის განჩინებით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ დაევალა საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარება ქ. თბილისში, ღ-ის ქუჩა №..-ში მდებარე სახლის მთლიან მეორე სართულზე, მითითებული დამოუკიდებელი ექსპერტ-აუდიტ დ. ღ-ის მონაწილეობით. ამავე განჩინებით, ექსპერტს გადასაწყვეტად დაესვა კითხვები.

23. სააპელაციო პალატის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ითვალისწინებს ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვების ჩამოყალიბებისას მხარეთა მოსაზრებებს, საბოლოოდ მანაც სასამართლო განსაზღვრავს იმ შეკითხვათა წრეს, რომელიც უნდა დაესვას ექსპერტს გადასაწყვეტად.

24. სააპელაციო პალატის შეფასებით, ექსპერტისათვის დამული შეკითხვები უნდა ემსახურებოდეს იმ საკითხების დადგენას, რომელიც მნიშვნელოვანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, ასეთი საკითხების გარკვევა კი, თავისთავად სასამართლოს პრეროგატივაა, შესაბამისად, სწორედ სასამართლო განსაზღვრავს შეკითხვების იმ წრეს, რომელზე მიღებული პასუხებითაც შესაძლებელი იქნება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სადაცო გარემოებების დადგენა-გადაწყვეტა. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი სადაცო საკითხები უნდა მოწესრიგდეს საქართველოს კანონით „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“, ხოლო ამ კანონის მიზნებისათვის მნიშვნელოვა-

ნია, დავის პროცესში დადგინდეს მოსარგებლის მიერ დაკავებული ფართის მოცულობა და მისი საბაზო ლირებულება. შესაბამისად, ამ სადავო გარემოებების დადგენა არის მნიშვნელოვანი სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის.

25. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2013 წლის 26 ნოემბერს საინჟინირო ექსპერტიზის დეპარტამენტმა სასამართლოს აცნობა, რომ ექსპერტიზის ჩატარება დანიშნული იყო 2013 წლის 16 ოქტომბერს, 16.00 საათზე, რაზეც 2013 წლის 15 ოქტომბერს ტელეფონის საშუალებით ეცნობა განჩინებაში მითითებულ ექსპერტიზის ჩატარებისას დასასწრებ ყველა პირს.

26. ექსპერტიზის ჩატარების ადგილზე ვერ გამოცხადდა მოპასუხის წარმომადგენელი ზ. ფ-ე, რომელმაც სატელეფონო საუბრისას (16.10.13; 16:15 საათი) განმარტა, რომ არ იმყოფებოდა ქ. თბილისში. ასევე, შედგა სატელეფონო საუბარი გ. ჩ-ეს-თან, რომელმაც უარი განაცხადა ექსპერტების ობიექტში შეშვებაზე. შესაბამისად, მომზადდა აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ.

27. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეს – შეგებებული სარჩელის ავტორის წარმომადგენელს არ მიეცა გონივრული ვადა, ექსპერტიზის ჩატარებაზე დასასწრებად, ვინაიდან, როგორც თავად განცხადებაშია მითითებული, მოპასუხის წარმომადგენელს მხოლოდ წინა დღეს ეცნობა ექსპერტიზის ჩატარების თარიღი. შესაბამისად, დროის სიმცირის გამო, მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეტყობინებიდან მეორე დღეს გამოცხადებული იყო ექსპერტიზის ჩატარების ადგილას, მით უმეტეს, რომ, როგორც თავად განცხადების შინაარსი ადასტურებს, 15 ოქტომბერს მხარე არ იმყოფებოდა ქ. თბილისში, ხოლო 16 ოქტომბერს დანიშნული იყო ექსპერტიზა (საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ წარმოდგენილი 2011 წლის 29 ივნისს გაცემული მინდობილობის მიხედვით, შსჯავრდებული გ. გ-ი სასჯელს იხდის ა-ში და მისი ინტერესების სასამართლოში დაცვას ანდობს წარმომადგენელ ზ. ფ-ეს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა დავის განხილვის ყველა ეტაპზე).

28. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინების საფუძველზე ჩატარდა ადგილზე დათვალიერება, რომლის მიხედვით, მეორე სართულზე არსებულ ოთახებში კელავ იდგა მოსარჩელეების კუთვნილი სხვადასხვა ნივთი, ასევე, მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნით მ. ჩ-ის განცხადებით ირკვევა, რომ 2002 წლიდან მეორე სართულზე

არავინ ცხოვრობდა. სასამართლო მიუთითებს, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასებით გაუჩნდა დასაბუთებული შემდეგი ვარაუდი: შენობა მდებარეობს პრესტიულ ადგილას, დაზიანებები არ არის ისეთი მძიმე, რომ მისი შეკეთება და გამაგრება არ შეიძლებოდეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარგებლების მიმართ თანხის გადახდის საკითხის განსაზღვრისას უნდა დაეყრდნოს დ. ღ-ის მიერ გაცემულ დასკვნას, ანგარიშგასანევია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მეორე სართულის ფართი საჯარო რეესტრის ამონანერით არის 74,15 კვ.მ, ხოლო გ. გ-ის მხრიდან წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნით – 54,14 კვ.მ.

29. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები თ. და მ. ჩ-ები წარმოადგენენ სადავო საცხოვრებელი ფართის მოსარგებლებებს და ამ უფლების საფუძველს წარმოადგენს ფორმის დაუცველად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. სასამართლომ გაიზიარა ინდივიდუალური მენარმისა და დამოუკიდებელი ექსპერტის – დ. ღ-ის 2012 წლის 17 სექტემბერს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა მოსარგებლეთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის ოდენობისა და საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ და მიიჩნია, რომ მოსარჩელების მიერ ქ. თბილისში, ღ-ის ქ. №..ში დაკავებულია 41,22 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, 33,78 კვ.მ დამხმარე ფართი, სულ – 75 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება არის 72 000 აშშ დოლარი.

30. პირველი ინსტანციის სასამართლომ შეგებებული სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ შეგებებული სარჩელით მოსარჩელე გ. გ-ი უარს აცხადებდა იმ თანხის გადახდაზე, რაც სასამართლომ მიიჩნია დადგენილად. ასევე, მესაკუთრე – შეგებებული სარჩელის ავტორი – გ. გ-ი, უპირველეს ყოვლისა, აცხადებდა, რომ მოსარჩელები – მ. და თ. ჩ-ები არ იყვნენ მოსარგებლები და იხდიდნენ ქირას, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარის მიერ ვერ იქნა წარდგენილი.

31. პირველი ინსტანციის სასამართლომ დასკვნა, რომ მართალია, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მესაკუთრის და მოსარგებლის ერთდროული მოთხოვნის არსებობისას უპირატესობა ენიჭება მესაკუთრის უფლების რეალიზაციას, მაგრამ იგი არ გულისხმობს უპირობოდ ყველა შემთხვევაში მესაკუთრის სარჩელის დაკამაყოფილებას. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასებით, უპირატესობა არ

შეიძლება მიენიჭოს მესაკუთრის უფლების რეალიზაციას, რის გამოც შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება).

32. სააპელაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ იზიარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახულ ზემოთ მითითებულ მსჯელობას და ყურადღებას გაამხხილებს თავად გ. გ-ის მიერ აღძრულ შეგებებულ სარჩელზე.

33. შეგებებული სარჩელის ავტორი მიუთითებს, რომ თუკი სასამართლო მოსარჩელეებს ჩათვლის მოსარგებლებად, მაშინ იგი, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მზადაა, მოსარგებლებს გადაუხადოს შესაბამისი თანხა, რათა შეწყდეს მათი სარგებლობის უფლება სადავო ფართზე.

34. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იგი (შეგებებული სარჩელის ავტორი) სადავოდ არ ხდის მოსარჩელეების მოსარგებლის სტაციუსს, თუმცა მესაკუთრე იყენებს თავის უპირატეს უფლებას, მის მიერ მოსარგებლეთათვის თანხის გადახდის სანაცვლოდ, შეუწყდეს მოსარგებლეებს სარგებლობის უფლება სადავო საცხოვრებელ ფართზე.

35. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, მითითებული კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 ოქტომბერიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სპეციალურ მოწესრიგებას მოითხოვს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე წარმოშობილი ურთიერთობა. ამდენად, ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევია ის, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნული კანონი განსაზღვრავს იმ ფაქტობრივ გარემოებათა წრეს, რომლის არსებობის შემთხვევაში იარსებებს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობა.

36. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-2 მუხლით და განმარტა, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მოსარგებლეს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების გადახდის სანაცვლოდ, რაც წარმოადგენს მესაკუთრის მატერია-

ლურ-სამართლებრივი უფლებას. მას შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი, გამოიყენოს ან არ გამოიყენოს აღნიშნული უფლება.

37. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩევები წარმოადგენენ სადაც საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლების, რომელთა მოთხოვნას წარმოადგენს მესაკუთრისათვის თანხის გადახდის სანაცვლოდ მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

38. შეგებებული სარჩელის ავტორი გ. გ-ი არის სადაც სადგომის მესაკუთრე და საქმის მასალებით დადასტურებულია (შეგებებული სარჩელი, მხარის ახსნა-განმარტება) მესაკუთრის ნება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის თაობაზე, რაც გულისხმობს, მესაკუთრის მიერ თანხის გადახდის სანაცვლოდ, სარგებლობის უფლების შეწყვეტას. ასეთ პირობებში კი, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა, რომ გ. გ-ი უარს აცხადებს იმ თანხის (ასევე, სადაც ხდის მოსარგებლების მიერ დაკავებული ფართის ოდენობას) გადახდაზე, რაც სასამართლომ მიიჩნია დადგენილად, რის გამოც, უპირატესობა არ შეიძლება მიენიჭოს მესაკუთრის უფლების რეალიზაციას, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, თუ სასამართლო შესაბამისი მტკიცებულებების კვლევის შედეგად მივიდოდა ამ დასკვნამდე, იგი შესაძლოა გამხდარიყო შეგებებული სარჩელის წანილობრივ დაკმაყოფილების და არა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

39. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ: ე' გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

40. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოები, რომ განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მიერ არ დადგენილა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რიგი

ფაქტობრივი გარემოებები და სათანადო არ გამოკვლეულა საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები, რამაც საბოლოოდ განაპირობა არასწორი სამართლებრივი დასკვნების გაკეთება, ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

41. აქვე სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, წარდგენილი ექსპერტთა დასკვნების ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის გამო, საქმეზე ექსპერტიზის დანიშვნის, ამ გზით დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს დადგენის საჭიროდ მიჩნევისა და სასამართლოს მიერ აღნიშნულის შესახებ შესაბამისი განჩინების გამოტანის მიუხედავად, დგინდება, რომ სათანადო კვლევა ვერ ჩატარდა, დასკვნა არ არის წარმოდგენილი, ე.ი. გარემოებები, რასაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა დავის გადაწყვეტისთვის, სასამართლომ მიიჩნია სპეციალური ცოდნის მქონე პირთა – ექსპერტთა მიერ დასადგნად, თუმცა დასმული კითხვები პასუხისმგებლია).

42. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლომ განხილით დადგენილი წესით უნდა უზრუნველყოს დასკვნების გაკეთება სარჩელსა და შეგებებულ სარჩელში დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯვერებით, შესაბამისად, ამ გზით დადგენილი ფაქტების სწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის დავა. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ საქმის წარმოების ამ ეტაპზე აღნიშნული დავის არსებითად განხილვის შემთხვევაში, მხარეები დაკარგავენ შესაძლებლობას ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული და შესწავლილი საქმის როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი გარემოებები, სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის.

### **საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:**

43. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. და თ. ჩ-ებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მონინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

44. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დანაწესი. მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენელ ზ. ფ-ეს 16 ოქტომბერს ექსპერტიზის ჩატარების შესახებ ეცნობა 15 ოქტომბერს, თუმცა აღნიშნული ვადა არ უნდა ჩაითვა-

ლოს არაგონივრულად, ვინაიდან ამ უკანასკნელს რაიმე საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობისათვის მომზადება არ ესაჭიროებოდა. მას მხოლოდ და მხოლოდ უნდა დაეშვა ექსპერტები სადავო ფართში. ამასთან, ზ. ფ-ეს არ შეუტყობნებია ექსპერტიზის ბიუროსათვის, რომ, არაგონივრული ვადის გამო, ვერ ახერხებდა ჩამოსკლას. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ უკანონოდ გაიზიარა ზ. ფ-ის ზეპირი განმარტება და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

45. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ამავე კოდექსის 169-ე მუხლის მოთხოვნა. საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულია, რომ მონინააღმდეგე მხარემ არამარტო სასამართლოს დანიშნული ექსპერტიზის ჩატარებისას არ მისცა საშუალება ექსპერტებს, ჩატარებითათ ექსპერტიზა, არამედ დამოუკიდებელი ექსპერტი არ შეუშვა ბინაში ექსპერტიზის ჩასატარებლად, არ მისცეს საშუალება ამზომველს, მოეხდინა შიდა აზომვა. სააპელაციო სასამართლომ კი აღნიშნული ფაქტები არ გაითვალისწინა.

46. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ უკანონოდ გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვით უპირატესი უფლება მოთხოვნაში აქვს მესაკუთრეს, მესაკუთრის მოთხოვნის უპირატესობა იარსებებდა, თუ მესაკუთრე შეგებებულ სარჩელს წარადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და მხარე მოითხოვდა საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულების 90%-ის გადახდის სანაცვლოდ ფართზე სარგებლობის უფლების შეწყვეტას, მოსარჩელის მხრიდან კი პირველი ინსტანციის სასამართლოში წამოყენებული ალტერნატიული და პირობითი შეგებებული სარჩელიც კი არ იქნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარდგენილი. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, თვითონ მიეღო გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის ფარგლებში თუ მხარე მთავარ სხდომაზე არ დააფიქსირებდა და არ გამოკვეთავდა თავის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი და არასწორად განმარტა იგი.

47. მხარის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლით დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობა.

48. საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №.. საქმეზე, რომლითაც სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ მოითხოვა კასატო-

რის მიმართ თანხის დაკისრება იმისათვის, რომ ადგილზე გამოცხადდა და ექსპერტიზა ვერ ჩაატარა. სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა. სასამართლომ არ გაიზიარა განმარტება იმის შესახებ, რომ მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს არაგონივრულ ვადაში ეცნობა ექსპერტიზის ჩანიშვნა და ამ მიზეზით არ გამოცხადდა დათქმულ ადგილას. რაც მთავარია, მონინააღმდეგე მხარეს სადაციდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ ლევან სამხარაულის სახელმძის ექსპერტიზის ბიურომ მას არ მისცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო ექსპერტიზაში და მიეცა საშუალება ექსპერტიზის ჩატარებისათვის. მას ამისათვის არ მიუმართავს განცხადებით ბიუროსთვის. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ ზ. ფ-ის განმარტებას და ამ შემთხვევაში სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა და იგნორირება გაუკეთა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადახყვეტილებას, რომელიც ერთვის საქმეს.

49. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და მონინააღმდეგე მხარეს სააპელაციო სასამართლოში მისცა საშუალება, მოეთხოვა ის, რაც მას პირველი ინსტანციის სასამართლოში არ მოუთხოვია, კერძოდ, მოეთხოვა უპირატესი უფლების გამოყენება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძვლზე, რითაც შეილახა კასატორის უფლება და უგულებელყოფილ იქნა ამავე კოდექსის 177-ე, 178-ე, 188-ე, 215-ე, 281-ე მუხლები მოთხოვნები.

50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათვისუფლებული არიან.

### **სამოტივაციო ნანილი:**

51. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამონმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

52. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასა-

ციონ საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვა-როვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) საა-პლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კა-ტეორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპლაციო სასამარ-თლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპლაციო სასამარ-თლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება და-უსწრებელი გადაწყვეტილების უფლებლად დატოვების თაობა-ზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნე-ბოდეს.

53. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზე-მოთ მითითებული საფუძვლით.

54. სააპლაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხი-ლული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასა-ტორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რო-მელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

55. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-საზრისით.

56. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ძირითადად ეფუძ-ნება იმ გარემოებას, რომ გ. გ-ს შეგებებული სარჩელით არ მო-უთხოვია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმო-შობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით უძ-რავი ნივთის მესაკუთრისათვის მინიჭებული უფლების რეალი-ზება და მოსარგებლეთათვის (მოსარჩელებისათვის) შესაბა-მისი კომპენსაციის გადახდის გზით სადაცო უძრავ ნივთზე სარ-გებლობის შეწყვეტა. ამგდროულად, კასატორი სადაცოდ ხდის მონიაღმდეგ მხარის მიერ საქმეზე დანიშნული ექსპერტი-ზის ჩატარებაში ხელშეშლის ფაქტს.

57. საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ საქმეზე საპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებან:

58. მ. ჩ-ი 1977 წლის 9 ივლისიდან, ხოლო თ. ჩ-ი 1979 წლის 5 ივნისიდან რეგისტრირებული არიან სადაც საცხოვრებელ სადგომში ღ-ის ქ. №...-ში.

59. თ. და მ. ჩ-ები არიან 1998 წლის 30 აპრილს გარდაცვლილი მ. დ-ის შვილები.

60. მ. დ-ი რეგისტრირებული იყო სადაც ფართში. მის სახელზე მოდიოდა კომუნალური გადახდის ქვითრები. დადგენილია, რომ მ. დ-ის სამკვიდრო მიიღეს მისმა შვილებმა, მოსარჩელებმა – თ. და მ. ჩ-ებმა.

61. მოსარჩელეებმა მიუთითეს ფორმადაუცველ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია 1976 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებული შინაურული ხელშეკრულება, რომელშიც მითითებულია, რომ დ. ჯ-ემ, მ. დ-მა და ა. ჩ-ემ დადეს გარიგება – 1976 წლის 12 სექტემბერს დ. ჯ-ემ, რომელიც ცხოვრობს ღ-ის ქ. №...-ში მდებარე სახლის მე-2 სართულზე, სახლის მესაკუთრესთან ა. ჩ-ესთან შეთანხმებით, მის მფლობელობაში არსებული ფართი მთლიანად მიჰყიდა მ. დ-ს.

62. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2012 წლის 30 მაისს გ. გ-მა შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

63. შეგებებული სარჩელის ავტორი ცალსახად მიუთითებს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანახმაა, მოსარგებლებს გადაუხადოს შესაბამისი თანხა, სარგებლობის უფლების შეწყვეტის სანაცვლოდ.

64. გ. გ-ი შეგებებულ სარჩელში მიუთითებს, რომ „თუ სასამართლო მაინც ჩათვლის, რომ თავდაპირველი მოსარჩელეები არიან „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მოსარგებლები, მაშინ იგი მზადა ამ კანონის თანახმად გადაუხადოს მათ სახლის შესაბამისი ღირებულება (75%, ან 90%) იმის მიხედვით, თუ რომელი სამართლებრივი ურთიერთობა ვრცელდება მათზე“.

65. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებში წარდგენილ 2012 წლის 27 თებერვლით დათარიღებულ განცხადებაზე, რომლის თანახმად გ. გ-ის წარმომადგენელი შუამდგომლობით მიმრთავს სასამართლოს და აღნიშნავს, რომ თუკი შედეგობრივად არ დადგება მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, ის (გ. გ-ი) თანახმაა, გადაუხადოს მოსარ-

ჩელეებს შესაბამისი თანხა.

66. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ საქმის მასალებით დადასტურებულია მესაკუთრის ნება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის თაობაზე, რაც გულისხმობს, მესაკუთრის მიერ თანხის გადახდის სანაცვლოდ, სადაც უძრავ ნივთზე მოსარჩევეთა სარგებლობის უფლების შეწყვეტას.

67. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და-საშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას არ შეიცავს.

68. მოცემული საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობას არ წარმოადგენს კასატორის არგუმენტი მოწინააღმდეგე მხარის მიერ საქმეზე დანიშნული ექსპერტიზის ჩატარებაში ხელშეშლის ფაქტთან დაკავშირებითაც.

69. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საპროცესო დარღვევას არ შეიცავს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკას არ ეწინააღმდეგება სააპელაციო პალატის დასაბუთება, რომ მხარეს არ მიეცა გონივრული ვადა, ექსპერტიზის ჩატარებაზე დასასწრებად, ვინაიდან, როგორც თავად განცხადებაშია მითითებული, მოპასუხის წარმომადგენელს მხოლოდ წინა დღეს ეცნობა ექსპერტიზის ჩატარების თარიღი. შესაბამისად, დროის სიმცირის გამო, მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეტყობინებიდან მეორე დღეს გამოცხადებულიყო ექსპერტიზის ჩატარების ადგილას, მით უმეტეს, რომ როგორც თავად განცხადების შინაარსი ადასტურებს, 15 ოქტომბერს მხარე არ იმყოფებოდა ქ. თბილისში, ხოლო 16 ოქტომბერს დანიშნული იყო ექსპერტიზა (საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ წარმოდგენილი 2011 წლის 29 ივნისს გაცემული მინდობილობის მიხედვით, მსჯავრდებული გ. გ-ი სასჯელს იხდის ა-ში და მისი ინტერესების სასამართლოში დაცვას ანდობს წარმომადგენელ ზ. ფ-ეს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა დავის განხილვის ყველა ეტაპზე).

70. ზემოაღნიშნული მსჯელობა სრულ შესაბამისობაშია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესოთან, რომლის თანახმად მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება უნდა ჩაბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა.

71. კანონის მითითებული დანაწესი ადგენს ამა თუ იმ საპ-

როცესო მოქმედების თაობაზე მხარეების და, შესაბამისად, მათი წარმომადგენლების დროულად ინფორმირების აუცილებლობას, რაშიც გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას საპროცესო მოქმედების შესრულებამდე გონივრული ვადით ადრე. ცხადია, კანონმდებელი არ აზუსტებს ასეთი ვადის გამოანგარიშების წესს, თუმცა გონივრულობის პრინციპი თავისთავად მოიცავს ისეთ დროს, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ამა თუ იმ მოქმედების შესრულება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე განისაზღვრება.

72. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. და თ. ჩ-ების საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მოსარგებლის მიერ სადგომზე საკუთრების უფლების მოაოვება

## განხილვა

№ას-836-784-2012

27 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომის მესაკუთრედ ცნობა

### აღნერილობითი ნაწილი:

#### სასარჩელო მოთხოვნა:

1. დ. ხ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სარჩელი აღდრა სასამართლოში ი., გ. და რ. ღ-ების (შემდგომში – მოპასუხები, მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისში, მ-ის ქ. №..-ში მდებარე 15 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა, აღნიშნული სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის – 2748.75 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის სანაცვლოდ. გარდა ამისა, მოსარჩელემ მოითხოვა მის მიერ აშენებული ორსართულიანი სახლის მესაკუთრედ ცნობა.

#### სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, იგი 19 წლის ასაკიდან დედას-თან – ნ. დ-თან ერთად რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ოს (ამჟამად, მ-ის) ქ. №..-ში.

3. თავად ნ. დ-ი აღნიშნულ ფართში ჩაწერილია 1957 წლიდან. მითითებული სახლთმფლობელობა ირიცხებოდა 1948 წლის 25 ოქტომბერს გარდაცვლილია ა. ღ-ის სახელზე, რომლის შვილმა – გ. ღ-მა, გარკვეულ საფასურის სანაცვლოდ, მოსარჩელის დედას დაუთმო დაახლოებით 15 კვ.მ 2 ოთახი, თუმცა მითითებული ოთახები, ავარიულობის გამო, დაწერა.

4. მოსარჩელემ დანგრეული ოთახების ადგილას და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაწილზე ააშენა ორსართულიანი სახლი (დაახლოებით 200 კვ.მ). მის მიერ აგებული სახლისა და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის გაფორმების თაობაზე მოსარჩელე შესაბამის მოღაპარაკებას აწარმოებდა მოპასუხებთან, როგორც ა. ღ-ის შვილიშვილებთან, თუმ-

ცა მათ დაამზადეს და გამოიყენეს ყალბი დოკუმენტი, რის შე-დეგადაც მოსარჩელის გვერდის ავლით მიიღეს სამკვიდრო სა-დავო ფართანა ერთად.

5. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხებმა მიმართეს საჯა-რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრა-ციონ სამსახურს 1994 წლამდე აგებულ შენობაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით, რა დროსაც სამსახურის თა-ნამშრომლები შეცდომაში შეიყვანეს და სადავო ქონება აღი-რიცხა ა. ღ-ის სახელზე.

#### **მოპასუხების პოზიცია:**

6. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მო-სარჩელეს სადავო ორსართულიანი სახლი სახელმწიფოს ტერი-ტორიაზე არ აუგია. მოსარჩელის მითითებით, დედამისმა ა. ღ-ის შვილის – გ. ღ-ისაგან, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, მიიღო იმ ქონების ნანილი (ორი ოთახი), რომელიც ა. ღ-ის სა-ხელზე ირიცხებოდა. ამავდროულად, აღნიშნულს ადასტურებ-და სახლის ძელი საინვენტარიზაციონ გეგმები და ამჟამინდე-ლი საკადასტრო გეგმაც.

7. რაც შეეხება მოპასუხების მიერ დოკუმენტების გაყალ-ბების ფაქტს, აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ გან-ცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილი-სის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს მე-5 განყოფი-ლებას. როგორც მოპასუხებისათვის იყო ცნობილი, დასახელე-ბულ განცხადებაზე მიღებული პასუხი მოსარჩელემ სარჩელს შეგნებულად არ დაურთო. ამდენად, ცხადია, მოპასუხებს არა-ნაირა დოკუმენტი არ გაუყალბებით.

#### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნანილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. თბი-ლისში, მ-ის ქ. №..-ში მდებარე მოპასუხების კუთვნილი №4 ნა-გებობებიდან 73.67 კვ.მ-ის მესაკუთრედ, ამასთან, მოსარჩე-ლეს დაეკისრა მოპასუხების სასარგებლოდ 13500 აშშ დოლა-რის ეკვივალენტი ლარის გადახდა, მოსარჩელეს უარი ეთქვა ქ. თბილისში, მ-ის ქ. №..-ში მდებარე ორსართულიანი სახლის სა-ერთო ფართიდან – 141.76 კვ.მ-დან 70.69 კვ.მ-ზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის ნაწილში.

9. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკ-მაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების გარეშე, არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად სწორი შეფასება მისცა მათ.

12. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელია აპელანტის მიერ ფაქტობრივ უსწორობად აღნიშნული გარემოებები მოპასუხების მხრიდან მისთვის 15 კვ.მ-ის დათმობისა და სადაცვო სახლის მიტაცებულ (ანუ შენობისაგან თავისუფალ) მიწაზე აშენების შესახებ.

13. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 102-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტმა სახლი ააშენა მიტაცებულ მიწაზე. მან წარადგინა მხოლოდ რ. ღ-ის 2010 წლის 7 მაისის ზეპირი გამკითხვის ოქმის ასლი, სადაც რ. ღ-მა განმარტა, რომ „მათ მიწა მიიტაცეს უკანონოდ, მოტყუებით“.

14. სსსკ-ის 131-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დასახელებული ახსნა-განმარტება არ გაიზიარა, რადგან აღიარებად მიიჩნევა არა მხარის ყოველგვარი განცხადება, არამედ განცხადება, რომელიც გაკეთებულია სასამართლო სხდომაზე. (სუსგ 8.10.2009წ. განჩინება საქმე №ას-334-654-09). ამასთან, მითითებული განმარტებიდან არ ირკვევა, თუ რომელ მიწის ნაკვეთზე იყო საუბარი, რა ფართს მოიცავდა იგი და ა.შ. შესაბამისად, შეუძლებელია ამ სახის განმარტების გაზიარება იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ აპელანტს მიწის ნაწილი მიტაცებული ჰქონდა.

15. რაც შეეხება 15 კვ.მ სადგომის მფლობელობის საკითხს, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აქაც აპელანტმა ვერ დაამტკიცა დასახელებული ოდენობის ფართის მისი ან მისი წინაპრების მფლობელობაში არსებობის ფაქტი. მოცემული გარემოების დასადასტურებლად საქმეში წარდგენილ იქნა ერთადერთი მტკიცებულება – საინვენტარიზაციო გეგმა.

16. საინვენტარიზაციო გეგმაზე მსჯელობისას სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასები და დაეთანხმა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 16 მაისის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულ მსჯელობას, რომ სადაც მისამართზე მდებარე სახლთმფლობელობის ტექნიკური ინვენტარიზაციის გეგმის მონაცემების თანახმად №5, 6, 6', 6'', 6''' და 14 ოთახების საერთო ფართი შეადგენდა 73.67 კვ.მ-ს. სააპელაციო სასამართლომ ხსენებული დასკვნა გაიზიარა იქიდან გამომდინარე, რომ იგი მიღებული იყო სათანადო კვლევისა და ექსპერტთა მიერ ადგილზე დათვალიერების ჩატარების შედეგად.

17. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოთქმული მოსაზრებას, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი უშვებს შესაძლებლობას, მესაკუთრემ მოსარგებლეს აუნაზღაუროს მიშენება-დაშენების ღირებულება საბაზრო ღირებულების ოდენობით, ხოლო მოსარგებლის მიმართ იგივე სახის დათქმა არაა გამოყენებული. ამდენად, მოსარგებლისათვის მიშენება-დაშენების უსასყიდლოდ გადაცემას კანონი არ ითვალისწინებს.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

18. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა საკუთრების წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

19. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ფაქტობრივი გარემოება, რომ 1957 წელს მოსარჩელეს გადაეცა საინვენტარიზაციო გეგმაზე მითითებული 73.67 კვ.მ ოთახები. მითითებული ოთახებიდან 10,23 კვ.მ აიგო 1979 წელს. სასამართლომ არასწორად აღიარა საკუთრების უფლება 73.67 კვ.მ ფართზე მაშინ, როდესაც მოსარჩელის მიერ პირველ სართულზე დაკავებული ფართი 71.13 კვ.მ-ს შეადგენს. შესაბამისად, მოსარჩელეს ზედმეტად გადასხდელად დაეკისრა 2.54 კვ.მ-ის საფასური.

20. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი და საკუთრების უფლება აღიარა არა რეალურად დაკავებულ, არამედ საინვენტარიზაციო გეგმაზე მითითებულ ფართზე. ამდენად, კასატორს არასწორად დაეკისრა მის მიერ აგებული ოთახის საფასურის გადახდა 7498,59 აშშ დოლარის ოდენობით.

21. კასატორმა მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, ფაქტობრივად, წინას-

წარ დადგენილი ძალა მიენიჭა მოპასუხეების არასწორ ახსნა-განმარტებებს.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2012 წლის 5 ივნისის განჩინებით საკასაციო სა-ჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესა-ბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2012 წლის 24 სექტემბერს საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

23. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შეფასების შედეგად მი-იჩინებს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკ-მაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

24. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სა-კასაციო სასამართლო ამონტებას გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნა-წილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკი-ცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის და-საშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

25. საკასაციო სასამართლო მიიჩნებს, რომ მოცემულ საქმე-ზე სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად ცნობილია და სა-კასაციო საჩივრით დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება) წარმოდგენილი არ არის შემდეგ ფაქ-ტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

26. ქ. თბილისში, მ-ის ქ. №..-ში მდებარე საცხოვრებელი სად-გომის 16/24 ნაწილზე რეგისტრირებულია ი. და გ. ღ-ების, ხო-ლო 8/24 ნაწილზე – რ. ღ-ის საკუთრების უფლება.

27. მოსარჩელე წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომით მო-სარგებლეს. მოსარგებლის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი შეადგენდა 73,67 კვ.მ-ს, რაც მოიცავდა საინვენტარი-ზაციო გეგმის მიხედვით ლიტ „ა-ს“ I სართულის №5, 6, 6', 6'', 6''', 14 ოთახებს, რომლის ადგილზე მდებარეობს მოსარჩელის მიერ აშენებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის 71,13 კვ.მ პირველი სართული.

28. 73,67 კვ.მ ფართით სარგებლობის უფლება მოსარჩე-ლებმ მოიპოვა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლე-ბის დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე, რაც დასტურ-დება აღნიშნულ საცხოვრებელ სადგომში მისი რეგისტრაციით.

29. განსახილველ შემთხვევაში მესაკუთრეებს არ აღუძრავთ სარჩელი (შეგებებული სარჩელი) მოსარგებლის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნით მათთვის კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, რაც უდავოდ მიუთითებს, რომ მესაკუთრეებს არ სურთ მითითებული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენება. აღნიშნული წარმოშობს მოსარგებლის უფლებას, მოითხოვოს სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა მესაკუთრისათვის სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ.

30. ამდენად, მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მოსარჩელე წარმოადგენს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლეს, რომელსაც, მესაკუთრის მხრიდან უძრავ ნივთზე შემხვედრი მოთხოვნის არარსებობის პირობებში, სურს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა ამჟამინდელი მესაკუთრისათვის შესაბამისი ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ, თუმცა მოსარჩელის პრეტენზია ეხება სადაც ფართის ოდენობას. მისი მითითებით, მოსარჩელე ზემოაღნიშნული კანონის მოქმედების ფარგლებში ფლობს მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართის მხოლოდ ნაწილს – 15 კვ.მ-ს, ხოლო დანარჩენი ფართი წარმოადგენს სახელმწიფოს კუთვნილ მინაზე თავად მოსარჩელის სახსრებით აშენებულ ნაგებობას.

31. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს აღნიშნულ საკითხზე სააპელაციო პალატის მსჯელობას და ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მტკიცების სტანდარტზე, რომელიც ადგენს ყოველი მხარის ვალდებულებას, კონკრეტული მტკიცებულების წარდგენის გზით დაასაბუთოს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების არსებობა. შესაბამისად, ამა თუ იმ პრეტენზიის განმცხადებელი მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მისაღებად მან უნდა მიუთითოს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე, იურიდიულად სწორი მტკიცებულებების წარდგენით (სსსკ-ის 103-ე მუხლი) დაადასტუროს დასახელებული ფაქტების არსებობის უტყუარობა და მის მიერ დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებაზი უნდა ქმნიდეს სამართლებრივი ნირმით განსაზღვრულ შემადგენლობას.

32. იმ პირობებში, როდესაც დავა ეხება უძრავი ნივთის კუთვნილების საკითხს, სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის სა-

ფუძველზე სამართლებრივად სწორ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს საჯარო რეესტრის ამონანერის მონაცემები.

33. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც მდებარეობს მოსარჩევის მიერ აშენებული შენობა, რეგისტრირებულია მოპასუხების საკუთრების უფლება, რაც დასტურდება საქმის მასალებში წარმოდგენილი ამონანერით საჯარო რეესტრიდან.

34. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩევემ სადაცო ნაგებობის სახელმწიფოს კუთვნიოლ მიწაზე აგების ფაქტის დასადასტურებლად მიუთითა რ. ღ-ის 2010 წლის 7 მაისის ზეპირი გამოკითხვის ოქმის ასლზე, სადაც რ. ღ-მა განმარტა, რომ „მათ მიწა მიიტაცეს უკანონოდ, მოწყუებით“.

35. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ცხადია, აღნიშნული დოკუმენტი ვერ ჩაითვლება სადაცო გარემოების მამტკიცებელ კანონიერ საშუალებად. ამავდროულად, დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ წარმოდგენილი ოქმი თავისი ფორმითა და შინაარსით არ აქმაყოფილებს სსსკ-ის 131-ე მუხლით მტკიცებულების ერთ-ერთი სახის – მხარის აღიარებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, არ შეიცავს სადაცო გარემოების დასადგენად საჭირო და საკმარის ინფორმაციას. მისი მეშვეობით შეუძლებელია იმ მიწის იდენტიფიცირება, რომელსაც განმარტების მიმცემი გულისხმობს და ა.შ.

36. საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას სადაცო ფართის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული კუთხით სააპელაციო პალატამ მართებულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დაეთანხმა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 16 მაისის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულ მსჯელობას, რომ სადაცო მისამართზე მდებარე სახლთმულობელობის ტექნიკური ინვენტარიზაციის გეგმის მონაცემების თანახმად, №5, 6, 6', 6'', 6''' და 14 ოთახების საერთო ფართი შეადგენდა 73.67 კვ.მ-ს.

37. კასატორმა ვერ დაასახელა იმ ფაქტის გამაბათილებელი არგუმენტი, რომ აღნიშნული დასკვნა ასახავდა სადაცო ფართის რეალურ მოცულობას და მიღებული იყო სათანადო კვლევის, ექსპერტთა მიერ ადგილზე დათვალიერების ჩატარების შედეგად.

38. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ სამართლებრივად სწორად

განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, როდესაც მიუთითა, რომ კანონის აღნიშნული დანაწესი უშვებს შესაძლებლობას, მესაკუთრემ მოსარგებლეს აუნაზღაუროს მიშენება-დაშენების ლირებულება საბაზრო ლირებულების ოდენობით, ხოლო მოსარგებლის მიმართ იგივე სახის დათქმა არ მოქმედებს. ამდენად, მოსარგებლისათვის მიშენება-დაშენების უსასყიდლოდ გადაცემას კანონი არ ითვალისწინებს.

39. აღნიშნულ დასკვნას საფუძვლად უდევს შემდეგი სამართლებრივი დასაბუთება:

40. ზემოაღნიშნული კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია მესაკუთრის ვალდებულება, ნივთზე მფლობელობის შეწყვეტის სანაცვლოდ, მოსარგებლეს აუნაზღაუროს მის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯები საბაზრო ლირებულების სრული ოდენობით, რაც შეეხება შემთხვევებს, როდესაც მოსარგებლე ითხოვს მის მიერ განხორციელებულ მიშენებაზე მესაკუთრედ ცნობას და მესაკუთრე არ იყენებს უპირატეს უფლებას, მოსთხოვოს მოსარგებლეს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, ასეთი კანონით პირდაპირ მოწესრიგებული არ არის.

41. შესაბამისად, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების თავისებურებების გათვალისწინებით ეს საკითხი უნდა გადაწყვდეს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე.

42. მოსარგებლის მიერ განხორციელებულ მიშენებაზე ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე მოსარგებლის მესაკუთრედ ცნობა ენინაალმდეგება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებს, სპეციალური მოწესრიგების გზით დააბალანსოს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრისა და მოსარგებლის ინტერესები.

43. სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის მიზანია, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული წორმატიული აქტების საფუძველზე. ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მე-

საკუთრე რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო ამ მინის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე. მინის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის წესს არეგულირებდა იმ დროს მოქმედი მინის შესახებ კანონმდებლობა, კერძოდ, იმ დროს მოქმედი მინის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, მოქალაქეს მინის ნაკვეთი სარგებლობაში გადაცემოდა ამ საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ საფუძვლების მე-20 მუხლის თანახმად, მოქალაქეს უფლება ჰქონდა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის შიეღო მფლობელობაში მინის ნაკვეთი და ესარგებლა ამ მინის ნაკვეთით სიცოცხლის ბოლომდე მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით. ამასთან, მინის მფლობელებს ჰქონდათ მათ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთისა ან მისი ნაწილის მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის უფლება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით (საფუძვლების მე-16 მუხლის მე-7 ქვეპუნქტი). იმ დროს მოქმედი მინის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მინის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მინის ნაკვეთი, ისიც კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება იყო ბათილი.

44. შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მესაკუთრე და მინის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე იქცა მინის ნაკვეთის მესაკუთრედ. მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მინის ნაკვეთზე მისივე თანხმობით მოსარგებლის მიერ მიშენებული ფართი მინის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილია და მიშენებაზე მოსარგებლის საკუთრების ცნობის შემთხვევაში მცირდება მესაკუთრის კუთვნილი თავისუფალი მინის ნაკვეთი.

45. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით რეგულირებულ შემთხვევაში მესაკუთრეს რჩება მის ნაკვეთზე მოსარგებლის მიერ მიშენებული ნაგებობა, ანუ იზრდება მისი ქონების ღირებულება (მინის ნაკვეთს ემატება მისი არსებითი შემადგენელი ნაწილი ნაგებობის სახით) და, ბუნებრივია, რომ ამ ღირებულების გაზრდის საფუძვლის – განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების სარჯები საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით მოსარგებლებს უნდა აუნაზღაურდეს მესაკუთრის მხრიდან. რაც შეეხება საწინააღმდეგო შემთხვევას (როცა მიშენების მესაკუთრედ მოსარგებლის ცნობა ხდება), ფაქტობრივად, მცირდება მესაკუთ-

რის აქტივები (მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოსარგებლის მიშენებაა განთავსებული) და, შესაბამისად, მხარეთა ქონებრივი ინტერესების დაბალანსების მიზნით, ეს არ უნდა მოხდეს ყოველგვარი სასყიდლის გარეშე (სუსგ 18.02.15წ. განჩინება საქმე წეს-1233-1174-2014).

46. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივ საფუძველზე კასატორმა ვერ მიუთითა. შესაბამისად, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

### **დადგინა:**

1. დ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მოსარგებლის მიერ სადგომზე საკუთრების უფლების მოაოვება

## განხილვა

№ას-759-727-2016

12 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმითა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფ-  
ლების გადაცემა თანხის გადახდის სანაცვლოდ

**აღნერილობითი ნაწილი:**  
**სასარჩელო მოთხოვნა:**

1. მ. ტ-მა (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასა-  
მართლოში ვ. ჯ-ს (შემდგომში – მესაკუთრე მოპასუხე), ზ. და პ.  
ვ-ების (შემდგომში – მოპასუხები) მიმართ ქ. თბილისში, ზ-ის  
ქ. №.-ში (შემდგომში – სადავო უძრავი ქონება) მდებარე 23,15  
კვ.მ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულების 25%-ის  
– 5255,5 ლარის გადახდის სანაცვლოდ, სადგომის მესაკუთრედ  
ცნობის შესახებ.

**სარჩელის საფუძვლები:**

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ წარმოადგენს სადავო საც-  
ხოვრებელი სადგომის მფლობელს, რომლის მესაკუთრები არი-  
ან მოპასუხები. არსებობს ფაქტობრივ-სამართლებრივი სა-  
ფუძველი, რათა კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გა-  
დახდის სანაცვლოდ, უძრავი ნივთი გადაეცეს საკუთრებაში.

**მოპასუხის პოზიცია:**

3. მოპასუხებმა არსებითი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს  
და განმარტეს, რომ მოსარჩელე საცხოვრებელი სადგომის  
მფლობელს არ წარმოადგენს, შესაბამისად, მისი მოთხოვნა, უძ-  
რავი ნივთის საბაზრო ლირებულების 25%-ის გადახდის სანაც-  
ხლოდ, სადგომის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე დაუსაბუთე-  
ბელია.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების  
სარეზოლუციო ნაწილი:**

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის  
გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარ-

ჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზო-ლუციო ნაწილი:**

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2014 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით საა-პელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც მოსარჩელემ გაასა-ჩივრა საკასაციო წესით.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზო-ლუციო ნაწილი:**

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განჩინებით საკასაციო სა-ჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინე-ბა გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახ-ლა განსახილველად.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ-ციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივ-რებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილ-და, მოსარჩელე ცნობილ იქნა სადაც უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობა №2, ლიტ „ა“) 23.15 კვ.მ-ის მესაკუთრედ, მოპასუხეე-ბისათვის 5255,25 ლარის გადახდის სანაცვლოდ, შემდეგ გარე-მოებათა გამო:

8. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადაც 175.52 კვ.მ საერთო ფართიდან №2 შენობა-ნაგებობა (ლიტ „ა“), მათ შო-რის, 17 კვ.მ სარდაფი, ანუ 1/3 ნაწილი საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მესაკუთრე მოპასუხის სახელზე, ხოლო ლიტ „ა“-ს დარჩენილი 2/3 – ტექინიკურტარიზაციის ბიუროში ან გარ-დაცვლილ ა. ვ-ის (შემდგომში – მაკვიდრებელი) სახელზე.

9. ამ უკანასკნელის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიი-ღეს მეუღლემ და ორმა ვაჟმა. ამჟამად სამივე მათგანი გარდაც-ვლილია. ერთ-ერთი ვაჟის კუთვნილი წილი – 1/3 მიიღო და დაი-რეგისტრირა საჯარო რეგესტრში მისმა მეუღლემ – მესაკუთრე მოპასუხემ. მეორე ვაჟის კუთვნილი 1/3 სამკვიდრო მოწმობით მიიღო შვილმა ზ-მა, ხოლო მაკვიდრებლის მეუღლის 1/3 წილი ფაქტობრივი ფლობით თანაბარნილად მიიღეს შვილიშვილებმა – მოპასუხებმა, შესაბამისად, ლიტ „ა“-ს მესაკუთრეებად ით-ვლებიან მესაკუთრე მოპასუხე – 1/3 წილში, პ. ვ-ი – 1/6 წილში და ზ. ვ-ი – 1/2 წილში.

10. მოსარჩელის ან გარდაცვლილი მამა სადავო საცხოვრებელ სახლში რეგისტრირებული იყო 1949 წლიდან, მოსარჩელე კი – 1973 წლის 1 აგვისტოდან. სს „თელასის“ ცნობით დადგენილია, რომ მოსარჩელის მამა 1996 წლიდან ირიცხება აბონენტად, 2006 წლიდან – არააქტიური სტატუსით. 1996 წლამდე ინფორმაცია, ხანდაზმულობის გამო, კომპანიაში არ ინახება. დღევანდელი მდგომარეობით სადავო საცხოვრებელ სადგომს ფლობენ მოპასუხეები.

11. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე მოსარგებლისათვის საკუთარების უფლების გადაცემა, ამ თვალსაზრისით მოსარჩელე, საკუთარი პოზიციის დადასტურების მიზნით, მიუთითებს, რომ წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლეს საცხოვრებელი სადგომის დათმობის გარიგების საფუძველზე და გადახდილი აქვს გარკვეული თანხა, თუმცა ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ გააჩნია (დათმობის გარიგება დაიდო მოსარჩელის მამასა და მოპასუხეების მამკვიდრებელს შორის).

12. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შესაგებლით მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა მხარეთა მამკვიდრებლებს შორის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობაზე. მოსარჩელის მამის რეგისტრაციის ფაქტთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ ეს მოპასუხის კეთილი ნება იყო. ამასთან, მოსარჩელეს სადგომის მფლობელობა მიტოვებული აქვს.

13. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მომენტისათვის მის მიერ სადავო საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივად ფლობის ფაქტი.

14. სააპელაციო პალატის მითითებით, აპელანტის პრეტენზია ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას სამოქალაქო საქმეებზე. იგი მიიჩნევს, რომ საცხოვრებელი სადგომის მიტოვება უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ნებელობითი აქტით, რაც სასამართლოს არ დაუდგენია. სააპელაციო პალატამ აპელანტის მითითებული პრეტენზიის შემოწმების მიზნით, ყურადღება გაამახვილა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტზე.

15. სააპელაციო პალატამ თავისი მსჯელობა განსახილველ საქმეზე დააფუძნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის განჩინებაში მითითებულ მოსაზრებებს და განმარტა, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, უნდა გავმიჯონთ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონის მიზნებიდან გამომდინარე ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება. რადგან მითითებული კანონი ანესრიგებს 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს.

16. ამ ორი სამართლებრივი ინსტიტუტის (ქირავნობა, საცხოვრებელი სადგომის დათმობა) გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობისაა იმ დროს არსებული სამართლებრივი აქტებისა და მათ საფუძველზე წარმოშობილი ქირავნობითი ურთიერთობის კავლიფიკაცია, კერძოდ, (1964 წლის რედაქციის) საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 290-ე მუხლი არეგულირებდა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას. ამავე მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულება დაიდება, შეიცვლება და მოიშლება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებითა და წესით. იმ დროს მოქმედი საქართველოს სსრ-ის საბინაო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, მოქალაქეებს, რომელთაც პირად საკუთრებაში ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი, უფლება გააჩნდათ, შეესახლებინათ სახლში სხვა მოქალაქენი, აგრეთვე, გაექირავებინათ იგი კანონით დადგენილი პირობებითა და წესით. აღნიშნული ქირავნობის ვადა და სხვა პირობები რეგულირდებოდა მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რა დროსაც უნდა დაცულიყო წერილობითი ფორმა.

17. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მფლობელობის უფლების მიღების საფუძვლები უნდა გავიგოთ, უპირველეს ყოვლისა, ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ, აღნიშნული კანონი არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, რომლის მარეგულირებელ მექანიზმს არ იცნობდა 1996 წლამდე არსებული კანონმდებლობა. ერთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის გადაცემა ხდებოდა მესაუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრუ-

ლების საფუძველზე, ხოლო, მეორე შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც იგულისხმება კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლების გადაცემა. ამისათვის გარკვეული საფასურის გადახდა, განსახილველი კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი. აღნიშნული საფასური შესაძლებელია, ყოფილიყო, როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიურად გადასახდელი თანხა. აღნიშნული საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლების გადაცემა ფაქტობრივად ხდებოდა მოსარგებლებზე „სამუდამოდ“, რაც განასხვავებდა მას ქირავნობის ინსტიტუტისაგან.

18. ამდენად, გარკვეული ქირის გადახდა თავისთავად არ შეიძლება მიუთითობდეს ქირავნობის ურთიერთობებზე. ქირავნობის ურთიერთობის განსაზღვრისათვის აუცილებელია, არსებობდეს ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ნიშნები: საცხოვრებელი სადგომის გარკვეული დროით გადაცემა და ამისათვის ქირის გადახდა (რომელშიც იგულისხმება ვადიანი და უვადო ხელშეკრულებები, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენებოდა სსრ-ის საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი). სსრ-ის საბინაო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადაღების თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას დამტკირავებელი უდებს სახლის მესაკუთრეს წერილობით. მოცემულ შემთხვევამი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს (მოპასუხებს) უნდა დაედასტურებინათ ქირავნობის ხელშეკრულების ფაქტი მხოლოდ წერილობით დადებული ხელშეკრულებით (იხ, სუსკ №ას-1033-1226-08, 28 მაისი, 2009 წელი). დადგენილია, რომ განსახილველ შემთხვევაში ქირავნობის ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხეს არ წარმოუდგენია.

19. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ამა თუ იმ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალური სამართლის ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების უტყუარდა არსებობა, რაც შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი მტკიცებულებებით. ამ კუთხით პალატამ მიუთითა მფლობელობის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდ-

რეპულ ერთგვაროვან პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მფლობელობად მიიჩნევა საცხოვრებელი ფართის ფლობა, რაც შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოსარგებლის მიერ ნივთით უშუალოდ სარგებლობითა და ფლობით, ასევე მოსარგებლის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების საცხოვრებელ ფართში განთავსებით. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს მფლობელობის არსიდან, რაც გულისხმობს ნივთზე იურიდიულ ბატონობას და არა მხოლოდ მის პყრობას (იხ. სუსგ წარმატების 1665-1653-2011, 28 თებერვალი, 2012 წელი). საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობისათვის, როგორც ზოგადად მფლობელობისათვის, განმსაზღვრელია მფლობელის ნებითი მომენტი, სურვილი, იყოს ნივთის მფლობელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს მას. მფლობელობის იურიდიული ბუნება არ გულისხმობს ნივთთან მხოლოდ ფიზიკურ შემხებლობას. კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარგებლე, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავისუფალია და ნივთის აუცილებლად პირდადად სარგებლობით შეზღუდული არ არის. მოსარგებლე შესაძლებელია, არ ცხოვრობდეს სადავო საცხოვრებელ სადგომში გარკვეული პერიოდი და, აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის განმავლობაში არ იხდიდეს კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან მიატოვა სადავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება (იხ. სუსგ წარმატების 1043-978-2012, 4 მარტი, 2014 წელი).

20. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავო საცხოვრებელი სადგომის კანონის მიღების დროისათვის ფაქტობრივ ფლობას ადასტურებს იმ გარემოებით, რომ მასში დღემდე ინახება მისი კუთვნილი ნივთები (პიანინო, კარადა). აღნიშნულ გარემოებას ადასტურებენ მოპასუხე მხარეებიც. საგულისხმოა ასევე, სს „თელასის“ 2013 წლის 11 აპრილის ცნობა, რომლის საფუძველზე მოსარჩელის მამის აპონენტად არსებობის ფაქტი დადასტურებულია 1996-2006 წლების მონაცემებით (1996 წლამდე ინფორმაცია კომპანიაში ხანდაზმულობის გამო არ ინახება).

21. აღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა დასტურდებოდეს მოსარჩელის მიერ სადავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების მიტოვების ნება.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემ-

დგომში – სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში იმ ფაქტობრივი მოცემულობის პირობებში, მოპასუხეების მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ გარემოების დადასტურება, რომ მოსარჩელეს გააჩნდა სადაც საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების მიტოვების ნება, თუმცა ასეთი მტკიცებულებები მოპასუხებს სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ. ასეთ ვითარებაში კი, სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მომენტისათვის მოსარჩელის მიერ სადაც საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივად ფლობის ფაქტი, რაც სარჩელის დაცმაყოფილების საფუძველია.

23. საქმეში წარმოდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ სასაქონლო და საინჟინრო ექსპერტიზის №. დასკვნის თანახმად, 2013 წლის 27 ივნისის მდგომარეობით სადაც უძრავი ნივთის ექსპერტიზაზე შესაფასებლად წარმოდგენილი ფართის (საინჟინრო კელევაზე დაყრდნობით, საერთო ფართით – 23.15 კვ.მ) მთლიანი საბაზრო ღირებულება შეადგენს 21021 ლარს.

#### **კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

24. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხებმა გაასაჩივრეს საკასაციო ნებით, მოითხოვეს მისი გაუქმება თანასაკუთრებაში არსებული 7,63 კვ.მ სველი წერტილის მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში და აღნიშნული ფართის თანასაკუთრებაში დატოვება შემდეგი საფუძვლებით:

25. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიყვნია საქმის ფაქტობრივი გარემოებანი. პალატამ იმსჯელა მხოლოდ იმ საკითხზე, წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელე სადაც ფართის მოსარგებლეს თუ დამქირავებელს, რა დროსაც მხედველობიდან გამორჩა იმ ფაქტის გამოკვლევა, რომ 7,63 კვ.მ სველი წერტილით სარგებლობდა არა მხოლოდ მოსარჩელე, არამედ მოპასუხებებიც. მათ შეეზღუდათ სარდაფით, კორიდორითა და სველი წერტილით სარგებლობის შესაძლებლობა, რითაც სასამართლომ დაარღვია კასატორების მიმართ სსკ-ის 170-ე მუხლითა და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული უფლებები.

26. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არ გამოიყენა მოცემული დავის გადაწყვეტისათვის საჭირო სსკ-ის 170-ე და 173-ე მუხლები.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

28. საკასაციო სასამართლომ მოცემული საქმის განხილვა დანიშნა მხარეთა დასრუებით, რა დროსაც მხარეთა შორის მიღწეულ იქნა მორიგება და სასამართლოს დასამტკიცებლად წარედგინა მორიგების აქტი შემდეგი პირობებით:

1. ვ. ჯ-ი, პ. ვ-ი და ზ. ვ-ი კისრულობები ვალდებულებას, სოლიდარულად გადაუხადონ მ. ტ-ს 12300 (თორმეტი ათას სამასი) ლარი ყოველთვიურად 1025 ლარის ოდენობით;

2. თანხის გადახდა დაინტეგრა 2016 წლის 30 ნოემბრიდან. ანგარიშსწორების ფორმა მხარეებს შორის იქნება ნალიდ-დო (საბანკო გადარიცხვა) მ. ტ-ის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;

3. თანხის გადახდა განხორციელდება 2016 წლის 30 ნოემბრიდან 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, ყოველი თვის არაუგვიანეს 30 რიცხვისა;

4. ნალიდი ანგარიშსწორების შემთხვევაში მხარეებს შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;

5. მ. ტ-ი უფლებამოსილი იქნება, ვალდებულების შესრულების ვადის 05 დღით დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიაჟილოს აღსასრულებლად;

### **სამოტივაციო ნაწილი:**

29. საკასაციო სასამართლო გაეცნო მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა მორიგების დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და გარემოებათა გამო:

30. სსს-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულია სამოქალაქო სამართალარმოებისათვის მნიშვნელოვანი დისპოზიციურობის პრინციპი, რაც უმთავრესად ნიშნავს მხარეთა მიერ საკუთარი ნების საფუძველზე კანონით მათთვის მინიჭებული უფლებების განკარგვას. მათ შორისაა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლება, მხარეებმა დავის შენწყვეტის მიზნით, მიაღწიონ შეთანხმებას გარკვეულ პირობებზე (მორიგდნენ), რომელიც ორმხრივ მავალდებულებელია და სასამართლოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში ექვემდებარება აღსრულებას.

31. საკასაციონ პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მორიგების აქტით განსაზღვრული პირობები გამოხატვის მხარეთა ნებას, რაც დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მორიგების აქტით, ამავდროულად, მორიგების აქტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს.

32. საკასაციონ პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეებისათვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩინების კანონიერ დალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმის წარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

33. სსსკ-ის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტის საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

34. სსსკ-ის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანხმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

35. ამდენად, მხარეთა მორიგების საფუძველზე კასატორ ვ.ჯ-ს, პ. და ზ. ვ-ებს სრულად უნდა დაუბრუნდეთ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ზ. ვ-ის მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს №... საკრედიტო საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 370 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციონ სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-3 მუხლით, 399-ე მუხლით, 373-ე მუხლის მეორე ნაწილით, 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით, 49-ე მუხლის მეორე ნაწილით და

### **და ადგინდეთ:**

1. დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობე-

ბით:

1. ვ. ჯ-ი, პ. ვ-ი და ზ. ვ-ი კისრულობენ ვალდებულებას, სოლიდარულად გადაუხადონ მ. ტ-ს 12300 (თორმეტი ათას სამასი) ლარი ყოველთვიურად 1025 ლარის ოდენობით;
2. თანხის გადახდა დაიწყება 2016 წლის 30 ნოემბრიდან. ანგარიშსნორების ფორმა მხარეებს შორის იქნება ნაღდი ან უნაღდო (საბანკო გადარიცხვა) მ. ტ-ის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;
3. თანხის გადახდა განხორციელდება 2016 წლის 30 ნოემბრიდან 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, ყოველი თვის არაუგვიანეს 30 რიცხვისა;
4. ნაღდი ანგარიშსნორების შემთხვევაში მხარეებს შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;
5. მ. ტ-ი უფლებამოსილი იქნება, ვალდებულების შესრულების ვადის 05 დღით დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიაქციოს აღსასრულებლად.
2. მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს და გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის ყველა გადაწყვეტილება;
3. განემარტოს მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დაუშვებელია სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით;
4. კასატორ ვ. ჯ-ს (პირადი №...) პ. ვ-სა (პირადი №...) და ზ. ვ-ს (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეთ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ზ. ვ-ის მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს №.. საკრედიტო საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 370 ლარი.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მოსარგებლის მიერ სადგომზე საკუთრების უფლების მოაოვება

## განხილვა

№ას-1115-1072-2016

17 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემაღებელობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ.ალავიძე,  
ნ.ბაქაქური

**დავის საგანი:** საცხოვრებელი სადგომის ღირებულების გა-  
დახდის სანაცვლოდ, მის მესაკუთრედ ცნობა (ძირითად სარ-  
ჩელში), გარიგების არარსებობის აღიარება (შეგებებულ სარ-  
ჩელში)

### აღწერილობითი ნაწილი:

#### სასარჩელო მოთხოვნა:

1. ლ. ვ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასა-  
მართლოში მ. და ს. კ-ების (შემდგომში – მოპასუხეები, შეგე-  
ბებული სარჩელის ავტორები) მომართ საცხოვრებელი სადგო-  
მის საბაზრო ღირებულების – 27 200 აშშ დოლარის 25%-ის –  
6800 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, მის მესაკუთრედ  
ცნობის შესახებ.

#### სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ უძრავი ნივთის ნასყიდობის  
ზეპირი ხელშეკრულებით შეიძინა მოპასუხეთა მფლობელობის  
უფლება მოპასუხეთა კუთვნილ 53,67 კვ.მ ფართზე. სსიპ „ლე-  
ვან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვ-  
ნული ბიუროს“ 2014 წლის 6 ოქტომბრის სასაქონლო-საინჟინ-  
რო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სადავო ფართის საბაზ-  
რო ღირებულებაა 27 200 აშშ დოლარი.

3. მხარემ მიუთითა, რომ სადავო სადგომის მესაკუთრე მას  
ფართის ღირებულების 75%-ს არ უნაზღაურებს, შესაბამისად,  
მოსარჩელეს უფლება აქვს, თავად გადაიხადოს 25% და გახ-  
დეს ფართის მესაკუთრე.

#### მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩე-  
ლით მოითხოვეს მოპასუხეთა მამას – ა. კ-ესა (შემდგომში მამ-  
კვიდრებელი) და ძირითად მოსარჩელეს შორის სადავო უძრავ

ქონებაზე სადგომის დათმობის შესახებ გარიგების დადების ფაქტის აღიარებაზე უკარის თქმა.

5. შეგებებული სარჩელის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ მათ მამკუიდრებელს სადაცო ფართი მოსარჩელისათვის არ დაუთმია, არამედ ეს უკანასკნელი ცხოვრობდა სადგომში დამქირავებლის სტატუსით.

### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხებს დაევალათ, მოსარჩელის მიერ სადაცო სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოსარჩელისათვის გადაცემა, შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს მიღებული აქვს დედის სამკვიდრო ქონება.

9. შეგებებული სარჩელის ავტორებს, როგორც ანდერძისმიერ მემკვიდრეებს, მიღებული აქვთ მამის სამკვიდრო ქონება, რომელსაც, თავის მხრივ, 1975 წელს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ქონება მიღებული ჰქონდა მესაკუთრისაგან.

10. საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეგებებული სარჩელის ავტორთა სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია შენობა-ნაგებობის 9/12 ნაწილი, გარდა 63.33 კვ.მ საცხოვრებელი სადგომისა (მათ შორის, 49,21 კვ.მ საცხოვრებელი და 14,12 კვ.მ დამხმარე ფართი).

11. საქმეში წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია მხარეთა მამკვიდრებლებს შორის.

12. მოსარჩელის ახსნა-განმარტების საფუძველზე სააპელა-

ციონ სასამართლომ დაადგინა, რომ ჯერ კიდევ 1905 წლიდან სა-დაცვო ფართს ფლობდა მოსარჩელის ოჯახი. აღნიშნულს ასევე ადასტურებს საარქივო მასალებში წარმოდგენილი მოპასუხე-თა მამკვიდრებლის თანხმობა, რომელიც მიუთითებს, რომ მო-სარჩელის ბებია ჯერ კიდევ 1905 წლიდან ცხოვრობს აღნიშ-ნულ მისამართზე. შემდგომ სადაცვო სადგომის ფლობა განაგ-რდო მოსარჩელის დედამ, რომელსაც ქ. თბილისის კიროვის სა-ხელობის რაიონის აღმასკომის 1961 წლის 28 ივნისის დადგე-ნილების საფუძველზე ნება დაერთო, თავისი საცხოვრებელი ოთახის წინ შემინოს ლია აივანი და მოაწყოს დამოუკიდებელი შესასვლელი.

13. სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა, ასევე, რომ მოსარჩელე 1971 წლის 4 მარტიდან რეგისტრირებული იყო სა-დაცვო სადგომში. საინფორმაციო ბარათით დგინდება, რომ მო-სარჩელის რეგისტრაცია 2014 წლის 20 ივნისიდან გაუქმდა მე-საკუთრის განცხადების საფუძველზე.

14. 2014 წლის 8 აგვისტოს სს „თელასის“ მიერ გაცემული ინ-ფორმაციით, მონაცემთა ბაზაში სადაცვო მისამართზე 1996 წლის პირველადი მონაცემებით აბონენტი რეგისტრირდება მოსარ-ჩელის გვარზე.

15. 2015 წლის 7 აგვისტოს წერილის პასუხად, შპს „ყაზიტრან-სგაზ თბილისმა“ ერთ-ერთ მოპასუხეს აცნობა, რომ მოსარჩე-ლის გვარზე ბილინგის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 2012 წლის 26 ივნისიდან და მისი აბონირება კომპანიამ განა-ხორციელა ქ. თბილისის მერიის, კერძოდ, ძველი თბილისის გამ-გეობის დაკვეთით. ზემოთ მითითებული მტკიცებულებების, ასევე, საქმეში წარმოდგენილი კომუნალური გადახდის ქვით-რების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩ-ნია, რომ მოსარჩელე აბონენტად იყო რეგისტრირებული სადა-ცო ფართში.

16. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 20 ივნისის გა-დაწყვეტილებით, ერთ-ერთი მოპასუხეს განცხადების საფუძ-ველზე, სადაცვო მისამართიდან რეგისტრაციიდან მოიხსნენ მო-სარჩელე და მისი ოჯახის წევრები.

17. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ მოსარჩელე არ ფლობს სადაცვო ფართს. სააპელაციო სასა-მართლოს სხდომაზე მხარეთა განმარტებით დადგინდა, რომ მოსარჩელე სადაცვო ფართში ახორციელებს სარემონტო სამუ-შაოებს. აღნიშნულს ადასტურებს ასევე საქმეში წარმოდგენი-ლი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-

ტიზის „ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის 6 ოქტომბრის დასკვნა, რომლის კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ ოთახში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

18. ამდენად, სადაც ფართში რეგისტრაცია (ჩაწერა), ასევე, აბონენტად რეგისტრაცია და სადაც ფართის ფლობა ერთობლიობაში იძლევა იმ დასკვნის გაეთვის საფუძველს, რომ მოსარჩელე წარმოადგენს მოსარგებლეს, რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს. მან მფლობელობის უფლება მიიღო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობს უფლების დათმობის შესახებ გარიგებით.

19. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის 6 ოქტომბრის დასკვნის თანახმად, სახლის საცხოვრებელი და დამხმარეო ოთახების საერთო ფართი შეადგენს 53,67 კვ.მ-ს. №1 12,27 კვ.მ პოლი, 2,05 კვ.მ №2 სანკვანი, 23,36 კვ.მ №3 ოთახი, 8,85 კვ.მ №4 ოთახი, 7,14 კვ.მ №5 სარადაფი. აღნიშნული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 27 200 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 47 780 ლარს.

20. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა სადაც ფართის დამტკრავებელს და არა მოსარგებლეს.

21. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავმიჯნოთ აღნიშნული კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება. რამდენადაც მითითებული კანონი აწესრიგებს 1997 წლამდე წარმოშობილ ურთიერთობებს, ამ ორი სამართლებრივი ინსტიტუტის გამიჯვნისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმ დროს არსებული სამართლებრივი აქტებისა და მათ საფუძველზე წარმოშობილი ქირავნობის ურთიერთობის კვალიფიკიციას. 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 290-ე მუხლი არეგულირებდა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამგვარი ხელშეკრულება დაიდება, შეიცვლება და მოიშლება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და პირობებით. იმ დროისათვის მოქმედი საბინაო კოდექსის 136-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეებს, რომელთაც პირად საკუთრებაში ჰქონდათ სახლი, უფლება გააჩნდათ,

შეესახლებინათ მასში სხვა მოქალაქენი, აგრეთვე, გაექირავებინათ იგი კანონით დადგენილი პირობებითა და წესით.

22. სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 271-ე მუხლის მიხედვით, ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდა 10 წელს. ამავე კოდექსის 270-ე მუხლის თანახმად კი, ქირავნობის ხელშეკრულება მოქალაქეთა შორის ერთ წელზე მეტი ვადით უნდა დადებულიყო წერილობით. ამდენად, აღნიშნული ურთიერთობა ითვალისწინებდა გარკვეული ვადით საცხოვრებელი სადგომით სარგებლობას. განუსაზღვრელი ვადაც მიუთითებს სადგომით დროებით სარგებლობაზე. განუსაზღვრელი ვადით საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა მესაკუთრეს შეეძლო მოეთხოვა საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 154-ე მუხლის მოთხოვნათა დაკვით.

23. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულია ისეთი ურთიერთობები, როდესაც მესაკუთრის მიერ ხდებოდა ნიგოთის დათმობა მოსარგებლის სასარგებლოდ. ერთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის გადაცემა ხდებოდა მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაკვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო, მეორე შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლების გადაცემისათვის გარკვეული საფასურის გადახდა, განსახილველი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი. აღნიშნული საფასური შესაძლებელია ყოფილიყო როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიურად გადასახდელი თანხა. აღნიშნული საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლების გადაცემა ფაქტობრივად ხდებოდა მოსარგებლებზე „სამუდამოდ“, რაც განასხვავებდა მას ქირავნობის ინსტიტუტისაგან.

24. ამრიგად, ქირავნობის ურთიერთობის განსაზღვრისათვის აუცილებელია, არსებობდეს ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა საცხოვრებელი სადგომის გარკვეული დროით გადაცემა და ამისათვის ქირის გადახდა (იგულისხმება ვალიანი და უვადო ხელშეკრულებები, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენებოდა სსრ საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი). სსრ საბინაო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირვე-

ლი წინადადების თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას დამტკირავებელი უდებს სახლის მესაკუთრეს წერილობით. განსახილველ შემთხვევებში, ამგვარი ხელშეკრულება შეგებებული სარჩელის ავტორებს (მოპასუხეებს) არ წარუდგენიათ; მათ ვერ შეძლეს იმ გარემოების დადასტურება, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა საცხოვრებელი სადგომის მოქირავნეს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

25. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის შეფასებით, შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული.

26. შეგებებული სარჩელით მხარემ მოითხოვა, არ იქნეს აღიარებული გარიგების ფაქტი საცხოვრებელი სადგომის დათმობის შესახებ უძრავ ნივთზე. მათი მითითებით, მოსარჩელის ოჯახისათვის ფართის დათმობა არ მომხდარა, არც რაიმე გარიგება დადგებულა ფართის დათმობის შესახებ, არამედ ისინი სადაცოფართში ცხოვრობდნენ მხოლოდ მდგმურის უფლებით.

27. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს უფლებებთან ერთად ეკისრებათ ფაქტების მითითებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, რომელთა შეუსრულებლობა მხარეებისათვის არახელსაყრელ შედეგს ინვერს. ეს დანაწესი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-4 მუხლში, რომლის მიხედვითაც, მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ, განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

28. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

29. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული კატეგორიის დავის სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტის მიზნე-

ბისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცების ტვირთის განაწილების სსსკ-ში მოქმედი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხებ კი ის გარემოები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება.

30. განსახილეველ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის ავტორებმა, ქირავნობის ფაქტის დადასტურების მიზნით, მიუთითეს საქმეში წარმოდგენილ გადახდის ქვითრებზე, ხელწერილზე და აღმასკომის გადაწყვეტილებაზე, თუმცა მითითებული მტკიცებულებებით არ დასტურდება, სადაცო ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე წარმოადგენს სადაცო ფართის დამქირავებელს.

31. სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე წარმომადგენილი სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სადაცო ფართის ოდენობასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენების საფუძველზე, ასევე, საქმეში წარმოდგენილი არქივის მასალებზე დაყრდნობით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად დადგინდა, რომ მოსარჩელეს მფლობელობაში აქვს არა მარტივი ერთი 20 კვ.მ ოთახი, არამედ მის დედას 1961 წლის 28 ივლისის დადგენილებით ნება დაერთო, თავისი საცხოვრებელი ოთახის წინ ღია აივნის შემინვის თაობაზე და დამოუკიდებელი შესასვლელის მოწყობაზე, რის თაობაზეც თანხმობა მიღებული ჰქონდა მოპასუხების მამკვიდრებლისაგან, რომელიც წარმოადგენდა ბინის მესაკუთრეს.

32. სააპელაციო საჩივრით სადაცოდაა მიჩნეული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 9 მარტის საოქმო განჩინებაც.

33. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების სსსკ-ის 377-ე მუხლის ფარგლებში შემოწმების შედეგად ჩათვალა, რომ არ არსებობს გადაწყვეტილების წინმსწრები, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის საოქმო განჩინების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებული განჩინება, ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით, დასაბუთებულია, კანონიერია და სააპელაციო საჩივრში მითითებული გარემოებები არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

34. სააპელაციო პალატამ, უპირველეს ყოვლისა, მიუთითა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივ-

ნისის კანონის მე-11 მუხლით, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი

35. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1997 წლის 25 ნოემბრამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებაზე, რომელიც წარმოშობილია ქირავნობის საფუძველზე ან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., №36, მუხ. 662) გათვალისწინებულ სხვა საფუძველზე. თუ მხარეებმა იურიდიულად ნამდგილი ხელშეკრულებით მოაწესრიგეს ამ კანონით გათვალისწინებული ურთიერთობა, მხარეთა შეთანხმებას ენიჭება უპირატესობა ამ კანონით დადგენილი წესების მიმართ. ამ კანონით გათვალისწინებულ უფლებებზე არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ვადები.

36. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონმა ახლებურად მოაწესრიგა ამ კანონიდან გამომდინარე ურთიერთობები, თუმცა განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს ამ საფუძვლით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. კანონის ძველი რედაქციია ითვალისწინებდა, რომ „თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში, ხოლო მე-6 პუნქტით, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ, დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა (კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნ-

ქტი).

37. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, მოსარგებლე, რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს და რომელმაც მფლობელობის უფლება მიიღო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, უფლებამოსილია მოითხოვოს საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვა საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 25 პროცენტის ოდენობის კომპენსაციის გადახდის პირობით.

38. ამავე ნორმის მეორე პუნქტის მიხედვით, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებით/გარემოებებით: სადაც საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისათვის გარკვეული საფასურის გადახდა.

39. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩევე წარმოადგენდა სადაც საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლეს, რომელსაც მფლობელობის უფლება მიღებული ჰქონდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით და იგი არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობდა საცხოვრებელ სადგომს.

40. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონის მე-11 მუხლით, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი, რომელიც სამართლებრივ საფუძვლად დაედო ჰირველი ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ახალი კანონის რეგულირების ფარგლებშიც, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებშიც, მოსარგებლე უფლებამოსილია მოითხოვოს საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვა საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 25 პროცენტის ოდენობის კომპენსაციის გადახდის პირობით, შესაბამისად, საპროცესო ეკონომიკისა და სწრაფი მართლმასჯულების პრინციპთა გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიზანშენონილად არ ჩათვალა გადაწყვეტილების გაუქმება, ვინაიდან საქმეზე არსებითად სწორი

გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

41. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას შეგებებული სარჩელის მოთხოვნის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით გარიგების დადების ფაქტის არ აღიარების შესახებ და ჩათვალა, რომ მას მართებულად ეთქვა უარი.

#### **კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

42. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

43. კასატორებმა მიიჩნიეს, რომ მოსარჩელე სადაც ფართის დამქირავებელი იყო და მასზე სააპელაციო სასამართლომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონის მოქმედება აღნიშნული კანონის არასწორად განმარტების გზით უკანონოდ გაავრცელა. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელე ყოველთვიურად უხდიდა მოპასუხეთა მამკვიდრებლის ოჯახს ქირას, რომელშიც შედიოდა კომუნალური გადასახადებიც. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნულ თანხას იღებდა მისი მეუღლე. სააპელაციო სასამართლომ მითითებული ხარჯთაღრიცხვა მხოლოდ კომუნალური გადასახადების გადახდად არასწორად ჩათვალა. მოსარჩელის ოჯახის მიერ ქირის კეთილსინდისიერად გადახდას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მოპასუხეთა მამკვიდრებელს არ დასჭირებია მის მიმართ სასამართლო დავის წარმოება, როგორც ეს სხვა დამქირავებლების მიმართ განხორციელდა.

44. ამასთან, კასატორებმა მიუთითეს, რომ მოსარჩელის ოჯახს სადაც ფართში უწყვეტად არ უცხოვრია. 1992 წლიდან ისინი სხვა ადგილას გადავიდნენ საცხოვრებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია მისი სადაც მისამართზე რეგისტრაციიდან მოხსნის ფაქტი. ამჟამად სადაც სადგომი ცარიელია და იქ მოსარჩელის კუთვნილი არანაირი ნივთი არ ინახება.

45. მხარის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მოწმეთა ჩვენებები, რადგან ისინი საქმის შედეგით დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ. ორი მათგანი წარმოადგენდა ერთ-ერთი მოპასუხის მოწინააღმდეგე მხარეს სხვა დავაში.

46. კასატორების მოსაზრებით, მის მამკვიდრებელსა და მოსარჩელეს შორის ქირავნობის გარდა სხვა გარიგების, მით უფრო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, დადების დასადასტუ-

რებლად არ არის საკმარისი მხოლოდ საბინაო წიგნის ჩანაწერი, რასაც კანონი მესაკუთრეს ავალდებულებდა და სს „თელასის“ აბონენტად რეგისტრაცია.

47. კასატორებმა მიიჩნიეს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საცხოვრებელი სადგომის ოდენობაზე, რომელიც მოსარჩელებ არასწორად შეაფასა. 12,27 კვ.მ ჰოლი საერთო საკუთრება და წარმოადგენს მეორე სართულზე ასასვლელ გზას. შესაბამისად, მისი ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემა შეუძლებელია. ამასთან, მოსარჩელის ოჯახი დამქირავებლის უფლებით სარგებლობდა მხოლოდ ძირითად ოთახებზე, ხოლო სარდაფი, როგორც სხვა ოთახები, მათ მფლობელობაში არ ყოფილა.

48. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასასვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

49. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამონება საკასაციო საჩივრის დასასვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

50. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეგებებული სარჩელის ავტორთა სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია შენობა-ნაგებობის 9/12 ნაწილი, გარდა 63,33 კვ.მ საცხოვრებელი სადგომისა (მათ შორის, 49,21 კვ.მ საცხოვრებელი და 14,12 კვ.მ დამხმარე ფართი).

51. საქმეში წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია მხარეთა მამკვიდრებლებს შორის.

52. მოსარჩელის ახსნა-განმარტების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ჯერ კიდევ 1905 წლიდან სადაც ფართს ფლობდა მოსარჩელის ოჯახი. აღნიშნულს ასევე ადასტურებს საარქივო მასალებში წარმოდგენილი მოპასუხეთა მამკვიდრებლის თანხმობა, რომელიც მიუთითებს, რომ მოსარჩელის ბებია ჯერ კიდევ 1905 წლიდან ცხოვრობდა აღნიშ-

ნულ მისამართზე. შემდგომ სადაც სადგომის ფლობა განაგრძო მოსარჩელის დედამ, რომელსაც ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის აღმასკომის 1961 წლის 28 ივლისის დადგენილების საფუძველზე ნება დაერთო, თავისი საცხოვრებელი ოთახის წინ შეემინა ღია აივანი და მოეწყო დამოუკიდებელი შესასვლელი.

53. სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა, ასევე, რომ მოსარჩელე 1971 წლის 4 მარტიდან რეგისტრირებული იყო სადაც სადგომში. საინფორმაციო ბარათით დგინდება, რომ მოსარჩელის რეგისტრაცია 2014 წლის 20 ივნისიდან გაუქმდა მესაკუთრის განცხადების საფუძველზე.

54. 2014 წლის 8 აგვისტოს სს „თელასის“ მიერ გაცემული ინფორმაციით, მონაცემთა ბაზაში სადაც მისამართზე 1996 წლის პირველადი მონაცემებით აბონენტი რეგისტრირდება მოსარჩელის გვარზე.

55. 2015 წლის 7 აგვისტოს წერილის პასუხად, შპს „ყაზტრანსგაზ თბილისმა“ ერთ-ერთ მოპასუხეს აცნობა, რომ მოსარჩელის გვარზე ბილინგის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 2012 წლის 26 ივნისიდან და მისი აბონირება კომპანიამ განახორციელა ქ. თბილისის მერიის, კერძოდ, ძველი თბილისის გამგეობის დაკვეთით. ზემოთ მითითებული მტკიცებულებების, ასევე, საქმეში წარმოდგენილი კომუნალური გადახდის ქვითრების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე აბონენტად იყო რეგისტრირებული სადაც ვო ფართში.

56. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი მოპასუხის განცხადების საფუძველზე, სადაც მისამართზე რეგისტრაციიდან მოიხსენენ მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები.

57. სააპელაციო პალატამ მხარეთა განმარტებით დაადგინა, რომ მოსარჩელე სადაც ფართში ახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს. აღნიშნულს ადასტურებს ასევე საქმეში წარმოდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის 6 ოქტომბრის დასკვნა, რომლის კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ ოთახში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

58. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის 6 ოქტომბრის დასკვნის თანახმად, სახლის საცხოვრებელი და დამხმარე ითახების საერთო ფართი შეადგენს 53,67 კვ.მ-ს. №1 12,27 კვ.მ ჰოლი,

2,05 კვ.მ №2 სანევანძი, 23,36 კვ.მ №3 ოთახი, 8,85 კვ.მ №4 ოთახი, 7,14 კვ.მ №5 სარდაფი. აღნიშნული უძრავი ქონების საპაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 27 200 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 47 780 ლარს.

59. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოპასუხეებმა მიიჩნიეს, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს სადავო საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლეს „საცხოვრებელი სადგომის სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამავდროულად, მხარემ სადავოდ გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო ფართის განაწილების საკითხი და მიუთითა, რომ ფართის ნაწილი მოსარჩელის ოჯახის სარგებლობაში არანაირი ფორმით არ იმყოფებოდა.

60. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავებირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

61. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

62. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

63. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებოს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სა-სამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-საზრისით, ვინაიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობი-სას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კა-ნონიდან გამომდინარე, პირისათვის საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე არსებობს მყარი სასამართლო პრაქტიკა, რომლის შესაბამისად, საკასაციო სასა-მართლომ მიიჩნია, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლო-ბისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულია 1921 წლის 25 თებერვლიდან 1997 წლის 25 ნოემბრამდე პერიოდის საზოგადოებაში ფაქტობრივად არსებული ურთიერთობები, რომელიც იმ დროს მოქმედი საბჭო-თა სამოქალაქი კანონმდებლობით მოწესრიგებული არ იყო.

64. გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფ-ლების დათმობის შესახებ თავისი შინაარსით არატიპიურ სახელ-შეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენდა და იგი საბჭოთა სი-ნამდვილეში ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის სახით არ-სებობდა. ეს სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიცავდა სხვა-დასხვა გარიგების ნიშნებს (ქირავნობა, სესხი, გირავნობა), თუმცა ამავდროულად რადიკალურად განსხვავდებოდა მათ-გან თავისი შინაარსით და სპეციფიკური პირობებით, კერძოდ, მისი არსებობისას: მოსარგებლე მესაკუთრეს ერთჯერადად უხ-დიდა გარკვეული რაოდენობის თანხას ფართის სარგებლობაში მიღების სანაცვლოდ, ამასთან, მესაკუთრეს ყოველთვიურად უხდიდა ბინის ქირასაც; მოსარგებლე რეგისტრირდებოდა საც-ხოვრებელ ფართში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს; მე-საკუთრის მიერ თანხის დაბრუნების შემთხვევაში მოსარგე-ბლე ვალდებული იყო, გამოეთავისუფლებინა დაკავებული ფარ-თი, თუმცა ხშირ შემთხვევებში, მესაკუთრე თანხას ვერ აბრუ-ნებდა, ურთიერთობა ხანგრძლივ ხასიათს იღებდა და უფლება მემკვიდრეებზე გადადიოდა; მესაკუთრის მიერ საცხოვრებე-ლი სადგომის მფლობელობის უფლების გადაცემა მოსარგე-ბლეზე ფაქტობრივად ხდებოდა „სამუდამოდ“, ანუ ეს ურთიერ-თობა არ ატარებდა დროებით (ხანგრძლე) ხასიათს; ხელშეკრუ-ლებიდან გამომდინარე, მოსარგებლე იძენდა დათმობილი სარ-გებლობის უფლების გასხვისების შესაძლებლობასაც, რაც მო-სარგებლეთა შეცვლას იჩვევდა. ამ სპეციფიკური ნიშნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება მსგავსი ხელშეკრულებების (ქი-

რაგონბა, სესხი, გირავნობა) ნორმებით შეუძლებელი იყო და კანონმდებელმაც სპეციალური კანონით მოწესრიგებას დაუქვემდებარა. ამასთან, ამ კანონით რეგულირდება მხოლოდ ის ურთიერთობები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ნიშნებს უტყუარად შეიცავენ, შესაძლებელია ეს ნიშნები არსებობდეს კუმულატიურადაც ან მხოლოდ ზოგიერთი მათგანის სახითაც.

65. საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული პრაქტიკა სრულადაა გაზიარებული სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით, რომლითაც დადგინდა, რომ სადავო ფართში რეგისტრაცია (ჩანერა), ასევე, აბონენტად რეგისტრაცია და სადავო ფართის ფლობა ერთობლიობაში იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მოსარჩელე წარმოადგენს მოსარგებლეს, რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს. მან მფლობელობის უფლება მიიღო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით.

66. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია მის მიერ მითითებული იმ არგუმენტის მიმართაც, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საცხოვრებელი სადგომის ოდენობაზე. საქმის მასალებიდან დგინდება, რომ სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა არა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით, არამედ არქივის მასალებითაც და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები სადავო ფართის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

67. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. და ს. კ-ეების საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გააჩივრდება.

## საცხოვრებელი სადგომის გაუმჯობესების ღირებულების ანაზღაურება

### განხილვა

№ას-1012-973-2016

21 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** უძრავი ნივთის გაუმჯობესებისათვის გაღე-  
ბული ხარჯის ანაზღაურება (ძირითად სარჩელში), ზიანის ანაზ-  
ღაურება (შეგებებულ სარჩელში)

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

#### **სასარჩელო მოთხოვნა:**

1. ც. მ-მა (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასა-  
მართლოში მ. მ-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული სარ-  
ჩელის ავტორი) მიმართ საცხოვრებელი სადგომისა და მომიჯ-  
ნავე ტერიტორიაზე განხორციელებული არსებითი გაუმჯობე-  
სებების სამუშაოებზე განეული ხარჯის – 6464 ლარის ანაზღა-  
ურების შესახებ.

#### **სარჩელის საფუძვლები:**

2. მოსარჩელის გამარტინით, 1974 წლის 4 ოქტომბერს უფ-  
ლების დათმობის წესით შეისყიდა საცხოვრებელი 34.77 კვ.მ ბი-  
ნა, რომლითაც 1972 წლიდან დღემდე სარგებლობს. ამ პერიოდ-  
ში განახორციელა მიშენება-დაშენებების და მისი არსებითი გა-  
უმჯობესების სამუშაოები, კერძოდ: 1980 წლიდან დღემდე სა-  
კუთარი ხარჯით დააგო 22 კვ.მ პარკეტი, შეცვალა 13 კვ.მ ხის  
იატაკი, ოთახში შესასვლელი ხის კარი და ჩარჩო, ოთახში გაა-  
კეთა კარნიზი, მეორე სართულზე მოაწყო სველი წერტილი, ეზო-  
დან მეორე სართულზე აიყვანა სასმელი წყალი, გააკეთა ელექ-  
ტროქსელი, შეაკეთა საცხოვრებელი ბინისა და აივნის 47 კვ.მ  
კრამიტის სახურავი. 2002 წლის თბილისში მომხდარი მიწისძვრის  
შემდეგ ბინა დაზიანდა, რაც მოსარჩელემ აღადგინა. აღნიშნუ-  
ლი სამუშაოების შესრულებისა და საცხოვრებელი სადგომის არ-  
სებითი გაუმჯობესებებისათვის განეული ხარჯის ოდენობაშ შე-  
ადგინა 6464 ლარი.

3. მოპასუხის სარჩელის საფუძველზე, მხარის მიერ დაკავე-

ბული საცხოვრებელი სადგომის საკომპენსაციო თანხის 75%-ის ანაზღაურების სანაცვლოდ, მხარემ შეწყვიტა ფართით სარგებლობა. მოწინააღმდეგე მხარემ მას აუნაზღაურა მხოლოდ საცხოვრებელი ფართის საკომპენსაციო თანხა და შესაბამისი გაუმჯობესებების ღირებულება არ გადაუხადა.

### **მოპასუხის, შეგებებული სარჩელის აცტორის პოზიცია:**

4. მოპასუხის მარტივი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, შეგებებული სარჩელით მიმართ სასამართლოს და მოითხოვა ზიანის – 2000 ლარის ანაზღაურება. მან განმარტა, რომ სადაც საცხოვრებელი ფართის ღირებულების დადგენისას მასზე განეული ხარჯი გათვალისწინებულ იქნა და მოსარჩელეს აუნაზღაურდა.

5. მხარის მითითებით, 2015 წლის თებერვალში ძირითადმა მოსარჩელემ მოპასუხის კუთვნილი ქონება მისი გამოთავისუფლების დროს დააზიანა, კერძოდ: მხარის თვალწინ ცულით დატეხა აივნის მოაჯირი, მოგლიჯა ტუალეტის კარი, ჩამოგლიჯა ელექტროგაეცანილობა, ჩამრთველები, მოგლიჯა ე.წ „გიფსოკარდონი“ და წაილო, ასევე, დააზიანა შესასვლელი კარის გასაღები. აღნიშნულ ფაქტზე გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიციაც, რომელმაც დააფიქსირა მითითებული ფაქტი, მათ შორის, ფოტოვირზეც. გარკვეული დროის შემდეგ სახლის სახურავიდან ჩამოვიდა წყალი და აღმოჩნდა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ დააზიანა ასევე სახურავი, რამდენიმე ადგილზე ჩატენა სახურავის ფენა.

### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არც ძირითადი და არც შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ძირითადმა მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ამჟამინდელი მოპასუხის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელის მხრიდან მოპასუხისათ-

ვის დაკავებული საცხოვრებელი სადგომის ფართის 34,77 კვ. მეტრის საბაზრო ლირებულების – 27 600 ლარის 75%-ის – 20 700 ლარის გადახდის სანაცვლოდ, მოსარჩელეს შეუწყდა სა-დავო უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება და სადგომი გა-მოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს.

9. ამ გადაწყვეტილების გამოტანისას, კერძოდ, უძრავი ქო-ნების საბაზრო ლირებულების შეფასებისას, სასამართლო და-ეყრდნო სიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-სპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2013 წლის 31 მაისის №... დას-კვნას.

10. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარე-მოებაზე, რომ ამ საქმის განმხილველმა სასამართლომ ექსპერ-ტიზას დაუსვა შემდეგი კითხვები: რა ოდენობის იყო მოსარჩე-ლის მიერ სადავო საცხოვრებელი სადგომის ლირებულება; 2. რას შეადგენდა მოსარჩელის მიერ დაკავებული ფართის მიშე-ნება-დაშენებისა და არსებითი გაუმჯობესებისათვის განეული ხარჯები; 3. განჩინების გამოტანის დროს, არსებული მდგომა-რების გათვალისწინებით, განსაზღვრულიყო სადავო საცხოვ-რებელ ფართში განხორციელებულ სამუშაოთა ხანდაზმულობა (შეცვლილი იყო სახლში შესასვლელი ხის კარები, დიდი და პა-ტარა ოთახების იატაკი, თუნუქის საწვიმარი, ოთახების ჭერზე გაკრული იყო ბიაზი, ჩატარებული იყო აივნის ჭერისა და კედ-ლების რეკონსტრუქცია, სახლში და ეზოში გაკეთებული იყო ტუალეტი, ხელსაბანი და სხვა) და დადგენილიყო სამუშაოები ჩატარებული იყო 1972 წლამდე, თუ მას შემდეგ.

11. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განჩინე-ბაში მითითებული მოსარჩელის მიერ დაკავებული საცხოვრე-ბელი ოთახებისა და დამხმარე სათავსის საერთო ფართმა შე-ადგინა 34,77 კვ.მ. (№1 21.31 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, №2 12,48 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, №3 საპირფარეშო ფართით 0,98 კვ.მ). ამავე დასკვნაში მიეთითა, რომ ვინაიდან, მხარეთა შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება კონკრეტულად თუ რა სახის სამუშაოები ჩაატარა მოსარჩელემ მის მიერ დაკავებულ ფარ-თში, შესაბამისად, ექსპერტიზის მიერ ამ ეტაპზე შეუძლებელი გახდა ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღი-რებულების დადგენა. საბოლოოდ, მოსარჩელის მიერ დაკავე-ბული ფართის საბაზრო ლირებულებამ, 2013 წლის მაისის მდგო-მარებით, საორიენტაციოდ შეადგინა 16830 აშშ დოლარი, რაც ეროვნული ბანკის გაცემითი კურსის შესაბამისად შეადგენდა 27 600 ლარს. დასკვნაში მითითებულია, რომ შესაფასებელი ობი-ექტი განთავსებული იყო ორსართულიანი შენობა-ნაგებობის მე-

ორე სართულზე. იგი შედგებოდა 2 ოთახისაგან, სადაც მოხვედრა შესაძლებელი იყო საერთო სარგებლობის აიდნიდან. ერთ ოთახში იატაკზე დაგებული იყო პარკეტი, მეორეში – ხის იატაკი, კედლებზე გაკრული იყო შპალერი. კარ-ფანჯარა იყო ხის. ოთახები ნათდებოდა ღია აივანზე გამავალი ფანჯრებიდან. ტუალეტი განთავსებული იყო მეორე სართულზე, აივანზე.

12. მხარეები სადაცოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და აღსრულებულია. მოპასუხებ სრულად გადაიხადა გადაწყვეტილებით დადგენილი საკომპენსაციო თანხა, ხოლო მოსარჩელებ უძრავი ქონება გაათავისუფლა 2015 წლის თებერვალში.

13. წინამდებარე სასარჩელო განცხადებით მხარე ითხოვდა მოპასუხისათვის საცხოვრებელი სადგომის არსებითი გაუმჯობესების ხარჯის – 6464 ლარის გადახდის დაკისრებას. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელემ ამ ფართში 1980 წლიდან მფლობელობის შეწყვეტამდე საკუთარი ხარჯებით დააგო 22 კვ.მ პარკეტი, შეცვალა 13 კვ.მ ხის იატაკი და ოთახში შესასვლელი ხის კარებითავისი ჩარჩოთი, ოთახში გააკეთა 18 გრძივი მეტრი „კანიზი“, მოაწყო საპირფარეშო, ეზოდან გაიყვანა სასმელი წყალი, გააკეთა შიდა ელექტროქსელები, შეაკეთა ბინის და აივის 47 კვ.მ კრამიტის სახურავი.

14. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 2.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად (ძალაშია 18.07.2016 წლიდან), მოსარგებლისათვის გადასახდელი კომპენსაციის დადგენისას საცხოვრებელი სადგომის ღირებულების (მოსარგებლის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და საცხოვრებელი სადგომის სხვა არსებითი გაუმჯობესების ღირებულების გამოკლებით) შესაბამის პროცენტს ემატება მოსარგებლის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და საცხოვრებელი სადგომის სხვა არსებითი გაუმჯობესების ღირებულების სრული ოდენობა.

15. მსგავსი შინაარსის ქცევის წესს ადგენდა ძალადაკარგულად გამოცხადებული კანონის („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი) მე-6 მუხლი.

16. მოცემულ შემთხვევაში სადაცო არ არის ის გარემოება, რომ აპელანტი წარმოადგენდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი).

თველოს კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლეს, რომელ-საც მოპასუხის მხრიდან მოსარჩელისთვის დაკავებული საც-ხოვრებელი სადგომის ფართის 34.77 კვ. მეტრის საბაზრო ღი-რებულების – 27 600 ლარის 75%-ის – 20 700 ლარის გადახდის სანაცვლოდ, შეუწყდა უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება და სადგომი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მო-სარჩელეს.

17. პირველ რიგში, სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია განემარტა, რომ მესაკუთრის სასარგებლოდ დავის გა-დაწყვეტის შემთხვევაში, სამართლებრივი ბალანსი მოითხოვს, რომ დაცული იქნეს მოსარგებლის უფლება სადგომზე განეული ხარჯების ანაზღაურებაზე და სპეციალური კანონის მოთხოვ-ნა – მოსარგებლეს აუნაზღაურდეს მის მიერ განხორციელებუ-ლი მიშენება-დაშენების ან/და საცხოვრებელი სადგომის სხვა არსებითი გაუმჯობესების ღირებულების სრული ოდენობა („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურ-თიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 2.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი), არ არის დამოკიდებული მოსარჩელის მიერ ახალი, დამოუკიდებელი მოთხოვნის აღდვრაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სადგომზე განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი წარ-მოადგენს მესაკუთრის სარჩელის დაკმაყოფილების თანამდევ სამართლებრივ შედეგს ისე, რომ მისი ანაზღაურების საკითხის დასმა არ არის დამოკიდებული მოსარგებლის მიერ ამგვარი მოთხოვნის აღმდერაზე.

18. სააპელაციო პალატამ მიუთითა თბილისის საქალაქო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექ-ტემბრის კანონიერ დალაში შესულ გადაწყვეტილებაზე და სისიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2013 წლის 31 მაისის №... დასკვნაზე, საი-დანაც დგინდება, რომ მოპასუხე ც. მ-ი ამ გარემოებით აპელი-რებდა, ხოლო, სასამართლო შეეცადა, გაერკვია მოსარგებლის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯების საკითხი. კერძოდ, მოპასუხე თავის პოზიციაში მიუთითებდა, რომ მას ჩატარებული ჰქონდა საპირ-ფარეშოს სრული რეკონსტრუქცია და სხვა სამუშაოები. დად-გენილია, რომ ექსპერტიზას სასამართლო განჩინებით ერთ-ერთ კითხვად დაესვა, თუ რას შეადგენდა მოსარჩელის მიერ დაკა-ვებული ფართის მიშენება-დაშენებისა და არსებითი გაუმჯო-ბესებისათვის განეული ხარჯები, რაზეც გაეცა პასუხი, რომ ვი-ნაიდან, მხარეთა შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება, კონკრე-ტულად თუ რა სახის სამუშაოები იქნა ჩატარებული მოსარჩე-

ლის მიერ დაკავებულ ფართში, შესაბამისად, ექსპერტიზის მიერ ამ ეტაპზე შეუძლებელი გახდა ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების დადგენა. დადგენილია, რომ მოსარგებლეს ამ ნაწილში გადაწყვეტილება სადაცოდ არ გაუხდია. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისი პროცესუალური უფლების გამოყენებლობით, აპელაციმა (მოსარჩელემ) დაკარგა ამ ფაქტზე ახალი სარჩელის შეტანის გზით შედავების უფლება.

19. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოტანისას ექსპერტიზის მიერ შესაფასებელი ობიექტი განთავსებული იყო ორსართულიანი შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე. იგი შედგებოდა 2 ოთახი-საგან, სადაც მოხვედრა შესაძლებელი იყო საერთო სარგებლობის აივნიდან. ერთ ოთახში იატაკზე დაგებული იყო პარკეტი, მეორეში – ხის იატაკი, კედლებზე გაკრული იყო შპალერი. კარფანჯარა იყო ხის. ოთახები ნათდებოდა ღია აივანზე გამავალი ფანჯრებიდან. ტუალეტი განთავსებული იყო მეორე სართულზე, აივანზე. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ც. მ-ის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ოთახებისა და დამხმარე სათავსის საერთო ფართი შეადგინდა 34.77 კვ.მ-ს, რომლის საბაზრო ღირებულებამ 2013 წლის მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 16830 აშშ დოლარი, რაც, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად, შეადგინდა 27 600 ლარს.

20. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სწორედ ამ თანხიდან დადგინდა საცხოვრებელი სადგომის ღირებულება და მისი 75 პროცენტის ოდენობის კომპანიის გადახდის პირობით შეუწყდა აპელანტს სადაცო სადგომზე მფლობელობის უფლება. ამდენად, უდავოა, სხვა დავაში საბაზრო ღირებულების შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული ფართის მდგომარეობა (რემონტი, დამონტაჟებული საგნები), რაც იმას ნიშნავს, რომ წინამდებარე დავის განხილვის ჭრილში აღნიშნული ხარჯის, როგორც საცხოვრებელი სადგომის სხვა არსებითი გაუმჯობესების ღირებულების, დამატებით დაკისრების სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს.

21. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარგებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები არ წარმოადგენს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით (დღეს მოქმედი კანონის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) გათვალისწინებულ მიშენება-დაშენებას ან/და საცხოვრებელი სადგომის სხვა არსებით გაუმჯობესებას, კინაიდან დადგენილია, რომ აპე-

ლანტის მიერ განხორციელებული სამუშაოები აისახა ფართის საბაზრო ლირებულებაზე, რაც სრულად იქნა გათვალისწინებული საექსპერტო შეფასებისას და საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისას.

22. ამდენად, აპელანტმა ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მან საკუთარ სარგებლობაში გადაცემული ფართი არსებითად გააუმჯობესა.

23. სააპელაციო სასამართლოს საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა დააფუძნა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის 2015 წლის 4 თებერვლის №02 დასკვნაზე, რომელიც, მოსარჩელის მითითებით, სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა. აპელანტის განმარტებით, დასკვნაში გამოკვლეულია, დადგენილი და შეფასებულია მოსარჩელის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სადგომის არსებითად გაუმჯობესებისათვის ჩატარებული სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯები.

24. მითითებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, პინის კეთილმოწყობის მიზნით სარემონტო სამუშაოები შესრულებულია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე და მისმა სახარჯთაღრიცხვო საბაზრო ლირებულებაზე შეადგინა 6464 ლარი. დასკვნის კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ კვლევა ჩატარდა საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე და დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ, პინის კეთილმოწყობის მიზნით, ჩატარებულია მთელი რიგი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები: დააგო 22 კვ.მ პარკეტი ხის იატაკზე, 13 კვ.მ ოთახში შეცვალა ხის იატაკი და შეღება, მოაწყო შესასვლელი ხის კარი, ორ ოთახში ე.ი. 35 კვ.მ ფართზე, ჭერებზე გააკრა გიფსო-კარდონი, ოთახებში მოაწყო 18 გრძ/მ კარიზი, მეორე სართულზე მოაწყო სააპირფარეშო, ეზოდან მეორე სართულზე გაიყვანა სასმელი წყალი, გაიყვანა შიდა ელექტროელემები, შეარემონტა ბინისა და აივნის 47 კვ.მ კრამიტის სახურავი, ჩატარა სამლებრო სამუშაოები და კედლებზე გააკრა შვალერი.

25. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის 2.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის (ადრე მოქმედი კანონის მე-6 მუხლი) შინაარსიდან გამომდინარე, საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრის სასარგებლოდ სადავო უძრავ ნივთზე მოსარგებლეთა მფლობელობის შეწყვეტისას მესაკუთრემ მოსარგებლეს უნდა გადაუხადოს ის ხარჯი, რის შედეგადაც მოსარგებლემ გააუმჯობესა სადგომი. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების წარმოშობის საფუძველია უძრავი ნივ-

თის არა ყოველგვარი გაუმჯობესება (მაგ: მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, როგორიცაა კედლების შეთეთრება, იატაკის მოხვენა-გალაქვა ან სხვა), არამედ, მხოლოდ ისეთი, რასაც შედეგად მოჰყვა ნივთის არსებითი ცვლილება, მისი თვისობრივად, ხარისხობრივად, მოცულობით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სადგომის ლირებულების გაზრდა (მაგ: ფართის მიშენება, დაშენება, გაფართოება, შენობის კონსტრუქციის, საძირკვლის კაპიტალური შეკეთება-გამოცვლა და ა.შ).

26. როგორც აღინიშნა, აპელანტი ამ გარემოების დასადასტურებლად მიუთითებდა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის 2015 წლის 4 თებერვლის №02 დასკვნაზე, რაც სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა. მითითებულ დასკვნაში აღნიშნულია რა სახის სარემონტო სამუშაოები ჩატარდა სადაც ფართში, როდის ჩატარდა ეს სამუშაოები და რას შეადგენდა მათი საბაზრო ლირებულება. ამ დასკვნით არ დგინდება ის გარემოება, რომ მოსარგებლის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა არსებითად გააუმჯობესა სადაც სადგომი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, დასკვნაში აღნიშნილი სარემონტო სამუშაოები საცხოვრებელი სადგომის არსებითი სახის გაუმჯობესებად ვერ იქნება მიჩნეული „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის 2.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის (ადრე მოქმედი კანონის მე-6 მუხლი) ჭრილში.

27. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოსარგებლები ფართში ცხოვრობდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, მისი მხრიდან ამ სამუშაოების შესრულება განპირობებული იყო ფართით სათანადოდ და კომფორტულად სარგებლობის მოტივაციით და ემსახურებოდა საცხოვრებელი სახლის ფუნქციის შენარჩუნებას, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ არსებული მდგომარეობით საცხოვრებელი სადგომი წარმოადგენდა ძველ, სუფთა ფართს.

28. განსახილველ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც საცხოვრებელი სადგომის არსებით გაუმჯობესებად მიჩნეულია შემდეგი სახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები: სარდაფის გრუნტის დამუშავება, ლენტური საძირკვლის, რკინა-ბეტონის კედლების და იატაკის მოწყობა, აგურის ტიხრების აშენება და ა.შ. კონკრეტულ შემთხვევაში, აპელანტის მხრიდან ამ სახისა და სირთულის (თუნდაც მიახლოებულის) სამუშაოები არ ჩატარებულა. შესაბამისად, აპელანტის (მოსარჩელის)

მიერ ჩატარებული სამუშაოები, თავისი ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით, კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ „სხვა სახის არსებით გაუმჯობესებად“ ვერ იქნება მიჩნეული.

29. რაც შეეხება აპელანტის პრეტენზიას მისი ინიციატივით დაკითხული იმ მოწმის ჩვენების შეუფასებლობასთან დაკავშირებით, რომელმაც სარჩელში მითითებული სარემონტო სამუშაოები შეასრულა, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ამ სამუშაოების შესრულება სადაც ვოდ არ არის გამხდარი და პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა სარჩელზე უარის თქმის შესახებ ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ამით არ მომხდარა საცხოვრებელი სადგომის არსებითი გაუმჯობესება.

#### **კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

30. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა საკავაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

31. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორდა განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს ძალადაკარგულად გამოცხადებული კანონის მე-6 მუხლი და 2016 წლის 18 ივლისიდან ძალაში შესული ამავე კანონის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

32. კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სხვა დავაში საბაზრო ღირებულების შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული ფართის მდგომარეობა (რემონტი, დამონტაჟებული საგნები), რაც იმას ნიშნავს, რომ წინამდებარე დავის განხილვის ჭრილში აღნიშნული ხარჯის, როგორც საცხოვრებელი სადგომის სხვა არსებითი გაუმჯობესების ღირებულების, დამატებით დაკისრების სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს. მოსარგებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები არ წარმოადგენს მიშენება-დაშენებას ან/და საცხოვრებელი სადგომის სხვა არსებით გაუმჯობესებას, ვინაიდან დადგენილია, რომ აპელანტის მიერ განხორციელებული სამუშაოები აისახა ფართის საბაზრო ღირებულებაზე, რაც სრულად იქნა გათვალისწინებული საექსპერტო შეფასებისას და საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისას.

33. გასაჩივრებული განჩინების ამგვარი დასკვნა დაუსაბუთებელია და გაურკეველია, რომელ მტკიცებულებას დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო. სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროს 2013 წლის 31 მაისის დასკვნაში გარკვევითაა მითი-

თებული, რომ ვინაიდან, მხარეთა შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება, კონკრეტულად რა სახის სამუშაოები იქნა ჩატარებული მოსარჩელის მიერ დაკავებულ ფართში, შესაბამისად, ექსპერტიზის მიერ ამ ეტაპზე შეუძლებელი გახდა ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების დადგენა. ამდენად, ექსპერტიზამ დაადგინა მოსარჩელის მიერ დაკავებული ფართის 1 კვ.მ-ს ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულება ექსპერტიზას ფართის ღირებულებასთან ერთად არ შეუფასებია.

34. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ სრულყოფილად და ყოველმხრივ არ შეაფასა საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები და დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის 2015 წლის 4 თებერვლის დასკვნა. სასამართლოს არ უმსჯელია, სადაც სამუშაოების ჩატარების შედეგად შეიცვალა თუ არა ფართის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულება.

35. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მე-საკუთრის მხრიდან მოსარგებლისათვის ასანაზღაურებელი კომპენსაციის ოდენობის სწორედ განსასაზღვრად უნდა ეხელდონვანელა 2016 წლის 24 ივნისის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრის სასარგებლოდ სადაც უძრავ ნივთზე მოსარგებლის მფლობელობის შეწყვეტისას მესაკუთრემ მოსარგებლეს უნდა გადაუხადოს ის ხარჯი, რის შედეგადაც მოსარგებლემ გაუმჯობესა სადგომი.

36. კასატორის მითითებით, საცხოვრებელი ფართის არსებით ცვლილებას წარმოადგენს მის მიერ განსაკუთრებით სახლის მეორე სართულზე სველი წერტილების კაპიტალურად მოწყობა, რის შედეგადაც ფართი თვისობრივად და ხარისხობრივად გაუმჯობესდა.

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

38. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამონმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

39. სააპელაციო სასამართლომ დადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ამჟამინდელი მოპასუხის სარჩელი დაკამაყოფილდა, მოსარჩელის მხრიდან მოპასუხისათვის დაკავებული საცხოვრებელი სადგომის ფართის 34,77 კვ. მეტრის საბაზრო ღირებულების – 27 600 ლარის 75%-ის – 20 700 ლარის გადახდის სანაცვლოდ, მოსარჩელეს შეუწყდა სადაც უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება და სადგომი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს.

40. ამ გადაწყვეტილების გამოტანისას, კერძოდ, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასებისას, სასამართლო დაეყრდნო სისპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2013 წლის 31 მაისის №... დასკვნას.

41. ზემოაღნიშნული საქმის განმხილველმა სასამართლომ ექსპერტიზას დაუსვა შემდეგი კითხვები: რა ოდენობის იყო მოსარჩელის მიერ სადაც საცხოვრებელი სადგომის ღირებულება; 2. რას შეადგენდა მოსარჩელის მიერ დაკავებული ფართის მიშენება-დაშენებისა და არსებოთი გაუმჯობესებისათვის განეული ხარჯები; 3. განჩინების გამოტანის დროს, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაზღვრულიყო სადაც საცხოვრებელ ფართში განხორციელებულ სამუშაოთა ხანდაზმულობა (ზეცვლილი იყო სახლში შესასვლელი ხის კარები, დიდი და პატარა ოთახების იატაკი, თუნუქის საწვიმარი, ოთახების ჭერზე გაკრული იყო ბიაზი, ჩატარებული იყო აივნის ჭერისა და კედლების რეკონსტრუქცია, სახლში და ეზოში გაკეთებული იყო ტუალეტი, ხელსაბანი და სხვა) და დადგენილიყო სამუშაოები ჩატარებული იყო 1972 წლამდე, თუ მას შემდეგ.

42. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განჩინებაში მითითებული მოსარჩელის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ოთახებისა და დამხმარე სათავსის საერთო ფართმა შეადგინა 34,77 კვ.მ. (№1 21.31 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, №2 12,48 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, №3 საპირფარეშო ფართით 0,98 კვ.მ). ამავე დასკვნაში მიეთითა, რომ ვინაიდან, მხარეთა შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება კონკრეტულად თუ რა სახის

სამუშაოები ჩატარა მოსარჩელემ მის მიერ დაკავებულ ფართში, შესაბამისად, ექსპერტიზის მიერ ამ ეტაპზე შეუძლებელი გახდა ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულების დადგენა. საბოლოოდ, მოსარჩელის მიერ დაკავებული ფართის საბაზრო ლირებულებამ, 2013 წლის მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა 16830 აშშ დოლარი, რაც ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად შეადგენდა 27 600 ლარს. დასკვნაში მითითებულია, რომ შესაფასებელი ობიექტი განთავსებული იყო ორსართულიანი შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე. იგი შედგებოდა 2 ოთახისაგან, სადაც მოხვედრა შესაძლებელი იყო საერთო სარგებლობის აივნიდან. ერთ ოთახში იატაკზე დაგებული იყო პარკეტი, მეორეში – ხის იატაკი, კედლებზე გაკრული იყო შპალერი. კარ-ფანჯარა იყო ხის. ოთახები ნათდებოდა ღია აივანზე გამავალი ფანჯრებიდან. ტუალეტი განთავსებული იყო მეორე სართულზე, აივანზე.

43. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეები სადაცოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და აღსრულებულია. მოპასუხებ სრულად გადაიხადა გადაწყვეტილებით დადგენილი საკომისაციო თანხა, ხოლო მოსარჩელემ უძრავი ქონება გაათავისუფლა 2015 წლის ობერვალში.

44. წინამდებარე სასარჩელო განცხადებით მხარე ითხოვდა მოპასუხისათვის საცხოვრებელი სადგომის არსებითი გაუმჯობესების ხარჯის – 6464 ლარის გადახდის დაკისრებას. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელემ ამ ფართში 1980 წლიდან მფლობელობის შეზყვეტამდე განახორციელა შემდეგი სახის გაუმჯობესება: საკუთარი ხარჯებით დააგო 22 კვ.მ პარკეტი, შეცვალა 13 კვ.მ ხის იატაკი და ოთახში შესასვლელი ხის კარები თავისი ჩარჩოთი, ოთახში გააკეთა 18 გრძივი მეტრი „კარნიზი“, მოაწყო საპირფარეშო, ეზოდან გაიყვანა სასმელი წყალი, გააკეთა შიდა ელექტროელები, შეაკეთა ბინის და აივნის 47 კვ.მ კრამიტის სახურავი.

45. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ არ გაიზიარა მისი სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები და არასწორად განმარტა კანონის დანაწესი.

46. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარევეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრი

ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვა-როვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) საა-პელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კა-ტებორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამარ-თლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება და-უსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობა-ზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნე-ბოდეს.

47. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზე-მოთ მითითებული საფუძვლით.

48. მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია იმ თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლები გასწია სადგომის გაუმჯობესებისათ-ვის. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნა სასამართლოს წარედგინა იმის შემდეგ, რაც სხვა სამოქალაქო დავის ფარგლებში უკვე განისაზღვრა სადაც სადგომის საბაზრო ღირებულება და მე-საკუთრებ აუნაზღაურა მოსარგებლებს ამ ღირებულების 75%.

49. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ სადაც ფართის საბაზრო ღირებულების გან-საზღვრისას სადგომი შეფასდა მასზე განხორციელებული გა-უმჯობესების გათვალისწინებით. ამასთან, მოსარგებლის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად უძრავი ქონება არსობ-რივად არ გაუმჯობესებულა.

50. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკის მიხედვით, მე-საკუთრის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის შემთხვევაში, სა-მართლებრივი ბალანსი მოითხოვს, რომ დაცული იქნეს მოსარ-გებლის უფლება სადგომზე განეული ხარჯების ანაზღაურება-ზე და სპეციალური კანონის ეს მოთხოვნა („საცხოვრებელი სად-გომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესა-ხებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი (ცვლილებამდე) არ არის დამოკიდებული მოსარჩელის მიერ ახალი, დამოუკიდებელი მოთხოვნის აღძრობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სადგომზე

განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი წარმოადგენს მე-საქუთრის სარჩელის დაკმაყოფილების თანამდევ სამართლებ-რის შედეგს, ისე, რომ მისი ანაზღაურების საკითხის დასმა არ არის დამოკიდებული მოსარგებლის მიერ ამგვარი მოთხოვნის აღდვრაზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანო-ნის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს, მხოლოდ იმგვარი ხარჯების ანაზღაურების სავალდებულობას, რომლითაც არსე-ბითად გაუმჯობესდა მესაკუთრის სასარგებლოდ გასათავისუფ-ლებელი სადგომი და არა სადგომზე განეული ყოველგვარი ხარ-ჯები, როგორიცაა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და სხვა. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა განპირობებულია მესაკუთრის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებით (სუსგ 24.06.2015ნ. საქმე №ას-455-434-2015).

51. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

52. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრატიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-საზრისით.

53. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასა-მართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი სა-კასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილ-ვაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. მ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-უშვებლობის გამო.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## საცხოვრებელი სადგომის გაუმჯობესების ღირებულების ანაზღაურება

### განჩინება

№ას-438-420-2016

6 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ქ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას  
წარმოშობილი ურთიერთობიდან გამომდინარე მიშენება-დაშე-  
ნების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯების საბაზრო ღი-  
რებულების ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2014 წლის 19 მარტს გ. მ-მა (შემდგომში „მოსარჩევე“) სარჩევი აღდრა სასამართლოში ე. მ-ის (შემდგომში „მოპასუხე“ ან „კასატორი“) მიმართ და „საცხოვრებელი სადგომით სარგებ-  
ლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოითხოვა საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10%-ის მო-  
პასუხისმომვის ანაზღაურების სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვ-  
რებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

2. მოსარჩელის ახსნა-განმარტების შესაბამისად, 1947 წლის 26 თებერვლის წერილობითი შეთანხმებით, ზ. მ-მა გ. მ-ს 12 000 მანეთის სანაცვლოდ მიჰყიდა სახლთმფლობელობა – მიწის ნაკ-  
ვეთი და მასზე განლაგებული 17,44 კვ.მ საცხოვრებელი ოთახი, რომელსაც დღემდე ცხოვრობებს გ. მ-ის მექანიზმები. მოსარ-  
ჩელე სარგებლობს აღნიშნული საცხოვრებელი ფართით და იხ-  
დის ყველანაირ კომუნალურ გადასახადს, რის საფუძველზეც  
ითხოვს ქონებაზე საკუთრების უფლების მიღებას.

3. მოპასუხებ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ცნო და  
თანხმობა განაცხადა დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10%-ის სანაცვლოდ მოპასუხისმომვის სა-  
კუთრების უფლების გადაცემაზე.

4. 2014 წლის 12 ივნისს მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო  
მოთხოვნა და განმარტა, რომ მისმა პაპამ მოპასუხის პაპისგან  
შეიძინა არსებული სახლთმფლობელობის მხოლოდ ერთი, 17.44

კვ.მ ოთახი. ახლანდელი სახლთმფლობელობა კი აშენებულია მის მიერ. ოთახის ამჟამინდელი ლირებულება საექსპერტო დასკვნის შესაბამისად შეადგენს 10 000 აშშ დოლარს, რომლის 10%-ის, 1000 აშშ დოლარის მოპასუხისთვის გადახდის სანაცვლოდ, მოსარჩე-ლემ მოითხოვა მისთვის საკუთრების უფლების გადაცემა.

5. მოპასუხებ დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაზე წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისთვის შეთავაზებული თანხა იყო მიუღებელი. ასევე შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის მიმართ და მიუთითა, რომ ქ. თბილისში, უ-ის მე-... შეს. №....ში მდებარე სადავო ქონების ერთი კვ.მ. აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, შეფასდა 400 აშშ დოლარად. ამრიგად, ვინაიდან, მხარეთა შორის შეთანხმება ურ მოხდა, იგი მზად იყო, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მფლობელობის შეწყვეტის სანაცვლოდ, მოსარჩელისთვის გადაეხადა საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულების 90%. შესაბამისად, მოითხოვა, აღნიშნული ნორმის მიხედვით, მოსარჩელისთვის მფლობელობის უფლების შეწყვეტა.

6. შეგებებულ სარჩელზე შესაგებელი წარადგინა გ. მ-მა, სარჩელი წანილობრივ ცნო საცხოვრებელი სადგომის ლირებულების 90%-ის განსაზღვრის წანილში, თუმცა შეგებებული სარჩელის ავტორს არ დაეთანხმა კომპენსაციის თანხის განსაზღვრაში, რაც ერთ კვ.მ-ზე შეადგენდა 400 აშშ დოლარს. მისი განმარტებით, ე. მ-ის მიერ წარდგენილი აუდიტორული დასკვნის მონაცემები ენინააღმდეგებოდა მისი მოთხოვნით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის მონაცემებს.

7. გ. მ-მა ასევე დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა მოპასუხისთვის საცხოვრებელ სადგომზე სარგებლობის შეწყვეტისთვის განეული ხარჯების (17.44 კვ.მ ფართის საბაზრო ლირებულების 90%-ის – 9 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში – 17 280 ლარის), ასევე მის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენებისა და არსებითი გაუმჯობესების ხარჯის (87 638.68 ლარის), ჯამში 104 918 ლარის დაკისრება.

8. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი საექსპერტო დასკვნა, რასაც ემყარება მისი მოთხოვნა, წარმოადგენს არა საკვლევი ობიექტის რეალურ საბაზრო ლირებულებას, არამედ მისი ინტერესია მოპასუხებ გადაიხადოს გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე სადავო საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულებაა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. მ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და დაფგინდა გ. მ-ისათვის 17,44 კვ.მ ფართის ღირებულების, 6 976 აშშ დოლარის 90%-ის – 6 278 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდის სანაცვლოდ ე. მ-ისთვის სადაცონ საცხოვრებელი სადგომის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა; გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ე. მ-ს გ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საცხოვრებელი სადგომის გაუმჯობესების ხარჯის – 87 638.68 ლარის გადახდა.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ საცხოვრებელი სადგომის არსებითი გაუმჯობესების ხარჯის დაკისრების ნაწილში და მოითხოვა გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსაზღველად დაბრუნება.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

12. სააპელაციო სასამართლო უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტის საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ სადგომზე მიშენება-დაშენება და არსებითი გაუმჯობესება ანარმოა მოსარგებლე გ. მ-მა. მოცუმულ შემთხვევაში აპელანტი სადაცონ ხდიდა მისთვის გაუმჯობესების ხარჯის 87 638.68 ლარის გადახდის დაკისრებას და განმარტავდა, რომ სასამართლომ გაუმჯობესების ხარჯის განსაზღვრისას გაზიარა დამოუკიდებელ ექსპერტ დ. მ-ის 2015 წლის 9 იანვრის დასკვნა და არა ასევე თავად გ. მ-ის მიერ წარდგენილი სსიპ ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის 2014 წლის 1 დეკემბრის დასკვნა, რომლითაც ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 77 080.93 ლარი.

13. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ აპელანტი მიუთითებდა მოსარჩელის მიერ წარდგენილ დასკვნებს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, თუმცა მას ექსპერტიზის დასკვნა არსებითი გაუმჯობესების ხარჯის დადგენის მიზნით სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

14. სასამართლო ასევე დაადგინა, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს მოსარჩელის მიერ წარდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის 1 დეკემბერის დასკვნის შესაბამისად, ქ. თბილისში, უ-ის ... შესახვევი №...-ში მის მიერ ჩატარებული სამშენებლო

ნებლო სამუშაოების (მიშენება, დაშენება, გაუმჯობესების) ღირებულება, ჩატარებული აზომვითი სამუშაოების და 2014 წლის Ⅲ კვარტლის დონეზე არსებული სამშენებლო რესურსების ფასების გათვალისწინებით დღგ-სა და ნორმატიული დანარიცხების ჩათვლით, შეადგენდა 77 080.93 ლარს.

15. 2015 წლის 14 იანვარს წარდგენილ დაზუსტებულ სარჩელზე მოსარჩელის მიერ დართული დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის დ. მ-ის 2015 წლის 9 იანვრის დასკვნის თანახმად კი, ქ. თბილისში, უ-ის ... შესახვევი №...-ში მის მიერ ჩატარებული სამუშაოების (მიშენება, დაშენება, გაუმჯობესების) საბაზრო ღირებულება შეადგენდა 87 638.68 ლარს.

16. სასამართლომ წარდგენილი დასკვნების ურთიერთშეჯერებით დადგენილად მიიჩნია, რომ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის დ. მ-ის 2015 წლის 9 იანვრის ექსპერტიზის დასკვნა არათუ ენინაალმდეგებოდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის 1 დეკემბრის დასკვნას, არამედ ემყარებოდა მას. ამასთან, აღნიშნული დასკვნით დამატებით შეფასდა წარმოებული ფარული სამუშაოების სახეები და ღირებულება.

17. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ადგილმდებარეობიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულების სპეციფიკა და სატრანსპორტო, თუ გაუთვალისწინებელი ხარჯების ოდენობა, რამაც სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის პირველი 1 დასკვნით განსაზღვრულ ღირებულებასთან ერთად მთლიანობაში შეადგინა 87 638,68 ლარი.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული არსებითი ხარჯების ოდენობა მართებულად განსაზღვრა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის დ. მ-ის 2015 წლის 9 იანვრის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად.

19. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ე. მ-მა შეიტანა საკასაციო საჩიგვარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

20. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ დასბუთების გარეშე გაიზიარა ინუინერ-ექსპერტ დ. მ-ის დასკვნა, რომელიც ეხებოდა გ. მ-ის მიერ წარდგენილი ფარული სამუშაოების სახეებსა და მოცულობებს. გაურკვეველია, თუ რითი დაასაბუთა მან დ. მ-ის მიერ დამატებითი სამუშაოების წარმოების დადასტურების ფაქტი.

21. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია სასამართლოს მიერ მოხსენიებული ექსპერტიზის დასკვნის შეფასების კანონიერება. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, დაფარულ სამუშაოებად ითვლება ისეთი სამშენებლო კონსტრუქციული სამუშაოები, რომლებიც დასრულებულ მდგომარეობაში სხვა მასალებით ან გრუნტით არის დაფარული (მაგ: ბეტონში მოქცეული არმატურა), შესაბამისად გაურკვეველია, თუ როგორ განისაზღვრა ფარული სამუშაოები და ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით განმარტებული წესის მიხედვით, როგორ შეიძლებოდა მათი შესრულებისა და ღირებულების ექსპერტის მიერ განსაზღვრა მხოლოდ დაინტერესებული პირის განმარტების საფუძველზე.

22. ამასთან, კასატორის აზრით, მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს მოსაზრება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლით დადგენილ, მოსარგებლის მიერ განხორციელებულ მიშენება-დაშენებაში შედის თუ არა ის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიჩნეულია უკანონო მშენებლობად, ვინაიდან 2014 წლის 8 აპრილის დადგენილებით ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გ. მ-ი და მისი მეუღლე სადავო ობიექტზე განხორციელებული უკანონო მიშენება-დაშენებისათვის დააჯარიმა, რაზეც, აპელანტის პრეტენზის მიუხედავად, სააპელაციო პალატას არ უმსჯელია.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინებით ე. მ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

24. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. მ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეუზე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-

სამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-სებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქ-მე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რო-მელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშ-ნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც სა-კასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

26. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზე-მოთ მითითებული საფუძვლით.

27. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხი-ლული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასა-ტორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რო-მელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

28. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელა-ციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძ-ვლით.

29. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ვი-ნაიდან ამ კატეგორიის საქმეებზე უკვე არსებობს უზენაესი სა-სამართლოს სტაბილური პრაქტიკა (იხ. სუსგ №ას-305-292-2015, 29 იანვარი, 2016 წელი; №ას-1227-1172-2013, 23 მაისი, 2014 წე-ლი; №ას-455-434-2015, 24 ივნისი, 2015 წელი, რომლებიც შეე-სება მოსარგებლის უფლებას აინაზღაუროს მის მიერ განხორ-ცილებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობე-სების ხარჯები (სადაც სამართლებრივი ურთიერთობის დროს მოქმედი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმო-შობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი); ასევე სუსგ №ას-1396-1317-2012, 25 იანვარი, 2015 წელი, რომლის შესაბამისად, წინამდებარე დაფის წარმოშობის დროს მოქმედი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანო-

ნის მოქმედების სფეროში ექცევა მოსარგებლის მიერ სადაც საცხოვრებელ სადგომზე განხორციელებული უკანონო მიშენება-დაშენებები).

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას ე. მ-ის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. მ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი;
2. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **კომავენსაცია ადმინისტრაციული ნისით მიღებული მფლობელობის შეყვანისათვის**

#### **განხილვა**

№ას-458-437-2015

27 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, სარგებლობის შეწყვეტა,  
ქონების თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზ. ვ-ემ (შემდეგში პირველმა მოსარჩელემ), ხ. ვ-ემ (შემ-

დეგში მეორე მოსარჩელებ) და ლ. ვ-ემ (შემდეგში მესამე მოსარჩელებ) სარჩელით მიმართეს სასამართლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდეგში პირველი მოპასუხის ან პირველი კასატორის), გ. კ-ის (შემდეგში მეორე მოპასუხის), ი. კ-ის (შემდეგში მესამე მოპასუხის), ე. ლ-ის (შემდეგში მეოთხე მოპასუხის), მ. ზ-ის (შემდეგში მეხუთე მოპასუხის ან მეორე კასატორის), ე. ქ-ლისა და თ. ჯ-ის (შემდეგში მეექვსე და მეშვიდე მოპასუხის), ლ. ვ-იას (შემდეგში მერვე მოპასუხის) მიმართ და მოითხოვეს:

1.1. პირველმა მოპასუხემ აუნაზღაუროს მეორე მოპასუხეს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის 35.77 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება 35 090.37 ლარი და მეორე მოპასუხეს შეუწყდეს სარგებლობა მის მიერ ქ. ბათუმში, ზ-ლის ქ. №...-დან მე-2 სართულზე დაკავებულ №24, №25 და №23 ოთახებზე და ზ/აღნიშნული უძრავი ქონება თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარდეს პირველ და მესამე მოსარჩელეს;

1.2. პირველმა მოპასუხემ აუნაზღაუროს მესამე მოპასუხეს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის 38.00 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება 31464.00 ლარი და მესამე მოპასუხეს შეუწყდეს სარგებლობა მის მიერ ქ. ბათუმში, ზ-ლის ქ. №...-დან მე-2 სართულზე დაკავებულ №7 და №4 ოთახებზე და ზ/აღნიშნული უძრავი ქონება თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარდეს მეორე და მესამე მოსარჩელეს;

1.3. პირველმა მოპასუხემ აუნაზღაუროს მეოთხე მოპასუხეს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის 22.06 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება 18 265.68 ლარი და მეოთხე მოპასუხეს შეუწყდეს სარგებლობა მის მიერ ქ. ბათუმში, ზ-ლის ქ. №...-დან მე-2 სართულზე დაკავებულ №33 და №34 ოთახებზე და ზ/აღნიშნული უძრავი ქონება თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარდეს მეორე და მესამე მოსარჩელეს;

1.4. პირველმა მოპასუხემ აუნაზღაუროს მეხუთე მოპასუხეს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის 23.80 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება 21919.80 ლარი და მეხუთე მოპასუხეს შეუწყდეს სარგებლობა მის მიერ ქ. ბათუმში, ზ-ლის ქ. №...-დან მე-2 სართულზე დაკავებულ №3 ოთახზე და ზ/აღნიშნული უძრავი ქონება თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარდეს მეორე მოსარჩელეს;

1.5. პირველმა მოპასუხემ აუნაზღაუროს მეექვსე და მეშვიდე მოპასუხეს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის 57.00 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დაკისრე-

ბული თანხა – 25 547.00 ლარი და მეტვიდე მოპასუხეს შეუწყდეს სარგებლობა მის მიერ ქ. ბათუმში, ზ-ლის ქ. №...-დან მე-2 სართულზე დაკავებულ №15, №8 და №9 ოთახებზე და ზ/აღნიშნული უძრავი ქონება თავისუფალ მდგომარეობაში ჩა-ბარდეს პირველ მოსარჩელეს;

1.6. პირველმა მოპასუხემ აუნაზღაუროს მერვე მოპასუხეს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის 37.00 კვ.მ ფართის სა-ბაზრო ღირებულება 32 967.00 ლარი და მერვე მოპასუხეს შე-უწყდეს სარგებლობა მის მიერ ქ. ბათუმში, ზ-ლის ქ. №...-დან პირველ სართულზე დაკავებულ №21 და №22 ოთახებზე და ზ/აღნიშნული უძრავი ქონება თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარ-დეს პირველ მოსარჩელეს.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საცხოვ-რებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთო-ბების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, ამავე კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მესუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე მოპასუ-ხე ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე იყვნენ შესახლე-ბული, ქ. ბათუმში, ზ. გ-ის ქ. №...-ში მდებარე, მოსარჩელეთა საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ სახლში, შესაბამისად, მათზე უნდა გავრცელებულიყო ზემოხსენებული კანონის მოთ-ხოვნები.

4. სასამართლომ მიუთითა, ასევე, „საცხოვრებელი სადგო-მით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის თანახმად, იმ მესაკუთრეს, რომლის საცხოვრებელ სადგომშიც ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ იქნა მოსარგებლე, შე-უძლია მოსარგებლეს მოსთხოვოს ნივთზე მფლობელობის შეწ-ყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზ-რო ღირებულებას. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, მოსარგებლე ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ კომპენსა-ციას სახელმწიფოსგან მიიღებს მესაკუთრის ან მოსარგებლის მოსთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, ამავე კანონით განსაზღვრულია, რომ ამ მუხლით საც-ხოვრებელ სადგომად განისაზღვრება ის ფართი, რომელზედაც თავდაპირველად არსებობდა გარიგება მესაკუთრესა და მოსარ-გებლეს შორის ან გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული აქტით.

5. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებს, როგორც სადაო საცხოვრებელი ფართის მესაკუთრეებს უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ მოსარგებლეებისათვის მათ სარგებლობაში არსებულ ფართზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებდა დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საპაზრო ღირებულებას.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს პირველმა და მეხუთე მოპასუხებმა მოპასუხებმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მეხუთე მოპასუხებმ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8.1. ქ. ბათუმში, ზ.-ის №...-ში მდებარე 740 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილების თანახმად, წარმოადგენს მოსარჩელეთა საკუთრებას;

8.2. პირველი მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხება 196.33 კვ.მ ფართი, მეორე მოსარჩელის საკუთრებაში – 200.60 კვ.მ ფართი, ხოლო, მესამე მოსარჩელის საკუთრებაში – 201.47 კვ.მ ფართი. 1991 წლის 19 აპრილის რეალური გაყოფის №... ხელშეკრულებით მოხდა 740 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეებს შორის რეალურად განაწილება.

8.3. მეორე მოპასუხეს დაკავებული აქვს ქ. ბათუმში, ზ.-ის ქ. №...-ში მდებარე უძრავ ქონებაში მეორე სართულზე განთავსებული №23, №24 და №25 ოთახები, საერთო ფართით 35.77 კვ.მ. მეორე მოპასუხესა და მის ოჯახს აღნიშნული ფართი გადაეცა 1964 წლის 09 აპრილის ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის №... გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზეც მეორე მოპასუხის დედა შესახლებული იქნა აღნიშნულ მისამართზე და 1964 წლის 17 აპ-

რილს გაიცა ორდერი №. სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასა-  
მართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 21 აგ-  
ვისტოს №... დასკვნით დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, ქუჩა ზ-  
ის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე  
განთავსებული მეორე მოპასუხის სარგებლობაში არსებული  
№23, №24, №25 ოთახების ფართის 1 კვ. მეტრის საბაზრო ღი-  
რებულება საორიენტაციოდ შეადგენს 981 ლარს. შესაბამისად,  
მეორე მოპასუხის მიერ დაკავებული 35.77 კვ.მ საცხოვრებელი  
სადგომის საბაზრო ღირებულება 35090.37 ლარი (981\*35.77  
=35090.37);

8.4. მესამე მოპასუხეს დაკავებული აქვს ქ. ბათუმში, ზ.-ის  
ქ. №...-ში მდებარე უძრავ ქონებაში მეორე სართულზე განთავ-  
სებული №4 და №7 ოთახები, საერთო ფართით 38.00 კვ.მ, რო-  
მელშიც მესამე მოპასუხის ოჯახი შესახლებულ იქნა ადმინის-  
ტრაციული აქტის საფუძველზე. თავდაპირველად, მესამე მო-  
პასუხის ოჯახზე გაცემული იყო ორდერი 18.00 კვ.მ. ფართის  
ერთ ოთახზე, მაგრამ, საბოლოოდ, აჭარის ასარ მძრომელ დე-  
ბუტატთა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალუ-  
რი განყოფილების საბინაო სამმართველოს 1974 წლის 29 იან-  
ვრის №... ორდერის საფუძველზე, მათ გადაეცათ 38.00 კვ.მ ფარ-  
თი. მართალია, მესამე მოპასუხე ამჟამად საქართველოში არ იმ-  
ყოფება და მუდმივად არ ცხოვრობს მითითებულ სახლში, მაგ-  
რამ მას და მის ოჯახს წლების განმავლობაში დაკავებული ჰქონ-  
დათ ხსენებული ოთახები, რომელშიც გარდაცვალებამდე ცხოვ-  
რობდა მესამე მოპასუხის მამა, რომლის სამკვიდროც მიიღო  
მესამე მოპასუხებ. სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამარ-  
თლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 04 ივნისის  
№... დასკვნით დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, ქუჩა ზ-ის №...-ში  
მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსე-  
ბული მესამე მოპასუხის სარგებლობაში არსებული №7 ფართის  
1 კვ. მეტრის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს  
828 ლარს, შესაბამისად, მესამე მოპასუხის მიერ დაკავებული  
38 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება  
31464.00 ლარი (828\*38 = 31 464.00);

8.5. მეოთხე მოპასუხეს სარგებლობაში აქვს ქ. ბათუმში, ზ-  
ის ქ. №...-ში მდებარე უძრავ ქონებაში მეორე სართულზე გან-  
თავსებული №33 და №34 ოთახები, საერთო ფართით 22.06 კვ.მ.  
მეოთხე მოპასუხე ამ ფართში შესახლებულ იქნა ადმინისტრა-  
ციული ორგანოს მიერ 1990 წლამდე, როდესაც აღნიშნული საც-  
ხოვრებელი სახლი წარმოადგენდა კომუნალურ საცხოვრებელ  
ფართს. მეოთხე მოპასუხე რეგისტრირებულია სადაო ფართში

1959 წლიდან, როგორც მოსარგებლე, და დღემდე სარგებლობს ამ ფართით. სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-სპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 04 ივნისის №... დასკვნით დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, ქუჩა ზ-ის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული №33 და №34 ფართის 1 კვ. მეტრის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 828 ლარს, შესაბამისად, მეოთხე მოპასუხის მიერ დაკავებული 22.06 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებაა 18 265.68 ლარი ( $828*22.06 = 18265.68$ );

8.6. მეხუთე მოპასუხე არის ქ. ბათუმში, ქუჩა ზ-ის №...-ში მდებარე სადაო საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული №3 ოთახის მოსარგებლე, რომლის ოჯახიც აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში შესახლებული იქნა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე და 1950-იანი წლებიდან დღემდე ცხოვრობს ამ ფართში. მეხუთე მოპასუხეს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე გადაცემული ჰქონდა 23.8 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, რომელმიც შედიოდა მის მიერ დაკავებული 20.6 კვ.მ ფართის №3 ოთახი და 3.2 კვ.მ ფართის აივანი. რაც შეეხებოდა 2.4 კვ.მ დამხმარე ფართს, ეს ფართი მეხუთე მოპასუხეს არ ჰქონია სარგებლობაში გადაცემული ადმინისტრაციული აქტით. ეს ფართი წარმოადგენდა საერთო სარგებლობის კორიდორის ნაწილს, რომელიც მეხუთე მოპასუხემ მოგვიანებით გადატიხრა და თვითნებურად სარგებლობდა ამ ფართით. სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 21 აგვისტოს №... დასკვნით დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, ქუჩა -ის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული მეხუთე მოპასუხის სარგებლობაში არსებული №3 ფართის 1 კვ. მეტრის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 921 ლარს, შესაბამისად, მეხუთე მოპასუხის მიერ დაკავებული 23.8 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებაა 21 919.80 ლარი ( $921*23.8 = 21 919.80$ );

8.7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის კანონიერ ძალაში შესული №3-27/07 გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მეექვეს და მეშვიდე მოპასუხე წარმოადგენერ ქ. ბათუმში, ქუჩა ...-ის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული №15, №8 და №9 ოთახების მოსარგებლებს, რომლებსაც სარგებლობის უფლება მოპოვებული აქვთ ადმინისტრაციული აქტით. მათ სულ დაკავებული აქვთ 57.00 კვ.მ საცხოვრებელი სადგომი. ამავე გადაწყვეტილებით, ასევე, დადგენილია, რომ საქართველოს ფინანსთა სა-

მინისტროს მექენისე და მეშვიდე მოპასუხის სასარგებლოდ და-ეკისრა ამ ფართების სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდა 25 547.00 ლარის ოდენობით, რომელიც დღემდე გადახდილი არ არის;

8.8. მერვე მოპასუხე წარმოადგენს ქ. ბათუმში, ქუჩა ...-ის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული №21 და №22 ოთახების მოსარგებლეს, რომე-ბიც მას მიღებული აქვს ადმინისტრაციული აქტით, კერძოდ, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 16 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით, რომლითაც იგი შესახლებული იქნა ქ. ბათუმში, გ-ს (ამჟამად ზ-ის) ქ. №...-ში მდებარე ბინაში და 1989 წლის 15 მაისს, მასზე გაცემული იქნა №... ორდერი. თავდაპირველად, მერვე მოპასუხეზე გაცემული იქნა ორდერი მხოლოდ ერთ ოთახზე, რომელიც შეადგენდა 18.00 კვ.მ-ს, მაგრამ, 1989 წლის 15 მაისს გაცემული ბინის პირადი ბარათით და, ასევე, 1990 წლის 23 თებერვლის სქემით დგინდება, მერვე მოპასუხეს საბოლოოდ სარგებლობაში გადაეცა 37 კვ.მ. ფართი. სასიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 04 ივნისის №... დასკვნით დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, ქუჩა ...-ის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული №21 და №22 ფართის 1 კვ. მეტრის საბაზრო ლირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 891 ლარს, შესაბამისად, სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მერვე მოპასუხის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულებაა 32967.00 ლარი (891\*37=32967.00).

9. სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია პირველი მოპასუხის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მეორე, მეექვსე და მეშვიდე მოპასუხის მიმართ. პალატამ აღნიშნა, რომ, მეორე მოპასუხესთან მიმართებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არსებობს სხვა დავაზე და სხვა მხარეებს შორის და არა განსახილველ დავაში მონაწილე მხარეებს შორის. პალატამ აღნიშნა, ასევე, რომ მეექვსე და მეშვიდე მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრება განმეორებით კი არ მომხდარა, არამედ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირველ მოპასუხეს დაეკისრა ის თანხა, რაც უკვე იყო დაკისრებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

10. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული აქტების კანონიერების საკითხი არ წარმოადგენდა დავის საგანს, ამიტომ პალატამ არ გაიზიარა პირველი მოპასუხის პრეტენზია ადმინისტრაციული აქტების კანონიერების ეჭვექვეშ და-

ყენების თაობაზე.

11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებზე და მიიჩნია, რომ მოსარჩევებს, როგორც სადაო საცხოვრებელი ფართის მესაკუთრეებს, უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ მოსარგებლებისათვის მათ სარგებლობაში არსებულ ფართზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებდა დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებას.

12. პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია მეხუთე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო: მეხუთე მოპასუხე ძირითადად უურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნით არასწორად შეფასდა მის სარგებლობაში არსებული ფართის ღირებულება. აპელანტის მოსაზრებით, მის მიერ დაკავებული ფართის ღირებულება უფრო მეტი იყო, ვიდრე ეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით იყო დადგენილი. ამ გარემოების დასადასტურებლად აპელანტი მიუთითებდა აუდიტის დასკვნაზე. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის ეს ვრცელებითა და განმარტა, რომ მის მიერ წარმოდგენილ აუდიტის დასკვნაში მითითებული საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას, აუდიტორმა შესაფასებელი ქონების ღირებულება განსაზღვრა თავად მეხუთე მოპასუხის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პალატის მოსაზრებით, ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც დაეყრდნო გასაჩივრებული გადაწყვეტილება, არ შეიცავდა უსწორო მონაცემებს, შესაბამისად, აპელანტმა ვერ დაასაბუთა, რომ სასამართლომ, ექსპერტიზის დასკვნის გაზიარებით, არასწორად დაადგინა აპელანტის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს პირველმა და მეხუთე მოპასუხებმ.

13.1. პირველი კასატორის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოპასუხები მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომების მართლზომიერ მფლობელებად, ვინაიდან საქმეში არა წარმოდგენილი ორდერები;

– სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლოს უნდა შეეწყიტა საქმის წარმოება სარჩელზე მე-ექსე და მეშვიდე მოპასუხის მიმართ, ვინაიდან არსებობდა იმავე მხარეების მონაწილეობით გამოტანილი კანონიერ ძალა-

ში შესული გადაწყვეტილება;

– კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები არსებობს ასევე, ყველა სხვა მოპასუხის მიმართ, რომლითაც მათ უარი ეთქვათ საკომისისაციო თანხის გადახდაზე.

13.2. მეორე კასატორის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მე- ხუთე მოპასუხის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება;

– სასამართლოს, სადაც საცხოვრებელი სადგომის ღირე- ბულების დადგენისას, უნდა ეხელმძღვანელა მეხუთე მოპასუ- ხის მიერ წარდგენილი აუდიტის და არა ექსპერტის დასკვნით.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ- მეთა პალატის 2015 წლის 08 მაისისა და 29 ივნისის განჩინებე- ბით წარმოებაში იქნა მიღებული პირველი და მეხუთე მოპასუ- ხის საკასაციო საჩივრები სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით და- საშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

15. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასა- ციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებენ სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც დაუშვებლად უნდა იქნენ მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

16. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საკა- საციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში და- საშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითა- რებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალი- ბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზე- ნაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სა- აპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელო- ვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემიქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სა- აპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილე- ბა ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. აღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

17. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხ- ლით გათვალისწინებული არცერთი საფუძვლით.

18. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით და ვერც კასატორები მიუთითებუნ რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დაადგინა მოცემული დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად სწორად შეაფასა ისინი, შესაბამისად, სწორია სააპელაციო პალატის მიერ გამოტანილი სამართლებრივი დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

19. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

20. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოპასუხებები მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომებში შესახლებულნი იყვნენ ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე. ამ დასკვნამდე სააპელაციო სასამართლო მივიდა საქმეში წარმოდგენილი დასაშვები მტკიცებულებების – სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ადმინისტრაციული აქტებისა და ბინით სარგებლობის ორდერების, შესწავლისა და შეფასების შედეგად. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია პირველი კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ, თითქოს, სადავო საცხოვრებელ სადგომებზე მოპასუხეთა მფლობელობის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილი არაა. დაუსაბუთებელია, ასევე, პირველი კასატორის პრეტენზია ორდერების ხარვეზიანობის შესახებ (კასატორის მოსაზრებით, მათზე დატანილი სახელმწიფო ორგანოების ბეჭდები იმდენად მკრთალია, რომ არ იკითხება), ვინაიდან, ჯერ ერთი, აღნიშნული გამოწვეულია ამ ორდერების სიძველით, მეორეც, მოპასუხეთა მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება არა მარტო ორდერებით, არამედ ადმინისტრაციული აქტებითაც და, მესამე, კასატორს ორდერების სიყალბის თაობაზე არ განუცხადებია კა-

ნონით დადგენილი წესით (სსსკ-ის 137-ე მუხლი). ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ პირველ კასატორს დასაბუთებული პრეტენზია (შედავიბა) არ წარმოიუდგენია, შესაბამისად, ეს ფაქტობრივი გარემოებები საგალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ასაბუთებენ მოსარჩელეთა მოთხოვნას, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების საფუძველზე.

21. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ, სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეწყვიტა საქმის წარმოება მოსარჩელეთა მოთხოვნაზე პირველი, მეექვსე და მეშვიდე მოპასუხის მიმართ, ვინაიდან იმავე მოთხოვნაზე არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელები არ წარმოადგენდნენ მხარეს იმ საქმეში, რომელზედაც გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, შესაბამისად, არ არსებობს, ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული, საქმის წარმოების შეწყვეტის ერთ-ერთი წინაპირობა – საქმის განხილვაში იგივე მხარეები არ მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირველ მოპასუხეს განმეორებით კი არ დაეკისრა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებული თანხა, არამედ სასამართლომ დაადგინა გადაწყვეტილების აღსრულების წესი (სსსკ-ის 251-ე მუხლი), კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით პირველ მოპასუხეს, მეექვსე და მეშვიდე მოპასუხის სასარგებლოდ, მართალია, დაეკისრა 25 547.00 ლარის ანაზღაურება, მაგრამ სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მხოლოდ აღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ უნდა შეწყვეტოდათ მფლობელობა ზემოხსენებულ მოპასუხებს მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2. პუნქტით კი, სასამართლომ დაადგინა, რომ პირველმა მოპასუხებ უნდა აუნაზღაუროს მეექვსე და მეშვიდე მოპასუხეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა და მხოლოდ ამის შემ-

დეგ უნდა შეუწყდეთ მათ მფლობელობა დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე.

22. საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია, ასევე, პირველი კასატორის პრეტენზია მეორე მოპასუხის მიმართ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების თაობაზე. საკასაციო პალატა, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კასატორის მიერ მითითებული გადაწყვეტილების მხარეებს არ წარმოადგენენ არც მოსარჩელები და არც თავად კასატორი, შესაბამისად, არ არსებობს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციული ძალის მქონედ მიჩნევის საფუძველი, ვინაიდან სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ საჭიროებენ დამტკიცებას, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

23. დაუსაბუთებელია პირველი კასატორის მოსაზრება დანარჩენი მოპასუხებების მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების არსებობის თაობაზე, ვინაიდან ასეთი რამ საქმის მასალებით არ დასტურდება. აღსანიშნავია, რომ თავად კასატორიც ვერ აკონკრეტებს, თუ კანონიერ ძალაში შესული რომელი გადაწყვეტილებები უნდა შეესწავლა და არ შეისწავლა სააპელაციო სასამართლომ.

24. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მეორე კასატორის პრეტენზიას მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების არასწორად განსაზღვრის თაობაზე, ვინაიდან კასატორმა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არ უნდა ეხელმძღვანელა სააპელაციო სასამართლოს საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით და რატომ უნდა მიენიჭებინა უპირატესობა აუდიტის დასკვნისათვის. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს მითითებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განჩინების მე-12 პუნქტი).

25. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. ასეთ საფუძველზე ვერც კასატორები ვერ მიუთითებენ. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

26. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკს ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები, რის გამოც საკასაციო საჩივრებს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

28. სსსკ-ის 401.4-ე მუხლის თანახმად, თუ საკასაციო საჩივრი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, პირველი კასატორი გათავისუფლებულია საკასაციო საჩივრზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო, მეორე კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივრზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (1095.99 ლარის, გადახდის თარიღი – 27/07/2015 წელი, საგადახდო დავალება №1) 70% – 767.19 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

29. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3-ე, 391-ე მუხლებით, 401-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

3. კასატორი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

4. კასატორ მ. ზ-ეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (1095.99 ლარის, გადახდის თარიღი – 27/07/2015 წელი, საგადახდო დავალება №1) 70% – 767.19 ლარი;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# პომავენსაცია აღმინისტრაციული წესით მიღებული მფლობელობის შეცყვატისათვის

## განხილვა

№ას-757-725-2016

25 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** მოსარგებლისათვის საცხოვრებელი სადგო-  
მის საბაზრო ლირებულების ოდენობით კომპენსაციის გადახდა

### აღნერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისში, დ-ის ქ. №32-ში მდებარე 476 კვმ მიწის ნაკ-  
ვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 0..) წარმო-  
ადგენს ე. შ-ის, ა. მ-ის, თ. პ-ის, მ. ხ-ის და ო. ჯ-ის საზი-  
არო საკუთრების საგანის (შემდეგში მესამე პირები; საქართვე-  
ლოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 953-ე მუხლი; იხ.  
ამონანერი საჯარო რეესტრიდან).

2. ქ. ტ-ი (შემდეგში: მოსარჩევლის უფლებამონაცვლე, მოსარ-  
გებლე) წარმოადგენს ან გარდაცვლილი მ. ი-ს ძე ფ-ის (პაპის)  
უფლებამონაცვლეს. მოსარჩევლის პაპას, ჯერ კიდევ 1935 წლის  
8 ივნისს თბილისის საბჭოს საბინაო მეურნეობის სამმართვე-  
ლოს ბინების გაცვლის ბიუროს მიერ გაცემული № 1537/851 ორ-  
დერის საფუძველზე, თავის თოხსულიან ოჯახთან ერთად, საც-  
ხოვრებულად გადაეცა ქ. თბილისში, გ-ის (ამჟამად გ. დ-ის) ქუჩა  
№... ში მდებარე სახლის ერთი ოთახი – 26 კვ.მ.

3. მე-2 პუნქტში მითითებულ მოსარგებლეს („საცხოვრებე-  
ლი სადგომით სარგებლობისას ნარმოშობილი ურთიერთობების  
შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კა-  
ნონი, მიღებული 1998 წლის 25 ივნისს, 06/24/2016 №5601 კანო-  
ნის მიღებამდე რედაქციით, 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) დაკავე-  
ბული სადგომი მიღებული აქვს ადმინისტრაციული აქტის – ორ-  
დერის საფუძველზე, კერძოდ, ქ. თბილისში, გ. დ-ის ქ. №32-ში  
მდებარე შენობა – ნაგებობიდან (ს/კ 0..) მას დაკავებული აქვს  
33,56 კვმ საერთო ფართის მქონე საცხოვრებელი სადგომი, რო-  
მელიც შედგება 21,73 კვმ ოთახის, 10,58 კვმ და 1,25 კვმ დამ-  
ხმარე ფართებისაგან.

4. მოსარგებლის მიერ დაკავებული 33,56 კვ.მ. საერთო ფართის მქონე საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება შეადგენს 15 102 აშშ დოლარს, კერძოდ, 21,73 კვ.მ. ოთახის ღირებულებაა – 10 350 აშშ დოლარი, 10,58 კვმ შუპაპანდისა და 1,25 კვ.მ. საპირფარეშოს (ჯამში 11, 83 კვმ) – 4752 აშშ დოლარი (იხ. სასპ ლევან სამხარაულის სახელმის სასამართლო ექსპრტიზის ეროვნული ბიუროს 18.05.2015 № 002725015 დასკვნა).

5. დავის განხილვა-გადაწყვეტის დღისათვის აშშ დოლარის გაცვლითი კურსი ლართან მიმართებით შეადგენს 2.4 (1 აშშ დოლარი = 2,4 ლარს; იხ. საქალაქო სასამართლოს 11.12.2015წ. ოქმი).

6. რ. ტ-მა (შემდეგში მოსარჩელე) 2013 წლის 22 აპრილს სარჩელი ალძრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდეგში: მოპასუხე, სამინისტრო, აპელაციონული აქტის საფუძველზე დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების – 30 000 ლარის ანაზღაურება მოპასუხისაგან.

7. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით არცნო სარჩელი.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრისა და 4 ოქტომბრის განჩინებებით, მოსარჩელის შუამდგომლობის დაკამაყოფილების საფუძველზე, დავაში მესამე პირებად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ჩაერთვნენ პირველ პუნქტში დასახელებული პირები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 89-ე, 90-ე მუხლები; იხ. განჩინებები).

9. მოსარჩელის გარდაცვალების გამო, იგი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით, ამ განჩინების მე-2 პუნქტში დასახელებული მოსარგებლით (სსსკ-ის 92-ე მუხლი; იხ. საქალაქო სასამართლოს 06.02.2015წ. განჩინება).

10. მოსარგებლემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა 2015 წლის 21 ოქტომბერს, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის 15 282 აშშ დოლარის დაკისრება (იხ. დაზუსტებული სარჩელი).

11. მოსარჩელის დაზუსტებული მოთხოვნის პასუხად, სამინისტრომ საკუთარ შესაგებელში მიუთითა, რომ სარჩელი უსაფუძვლი იყო, რადგან მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია მტკიცებულება იმის შესახებ, რომ 1935 წლისათვის, ანუ ორდერის გაცემის მომენტისათვის, სახლი იყო მოსარჩელის მამკაიძრებლის საკუთრებაში. მე-3 პუნქტში მითითებული სპეციალური კანონის 2.8 მუხლი ეხება მხოლოდ მესაკუთრეს, რომელსაც საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება. მოპასუხემ,

ასევე, სადავოდ გახადა საცხოვრებელი სადგომის ცნება, კერძოდ, მისი მტკიცებით, ადმინისტრაციული აქტით საცხოვრებელ სადგომზე მოპოვებული უფლება უნდა გავრცელდეს მხოლოდ ადმინისტრაციულ აქტში (ორდერში) მითითებულ სადგომზე და არა მისი გამოყენებისათვის აუცილებელ დამხმარე ფართზე. მოპასუხებმ სადავო გახადა, ასევე, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ექსპერტიზის ხარჯების მართლზომიერებაც (იხ. შესაგებელი დაზუსტებულ სარჩელზე).

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკავყოფილდა და, მოსარგებლის სასარგებლოდ, სამინისტროს დაეკისრა 32 564,23 ლარის გადახდა.

13. საქალაქო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობით შეაჯერა მესამე პირთა განმარტებები და დავის გადასაწყვეტად გამოიყენა მე-3 პუნქტში მითითებული სპეციალური კანონი. სპეციალური კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განმარტებულია: „მოსარგებლე – პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით“, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად: „იმ მესაკუთრეს, რომლის საცხოვრებელ სადგომშიც ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ იქნა მოსარგებლე, შეუძლია მოსარგებლეს მოსთხოვოს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულებას. მოსარგებლე ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ კომპენსაციას სახელმწიფოსგან მიიღებს მესაკუთრის ან მოსარგებლის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე“.

14. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილვები დავაზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფნენ, რომ მოსარჩელს უფლებამონაცვლეს (მოსარგებლეს), ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული მესამე პირების საზიარო საკუთრებად რიცხული უძრავი ქონებიდან, დაკავებული აქვს კონკრეტული ფართობი (იხ. მე-3 პუნქტი). მოსარჩელის უფლებამონაცვლის მფლობელობა განპირობებულია სპეცია-

ლური კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ადმინისტრაციული აქტით – ორდერით (იხ. მე-2 პუნქტი), შესაბამისად, მოსარჩელის უფლებამონაცვლე უფლებამოსილია, სახელმწიფოსაგან მიიღოს კომპენსაცია.

15. სასამართლომ, კომპენსაციის ოფენბის განსაზღვრის მიზნით, ასევე, იმსჯელა იმაზეც, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული საცხოვრებელ სადგომად. ამ საკითხის გადასაწყვეტად, სასამართლომ მიუთითა სპეციალური კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის დანაწესზე: „ამ მუხლით საცხოვრებელ სადგომად განისაზღვრება ის ფართი, რომელზედაც თავდაპირველად არსებობდა გარიგება მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის ან გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული აქტით“. სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილი იყო მოსარგებლის მფლობელობის საგანზე – საცხოვრებელ სადგომზე მიშენების განხორციელება, რაც 3, 8178 კვ.მ-ს შეადგენდა, ასევე, დადგენილი იყო, რომ ორდერში მითითებული 26 კვ.მ-ის ნაცვლად, ბინის სტატიკური თვისობრიობის გათვალისწინებით, ორდერით გადაცემული ბინის რეალური ფართი შეადგენს 29,7422 კვ.მ-ს, რაც 32 564, 23 ლარის საბაზრო ღირებულების იყო.

16. სასამართლომ, მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით, დაასკვნა, რომ სახელმწიფოს, სამინისტროს, მეშვეობით, მოსარჩელისათვის უნდა აენაზღაურებინა 29,7422 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულება – 32 564,23 ლარი, ხოლო მიშენებული ფართის ღირებულების ანაზღაურებაზე სახელმწიფო ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი.

17. სასამართლომ, ასევე, დააკმაყოფილა მოსარჩელის მიერ საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი ხარჯის – 500 ლარის, საექსპერტო კვლევისათვის – 236,34 ლარის და სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის ჩატარებისათვის განეული – 217 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნაც.

18. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა იმავე პრეტენზიებზე დაყრდნობით, რაც შესაგებელში ჰქონდა მითითებული (იხ. ამ განჩინების მე-11 პუნქტი) და მიუთითა სპეციალური კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, საბინაო კოდექსის 52-ე მუხლზე, ახალი საბინაო კანონის 23-ე მუხლზე. აპელანტმა სადავო გახდა და სასამართლო ხარჯების მისათვის დაკისრების საკითხიც.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილი იყო მისათვის დაკისრების საკითხი.

ფილდა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

20. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

21. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინების მე-15-მე-16 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე იმსჯელა და აღნიშნა, რომ კომპენსაციის განსაზღვრის ნაწილში, საქალაქო სასამართლო მართებულად მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფო, სამინისტროს მეშვეობით, ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა 29,7422 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულება – 32 564,23 ლარი.

22. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის პრეტენზია მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე და მიუთითა სსსკ-ის 37-ე, 44-ე, 53-ე მუხლებზე, საქმეში მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე და ამ ნაწილშიც დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო საჩივარი.

23. სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა.

24. კასატორის პრეტენზიები იმავე გარემოებებსა და არგუმენტებს მოიცავს, რაც მის შესაგებელში და სააპელაციო საჩივარშია ასახული (იხ. ამ განჩინების მე-11, მე-18 პუნქტები; იხ. სააპელაციო საჩივარი და საკასაციო საჩივარი).

25. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განჩინებით, სამინისტროს საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამითომ იგი დაუშვებელია, შემდეგი არგუმენტაციით:

26. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითა-

რებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ხორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

27. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

28. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსკ წეს-533-507-2013, 30.10.2013 წ.; წეს-1158-1069-2015, 29.01.2016).

29. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

30. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებიც რომ ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საგადადებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენ-

ზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელეს ასე-თი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

31. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს მარ-თლზომიერად აქვს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი და ქვემდგომმა სასამართლოებმა მართებულად მოაქციეს განსა-ხილველი დავა სპეციალური კანონით მოწესრიგებულ ურთიერ-თობათა ფარგლებში.

32. კასატორის პრეტენზია არაკვალიფიციური და დაუსაბუ-თებელია, არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკაიცებუ-ლებებიდან. ქვემდგომმა სასამართლოებმა იმსჯელეს და სწორი იურიდიული კვალიფიკაცია მისცეს მოსარგებლის მიერ დაკავე-ბული საცხოვრებელი სადგომის საკომპენსაციოდ განსაზღვრულ თანხას სწორედ იმ ფართობის გათვალისწინებით, რაც სადგომს აქვს შემდგომში განხორციელებული მიშენების გარეშე.

33. გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები არ არის გაბათილებული საკასაციო პრეტენზით, ამდენად, არ არ-სებობს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი არცერთი საფუძველი საკასაციო განაცხადის დასაშვებად მისაჩინევად. აღნიშნული მოპასუხის პრეტენზის დაუშვებლად ცნობისა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძვე-ლია.

34. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გა-დახლისაგან „სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ საქართველოს კანო-ნის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩი-ვარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახლისაგან გათავისუფ-ლებულია;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# პომავესაცია აღმინისტრაციული წესით მიღებული მფლობელობის შეცყვატისათვის

## განხილვა

№ას-44-40-2017

17 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიძვილი,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის  
შეწყვეტის სანაცვლოდ კომპენსაციის დაკისრება

### აღნერილობითი ნაწილი:

#### 1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა- ფუძვლები:

1.1. ე. ხ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხა-  
რე ან მოსარგებლე) სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართვე-  
ლოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომში – მოპასუხე, აპელან-  
ტი ან კასატორი) მიმართ ქ. თბილისში, მ-ას ქ. №...ში მდებარე  
94,54 კვ.მ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტის  
სანაცვლოდ მოპასუხისათვის 31 040 აშშ დოლარის ეკვივალენ-  
ტი ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ქ.  
თბილისში, მ-ას ქ. №...ში მდებარე საცხოვრებელ სადგომში მო-  
სარჩელე შესახლებულია ადმინისტრაციული აქტის საფუძველ-  
ზე და წარმოადგენს სადგომის მოსარგებლეს. 2015 წლის 26 აგ-  
ვისტორია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პო-  
ლიციის მიერ მოსარგებლე გამოსახლებულ იქნა დაკავებული  
სადგომიდან, რის გამოც, მოითხოვა კომპენსაციის გადახდა.

#### 2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო  
სარჩელი და განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარ-  
გებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართვე-  
ლოს კანონის შესაბამისად, სარჩელში არ არის წარმოდგენილი  
სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა იმ  
ფაქტს, რომ მოსარჩელე წარმოადგენს ამ კანონით გათვალის-  
წინებულ მოსარგებლეს. სსრ საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის  
თანახმად, საქმეში ასევე არ მოიპოვება დოკუმენტი, რომელიც

მოსარგებლის მიერ სადგომის კეთილსინდისიერ და ფაქტობრივ ფლობას დაამტკიცებდა, რაც შეეხება ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებასა და ორდერს, ისინი საქმეში წარმოდგენილია ხარვეზიანი სახით, კერძოდ, მასზე დასმული ბეჭედი იმდენად მერთალად არის გამოხატული დოკუმენტზე, რომ შეუძლებელია მისი ნამდვილობის დადგენა. გარდა აღნიშნულისა, მოპასუხებ სადავოდ გახადა კომპენსაციის ოდენობის სისწორე და მოსარგებლის მიერ დაკავებული ფართის ოდენობა.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციის ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხებ მოსარგებლის სასარგებლოდ დაეკისრა 31 040 აშშ დოლარის გადახდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციის ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრაში არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

##### **1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მებუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-

მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-სებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქ-მე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რო-მელსაც შეეძლო არსებოთად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშ-ნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც სა-კასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასა-ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო სა-ჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითე-ბული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

1.2.1. ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დე-პუტატების აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო სამმართვე-ლოს 1967 წლის 31 იანვრის ინფორმაციით, რაისაბჭოს 1967 წლის 14 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, d-ის ქუჩა (ამჟამად მ-ას ქუჩა) №...ში მდებარე ვ. ა-ეს ძე ხ-ის სახელზე რიცხული 17 კვ.მ ერთი ოთახი გადაფორმდა გ. ვ-ის ძე ხ-ის სა-ხელზე;

1.2.2. ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დე-პუტატების აღმასრულებელი კომიტეტის 1977 წლის 7 დეკემ-ბრის №... გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ა. მ-ას ქუჩა №...ში, მოქალაქე კ-ის მიერ გათავისუფლებული 17 კვ.მ ერთი ოთახი მიეცა დამატებით საცხოვრებელ ფართად გ. ვ-ის ძე ხ-ს ოჯახის ხუთ წევრზე (თვითონ, მეუღლე (მოსარჩევე) და სამი შვილი). აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გ. ვ.ის ძე ხ-ის სა-ხელზე 1977 წლის 19 დეკემბერს გაიცა ბინის ორდერი №...;

1.2.3. კომუნალური გადასახადის ქვითრებითა და სს „თ-ის“ ინფორმაციის საფუძველზე, გ. ხ-ი რეგისტრირებულია კომუნა-ლური გადასახადების გადამხდელ აბონენტად მისამართზე: ქ. თბილისში, ა. მ-ას ქუჩა №...ში. თბილისის ცენტრალური არქივის მიერ 2011 წლის 2 ივნისს გაცემული ცნობის თანახმად კი, დი-დუბე-ჩუღურეთის რაიონის საბინაო-კომუნალური მომსახურე-ბის №... სერვის-ცენტრის დოკუმენტები დაცული მობინად-რეთა მოძრაობის პირად ბარათში მოსარჩევე რეგისტრირებუ-ლია ამავე მისამართზე;

1.2.4. ვ. ხ-ი გარდაიცვალა 1982 წლის 1 თებერვალს, მისი შვილი, ვ. ხ-ი – 2005 წლის 7 დეკემბერს, რომელიც მოსარჩელის მეუღლე იყო, თანახმად ქორწინების მონმობისა;

1.2.5. საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, მ-ას ქუჩა №...ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ №...) რეგისტრირებულია ამხანაგობა „გ-ის“ საკუთრებად;

1.2.6. აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამართველოს განყოფილების 2015 წლის 26 ოქტომბრის ოქმის საფუძველზე აღსრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წლის 4 ივნისს გაცემული №... სააღსრულებო ფურცელი და მოსარგებლე სააღსრულებო ფურცელში მითითებულ სხვა პირებთან ერთად გამოსახლდა ზემოხსენებული სადგომიდან;

1.2.7. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარგებლის სარჩელი ქალაქ თბილისის მერიისა და დიდუბის რაიონის გამგეობის მიმართ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს ქ. თბილისში, მ-ას ქუჩა №...ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციაზე. გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ბინა საბინაო ფონდის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდა და მასზე არ ვრცელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულება.

1.2.8. მოპასუხის მიერ წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 15 მარტის დასკვნის თანახმად, მოსარჩელის მიერ დაკავებული შენობა-ნაგებობი 94.54 კვ. მეტრია და მათი საბაზრო ლირებულება 2016 წლის 7 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ 31040 აშშ დოლარს შეადგენს (ეროვნულ ვალუტაში გაცვლითი კურსით (1 აშშ დოლარი = 2.4716 ლარი) 76 718 ლარი).

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მა-

ტერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარე-მოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და და-საბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპი-რობა ვერ გახდება კასატორის შედავება იმის თაობაზე, რომ ახა-ლი საბინაო კოდექსის 23-ე პუნქტისა და საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, მოქალაქის საცხოვრებელ სადგომში შესახ-ლების საფუძველს წარმოადგენს ორდერი, რაც „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესა-ხებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირის მოსარგებლედ მიჩ-ნევის საფუძველია. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცე-ბულებებით: ქ. თბილისის პირველი მაისის მშრომელთა დეპუტა-ტების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო სამსართვე-ლოს 1967 წლის 31 იანვრის აქტის თანახმად, რაისაბჭოს 1967 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე გ. ვ-ის ძე ხ-ის სახელზე გახსნა პირადი ბარათი და დაიდო ქირავნობის ხელ-შეკრულება, რომლის მიხედვითაც იგი ვალდებული იყო, ფართში შესახლების სანაცვლოდ ეხადა ქირა, ამის შემდგომ საბჭოს აღ-მასრულებელი კომიტეტის 1977 წლის 7 დეკემბრის გადაწყვე-ტილებით გ. ხ-ს გადაეცა გამოთავისუფლებული 17 კვ.მ ოთახი, რის თაობაზეც გაიცა ორდერი, შესაბამისად, დასტურდება, რომ თავდაპირველად პირი ქირავნობის საფუძველზე შესახლდა ფარ-თში და ამ ურთიერთობაზე „საცხოვრებელი სადგომით სარგებ-ლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელება არ დაიშვება, ხოლო, სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მფლობელობის ფაქ-ტის დადასტურება ეკისრებოდა მოსარჩელეს.

1.5. საკასაციო პალატა უარყოფს ვასატორის ზემოხსენებულ პრეტენზიებს იმ დასაბუთებით, რომ სააპელაციო სასამარ-თლოს მხრიდან კანონის მოთხოვნათა დარღვევა არ დასტურ-დება (სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები). საკასაციო პალატა მიჩ-ნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა „საცხოვრებელი სად-გომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვე-პუნქტის (18.07.2016 რედაქციით) შესაბამისად, მართებულად მიიჩნიეს მოსარჩელე ამ კანონით განსაზღვრულ მოსარგებლედ (უფლებამონაცვლედ) და ამ დასკვნას საფუძვლად სწორად და-უდეს საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის პირველი მაისის რა-ონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის

საბინაო სამმართველოს 1967 წლის 31 იანვრის ინფორმაცია, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის 1977 წლის 7 დეკემბრის ... გადაწყვეტილება და 1977 წლის 19 დეკემბერს გაცემული №... ბინის ორდერი. პალატა ასევე ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხებ ვერ დაძლია მოსარჩელესთან ქირავნობის ხელშეკრულების დადების მტკიცების ტვირთი (იხ. ასევე, ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.3. პუნქტი). ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტას სარ-ის საბინაო კოდექსის 142-ე და 154-ე მუხლებით რეგულირებული ქირავნობის ინსტიტუტი, რომლის ნინააღმდეგაც კასატორს დასაშვებ შედავება არ წარმოუდგენია. იმ პირობებში კი, როდესაც მოსარგებლეს გადაწყვეტილების აღსრულების გზით იძულებით შეუწყდა სადგომზე მფლობელობა, მოპასუხეს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სწორად დაეკისრა ფაქტობრივად დაკავებული სადგომისათვის კომპენსაციის გადახდა.

1.6. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით (იხ. სუსგ №ას-1033-1226-08, 28 მაისი, 2009 წლი).

1.7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშევას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

## 2. სასამართლო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.
2. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **კომავენსაცია ადმინისტრაციული ნესით მიღებული მფლობელობის შეყვეტისათვის**

#### **განერიცება**

№ას-49-45-2017

6 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობიდან გამომდინარე თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძლები:

1.1. ვ. ჯ-იამ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან მფლობელი) სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომში – მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე ან სამინისტრო) მიმართ და მოითხოვა მოსარჩელის სასარგებლოდ 8 000 აშშ დოლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემობებს: მოსარჩელის დედამ ან გარდაცვლილმა ე. ჟ-იამ (შემდგომში – მამკვიდრებელი) 1973 წლის 4 აგვისტოს შეიძინა ნ. და ი. ნ-ების (ყოფილი ა-ის) ქ. №19-ში მდებარე ბინის 3/12 (№12, №13 და

№14 ოთახები). №13 ოთახში ცხოვრობდნენ ა. თ-ია და მისი ინ-ვალიდი შვილი დ. ბ-ი (შემდგომში – მოსარგებლები), მათვე ჰქონდათ დაკავებული №14 სათავსა. მოსარგებლები სადავო საცხოვრებელ ფართში შესახლებული იყვნენ კიროვის რაიონის სასამართლოს 1964 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით. 2007 წლის 7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს №2/3681-07 განჩინებით (სადაც დავის საგანს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე კომპენსაციის გადახდა და მოპასუხეთა ბინიდან გამოსახლება წარმოადგენდა), მხარეთა მორიგების გამო, შენყდა საქმის წარმოება. მორიგების პირობების თანახმად, მამკვიდრებელი მოსარგებლებს 2008 წლის მარტის ბოლომდე გადაუხდიდა 8 000 აშშ დოლარს, სანაცვლოდ კი მოსარგებლებმა მას გადასცეს დაკავებული ფართი. 2014 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა მამკვიდრებელი და სამკვიდრო მიიღო მოსარჩელემ. ვინაიდან მან სახელმწიფოს ნაცვლად გადაუხადა სადგომში აღმინისტრაციული აქტის საფუძველზე შესახლებულ მოსარგებლებს კომპენსაცია, მოსარჩელეს უფლება აქვს, ამ თანხის გადახდა მოითხოვოს მოპასუხისავან, თანახმად „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონისა.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მარტივი შედაცვებით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქმეზე, რომელიც დასრულდა მხარეთა მორიგებით, ის არ მონაწილეობდა, გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მიერ საქმეში არ არის ნარმოდგენილი მოსარგებლების სახელზე გაცემული ორდერები, რაც საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობის თანახმად, პირთა სადგომში შესახლების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა, გარდა ამისა, მოსარჩელებს არ წარმუდენიათ მტკიცებულება, რომელიც განსაზღვრავდა საკომპენსაციოდ გადახდილ თანხას – 8 000 ლარის ოდენობით.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციის ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

## **4. აპელაციის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მფლობელმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახა-

ლი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება.

## 5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაქმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

## 6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-ასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება.

## სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია შემ-დეგ გარემოებათა გამო:

### 1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-ხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებბში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-სამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-სებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქ-მე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რო-მელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შე-დეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშ-ნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც სა-კასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასა-ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო სა-ჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითე-ბული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

1.2.1. კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარგებლის სარჩელი დაკ-მაყოფილდა და შვილთან (თანამოსარგებლე) ქ. თბილისში, ა-ის

ქ. №19-ში მდებარე ე. მ-ს ასული ბ-ისა და ს. მ-ს ასული ო. ა-ის ბინიდან საექსპერტო დასკვნის მიხედვით გამოეყოთ 18,87 კვ.მ ოთახი, საიდანაც აგრეთვე უფლება მიეცა იდეალურ წილზე მოპასუხე ო. დ-ის ძე ბ-ს, მოსარგებლეს შეუნარჩუნდა ოთახთან არსებული დამხმარე სათავსებით სარგებლობის უფლება;

1.2.2. მოსარგებლები სადაცო ბინაში ცხოვრობდნენ ჩანერის საფუძველზე, თუმცა, ეს გარემოება არ წარმოადგენდა მათი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შესახლებულად მიჩნევის წინაპირობას. ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელე ა. თ-ია და მოპასუხე ო. ბ.ი რეგისტრირებულ ქორნინებაში მყოფი ცოლ-ქმარი იყვნენ, რომელთა შორისაც მოგვიანებით დაირღვა ცოლქმრული ურთიერთობა, თუმცა სასამართლო წესით განქორნინებულები არ ყოფილან, ერთად ცხოვრების პერიოდში ცხოვრობდნენ ა-ის ქ. №19-ში მოპასუხის დედის, გარდაცვლილი ე. ბ-ის პირადი საკუთრების ბინაში, თანაცხოვრების პერიოდში ისინი ასევე იყენებდნენ მოპასუხის დეიდის ს. ა-ის პირად საკუთრებაში არსებულ ქონებას, სადაც იმ პერიოდში ცხოვრობდა მოპასუხის და. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ საბინაო წიგნის, მიღიცის საპასპორტო განყოფილების მიწერილობისა და დაკითხულ პირთა ჩვენების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია სადავო ფართში ჩანერის საფუძველზე მოსარჩელის ცხოვრების ფაქტი. ის გარემოება, რომ ა. თ-ია ჩანერილი იყო მეუღლის დედის პირად საკუთრებაში არსებულ ფართში, ამასთან, საქმეში იმგვარი მტკიცებულებების არ არსებობა, რაც დაადასტურებდა ორდერის საფუძველზე ა. თ-იას ბინაში შესახლებას, იძლეოდა დასკვნის საფუძველს მასზე, რომ ა. თ-ია სადაცო ფართში შესახლებული არ ყოფილა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე და ეს უკანასკნელი ფართში ჩანერილი იყო, მესაკუთრის თანხმობით, როგორც მისი ოჯახის წევრი.

1.2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ივნისის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება და მამკვიდრებელმა მოსარგებლებს 1964 წლის ადმინისტრაციული აქტის (სასამართლო გადაწყვეტილების) საფუძველზე დაკავებული ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ გადაუხადა 8 000 აშშ დოლარი;

1.2.4. საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად სადაცო უძრავ ქონებაზე (ს/კ №...) ბ. ლ-ისა და მოსარჩელის საკუთრების უფლებაა რეგისტრირებული.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2

ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. საკასაციო საჩივრის განსახილვებად დაშვების წინაპირობა ვერ გახდება კასატორის შედავება იმის თაობაზე, რომ:

1.4.1. სასამართლომ ვერ დაასაბუთა პირის ბინაში ჩაწერა რატომ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს (რეალექტს), რომელიც ამ პირის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის სუბიექტად მიჩნევას განაპირობებდა. ამ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად განმარტა კანონის ზემოხსენებული ნორმა, რის გამოც, მიღებული გადაწყვეტილება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების პრაქტიკისაგან (სუსგ-ები: №ბს-720-692(კს-08); №ას-142-137-2011);

1.4.2. სასამართლომ არასწორად განმარტა მხარეთა შორის დაისი მორიგებით დასრულების ფაქტი, რაღანაც მორიგების განჩინებაში სასამართლო ადგენს, რომ მოსარგებლები არა სასამართლო გადაწყვეტილების, არამედ, ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე იქნენ შესახლებული, ეს განჩინება შესულია კანონიერ ძალაში და აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა;

1.4.3. სააპელაციო სასამართლო კიროვის რაიონის სასამართლოს 1964 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ადგენს, რომ მოსარგებლის, როგორც ოჯახის წევრის ჩაწერა ბინაში განხორციელდა მესაკუთრის ნებით, თუმცა ამ გადაწყვეტილებაში მესაკუთრის თანხმობით პირის ჩაწერის თაობაზე არაა მითითებული. ამავე წარმატებით შეიძლება მტკიცება იმ გარემოებისა, რომ ორდერის არარსებობა არ გამორიცხავს პირის შესახლებას სხვა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, მოცემულ შემთხვევაში, პირის ჩაწერის შესახებ აქტი

იმავდროულად ნიშნავს მისი ჩაწერის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო თავად ჩაწერა არის ამ გადაწყვეტილების რეგისტრაციის ფაქტი, შესაბამისად, ჩაწერის მომენტიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული აქტიდან და მისი შედეგის თანმდევია;

1.4.4. სასამართლო იმსჯელა სსრ-ის საბინაო კოდექსის 57-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ კანონიერი მოსარგებლის უფლების ნარმოშობის საფუძველი არის ადმინისტრაციული აქტი – ორდერი, თუმცა სასამართლოს არ უმსჯელია რეალურის თაობაზე.

1.5. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის ზემოხსენებულ პრეტენზიებს იმ დასაბუთებით, რომ ქვემდგომი სასამართლოს დასკვნები არ ენინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს (სსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები). პალატა განმარტავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის, როგორც ადრე, ისე დღეს მოქმედი რედაქცია ანესრიგებს კონკრეტულ ურთიერთობას, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე (1997 წლის 25 ნოემბერი) წარმოიშვა და სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. საბჭოთა პერიოდის სამართლი იცნობდა ჩაწერის ინსტიტუტს რომელსაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა და რიგ შემთხვევაში, ეს ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის მოქმედების არეალში ექცევა, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მოსარგებლის უფლება სწორად იქნა განმარტებული ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან, რომლის დადასტურებისთვისაც ფაქტის მიმთითებელ მხარეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, ეკისრება სსრკ-ის საბინაო კოდექსის 57-ე მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მტკიცებულების, ადმინისტრაციული აქტის წარმოდგენა. კანონით გათვალისწინებული ამ მტკიცებულების ჩანაცვლება ვერ განხორციელდება ვერც ჩაწერიდან გამომდინარე შესაძლო სხვა რაიმე ადმინისტრაციული აქტის არსებობით და ვერც ჩაწერის ფაქტის რეალაქტად მიჩნევის გზით (მით უფრო საბჭოთა კანონმდებლობა ე.წ რეალაქტის ცნებას არ ითვალისწინებდა). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ კიროვის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებას სწორად არ მიანიჭა ადმინისტრაციული აქტის კვალიფიკაცია, ხოლო, რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციულობის თაობაზე, პალატა მას არ იზიარებს და განუმარტავს საკასაციო საჩივრის ავტორს, რომ მორიგების შესახებ განჩინებით ფაქტების დადგენა არ ხდება, არამედ, სასამართლო ადასტურებს მოდავე სუბიექტთა ნებას, დავა დასარულონ გარკვეული შეთანხმებით, ამგვარი აქტისათვის კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობის მინიჭება თავად ნორმის აღწერილობიდან არ გამომდინარეობს. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის იმ არგუმენტს, რომ გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან, რამდენადაც №ას-142-137-2011 განჩინებით სასამართლომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრი მოსარგებლის მიმართ არ დააკმაყოფილა იმ უმთავრესი დასაბუთებით, რომ მოსარგებლე შესახლებული იყო ადმინისტრაციული აქტის – ორდერის საფუძველზე, ამგვარი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, ხოლო, რაც შეეხება №ბს-720-692(კ-კ-08) განჩინებას, იგი შეეხება საკუთრების მოწმობის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტის შესაბამისობას კანონმდებლობასთან.

1.6. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რამე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივრას არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

1.7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშევას საკასაციო საჩივრი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

## 2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ჯ-იას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-უშებლობის გამო.

2. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფ-ლებულია.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## სადგომზე მფლობელობის მიზოვება

### განხილვა

№ას-532-508-2016

16 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საც-ხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. გ-ი (შემდეგში: მოსარჩელის პაპა, პირველი მოსარგებ-ლე) გ. ი-თან (შემდეგში: უძრავი ქონების თავდაპირველი მესა-კუთრე) დადებული საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე, თბილის-ში, ზ-ის (ყოფილი მ-ის) მე-3 შესახვევში №22, მდებარე უძრავ ქონებას – მიწის ნაკვეთს – 701 კვ.მ. და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს (ლიტერი „ა“-123.84 კვ.მ, ლიტერი „ბ“-96.85 კვ.მ და ლიტერი „დ-მ-ტ-ვც“ – 50 კვ.მ) ფლობდა 1955 წლიდან („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომობილი ურ-თიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის, შემდეგში: სპე-ციალური კანონის 1<sup>მ</sup> მუხლის „ა“ პუნქტი).

2. მოსარჩელის პაპამ ზემოხსენებული უძრავი ქონება გაყო სამ ნანილად და მფლობელობა გაანაწილა შვილებს – გ. გ-ს (შემ-

დეგში: მოსარჩელის მამა), ლ. ქ-ს და ნ. ს-ეს (შემდეგში: მოსარჩებლის შვილები) შორის, რომლებიც ამ განაწილების შესაბამისად აგრძელებდნენ აღნიშნული ქონების ფლობას მამის გარდაცვალების შემდეგაც. მოსარჩელის პაპა (პირველი მოსარგებლე) გარდაიცვალა 1979 წლის 5 დეკემბერს.

3. ნინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება 1940 წლიდან 2001 წლის პირველ აგვისტომდე (მოსარჩელის პაპის გარდაცვალებამდე) წარმოადგენდა თავდაპირველი მესაკუთრის საკუთრებას.

4. მოსარჩელის მამა გარდაიცვალა 1998 წლის 17 ოქტომბერს, მისი დანაშთი სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღეს პირველი რიგის მემკვიდრეებმა: ნ. გ-მა (შემდეგში: მოსარჩელე, აპელაციი ან კასატორი) და რ. გ-მა (შემდეგში: მოსარჩელის ძმა).

5. ა. შ-ისა (შემდეგში: მოპასუხე) და მოსარჩელის ძმის შეთანხმების საფუძველზე, ამ უკანასკნელმა 1999 წლის აგვისტოში მოპასუხისაგნ მიიღო 3 000 (სამი ათასი) ლარ დოლარი, ამავე პერიოდიდან სადაც საცხოვრებელ სადგომში (მოსარჩელისა და მისი ძმის), მამის კუთვნილ წილში ცხოვრობს მოპასუხე ოჯახთან ერთად.

6. მე-5 პუნქტში მითითებული შეთანხმების (ხელშეკრულების) შემდეგ, მოსარჩელე იმყოფება საზღვარგარეთ და არ უცხოვრის სადაც საცხოვრებელ სადგომში.

7. სადაც უძრავი ქონების თავდაპირველი მესაკუთრის (რომელიც 2001 წლის 1 აგვისტოს გარდაიცვალა, იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) სამკვიდრო ქონება, ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო პირველი რიგის მემკვიდრემ ო-მა (შემდეგში: მესაკუთრე, თავდაპირველი მესაკუთრის მემკვიდრე), რაზედაც 2010 წლის 18 იანვარს გაიცა სამკვიდრო მოწმობა და ამ დოკუმენტის საფუძველზე, იმავე წლის 24 თებერვალს, მემკვიდრე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების 665 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული 8 (რვა) შენობა-ნაგებობის (ს/კ 0..) მესაკუთრედ.

8. ამ განჩინების მე-7 პუნქტში დასახელებულმა მესაკუთრემ, 2010 წლის 25 თებერვალს, მ. ქ-ს (შემდეგში: პირველი მოსარგებლის /იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი/ პირველი შვილიშვილი) მიჰყიდა უძრავი ქონება და ეს უკანასკნელი აღირიცხა მესაკუთრედ.

9. მე-8 პუნქტში მითითებულმა მესაკუთრემ (პირველი მოსარგებლის პირველმა შვილიშვილმა), 2010 წლის 19 მარტს, ი. ს-

ეს (შემდეგში: ამ განჩინების მე-2 პუნქტში მითითებული 6. ს-ის ქალიშვილი, პირველი მოსარგებლის მეორე შვილიშვილმა) მიჰყიდა უძრავი ქონება, ხოლო იმავე წლის 29 მარტს, იმავე მხარე-ებს შორის უძრავი ქონების გამიჯვნის ხელშეკრულებები გაფორმდა, რომელთა საფუძველზე 665 კვ.მ მინის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობანი გაიყო სამ დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად, რომელთაგან 179 კვ.მ. მინის ნაკვეთი, მასზე განლაგებულ სამ შენობა-ნაგებობასთან ერთად (ს/კ 0) აღირიცხა პირველი მოსარგებლის პირველი და მეორე შვილიშვილების საკუთრებად.

10. პირველი მოსარგებლის პირველმა შვილიშვილმა, 2013 წლის 13 ივნისს, ამ განჩინების მე-5 პუნქტში მითითებულ მოპასუხეს მიჰყიდა უძრავი ქონება და იმავე თარიღიდან მოპასუხე საჯარო რეესტრში აღირიცხა სადავო ქონების 220 კვ.მ. მინის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული სამი შენობა-ნაგებობის №1, №2, №3 (ს/კ 0) მესაკუთრედ.

11. ამ განჩინების მე-4 პუნქტში მითითებულმა მოსარჩელემ 2013 წლის 4 დეკემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ (იხ. მე-5 პუნქტი) და მოითხოვა, საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, მოპასუხისათვის კომპენსაციის გადახდა. საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად ჩაერთნენ: მოსარჩელის ძმა (იხ. მე-4 პუნქტი), პირველი მოსარგებლის შვილები (იხ. მე-4 პუნქტი) და პირველი და მეორე შვილიშვილები (იხ. მე-8 პუნქტი), ასევე, სადავო უძრავი ქონების თავდაპირველი მემკვიდრე (იხ. მე-7 პუნქტი).

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიის 2015 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 აპრილის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

15. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნები და შეფასებები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე (სსსკ-ის 390.3-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

16. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ

წინამდებარე განჩინების მე-7-მე-9 პუნქტებში მითითებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში არ გადახდილა ნასყიდობის საგნის ფასი. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ მოსარჩელე არ ხდიდა სადაცოდ მოპასუხის და ამ განჩინების მე-11 პუნქტში მითითებულ მესამე პირთაგან: თავდაპირველი მესაკუთრის მემკვიდრის, მოსარგებლის შეიღებისა და პირველი და მეორე შვილიშვილების განმარტებებს. აქედან გამომდინარე, მართებული იყო საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ თავდაპირველი მესაკუთრის მემკვიდრესა და პირველი მოსარგებლის პირველ შვილიშვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში (იხ. მე-7 პუნქტი), ასევე, პირველი მოსარგებლის პირველ და მეორე შვილიშვილებს შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი) არ ყოფილა გადახდილი ნასყიდობის ფასი და არც მოპასუხეს გადაუხდია პირველი მოსარგებლის პირველი შვილიშვილისათვის ნასყიდობის საფასური.

17. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ნასყიდობის ფასის გადაუხდელობას მოპასუხე და ზემოხსენებული მესამე პირები იმით ხსნიან, რომ თავის დროზე, მესაკუთრის მამასა და პირველ მოსარგებლეს (რომელიც მოსარჩელისა და ამ განჩინების მე-8 და მე-9 პუნქტებში დასახელებული მესამე პირების პაპა იყო) შორის შემდგარი ურთიერთობის ფარგლებში (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), წინა მესაკუთრისათვის გადახდილი ჰქონდა ნასყიდობის საფასური, შესაბამისად, პირველი მოსარგებლის მემკვიდრეთა მხრიდან დამატებით თანხის გადახდის ვალდებულება აღარ არსებობდა.

18. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებების დადება ემსახურებოდა კანონის გვერდის ავლით შემდგარი ურთიერთობების ფორმალურ-იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევას და მხარეთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ნივთების საჯარო რეესტრში მათ საკუთრებაში რეგისტრაციას (იხ. გასაჩივრებული განჩინება).

19. სააპელაციო სასამართლომ განჩინების ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა მესამე პირის – თავდაპირველი მესაკუთრის (იხ. მე-7 პუნქტი) ახსნა-განმარტებაზე, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელის ქმამ მოპასუხესთან ერთად მიაკითხა თავდაპირველი მესაკუთრის დედას და ამ აუდიენციის მიზანი იყო მოპასუხისათვის სადაც საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემისათვის სათანადო საბუთების მოძიებაში დახმარება; პირველი მოსარგებლის პირველი შვილიშვილის

(მესამე პირის) ახსნა-განმარტებით, მან თავად მოსარჩელის ძმისგან იცოდა, რომ ამ უკანასკნელმა მოპასუხეს მიყიდა სა-დავო საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლება; ხელ-ნერილზე ხელმომწერი პირები, მოწმეები განმარტავენ, რომ მო-პასუხის მიერ მოსარჩელის ძმისთვის 3000 (სამი ათასი) აშშ დო-ლარის გადახდა ემსახურებოდა სადავო საცხოვრებელი სად-გომის შექნას.

20. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საქმეში წარდგე-ნილ ხელნერილზე, რომლის მიხედვით, მოპასუხე 1999 წლის აგ-ვისტოდან ცხოვრობს სადავო საცხოვრებელ ფართში. ხელნე-რილში მითითებულია: „გაცემულია ჩემს, ი. გ-ს ასულ გ-ას (შემ-დეგში: მოსარჩელის ძმის მეუღლე) მიერ, პირადი ნომერი №0 მასზე, რომ მივიღე ფულადი თანხა 3 000 (სამი ათასი) დოლა-რის ოდენობით მოპასუხისგან საკუთარი სახლის შექნისთვის შეთანხმებული თანხა“. ხელნერილს ხელს აწერენ მოსარჩელის ძმა, მისი მეუღლე, მოპასუხე და ორი მოწმე. სასამართლომ დად-გენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და მის ძმას, სადავო ფარ-თის მოპასუხის მიერ დაკავების შემდეგ, შეწყვეტილი აქვთ სა-დავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა (მფლობელობის უფლება).

21. სასამართლომ განმარტა, რომ სპეციალური კანონის 1<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობისათვის, როგორც ზოგადად მფლობელობისათვის, გან-მსაზღვრელია მფლობელის ნებითი მომენტი, სურვილი, იყოს ნივთის მფლობელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს მას. მფლობელობის იურიდიული ბუნება არ გულისხმობს ნივ-თან მხოლოდ ფიზიკურ შემხებლობას. აღნიშნული კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარგებლე, როგორც კეთილსინ-დისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავი-სუფალია და ნივთის აუცილებლად პირადად სარგებლობით შეზ-ლუდული არ არის. ფაქტი, რომ სადავო ფართის მფლობელობა მოსარგებლემ შეწყვიტა და ცხოვრება სხვა მისამართზე განაგ-რდო, ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს მფლობელობის შეწ-ყვეტას, თუკი დადგინდება, რომ მან სარგებლობის უფლება რა-იმესაფუძვლით გადასცა სხვას (მაგ. ქირავნობა) ან ოჯახის ერთ-ერთ წევრს, ეს ქმედება უფლების მართლზომიერად გამოყენე-ბას და ამავე უფლების სურვილისამებრ რეალიზაციას ამტკი-ცებს.

22. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადავო საც-ხოვრებელ ფართში მოპასუხის ცხოვრების საფუძვლად ამ უკა-ნასკნელის მიერ მოსარჩელის ძმისათვის 2500 დოლარის სეს-

ხად მიცემის თაობაზე მიუთითებდა და აღნიშნავდა, რომ მოპასუხეს ბინაში ცხოვრების უფლება სესხად გაცემული თანხის დაბრუნებამდე გაჩნდა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოპასუხეს წარდგენილი მტკიცებულებით დგინდებოდა, რომ მოპასუხემ მოსარჩელის ძმის ცოლისაგან საკუთარი სახლის შეძენისათვის შეთანხმებული გადასახადი – 3000 აშშ დოლარი მიიღო, ამ შეთანხმებას საკუთარი ხელმოწერით ადასტურებდა მოსარჩელის ძმა.

23. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელწერილის გაფორმების შემდეგ, 1999 წლიდან მოპასუხე ოჯახთან ერთად ცხოვრობს სადაც საცხოვრებელ ფართში, სარჩელის აღძვრამდე სადაც ფართთან მიმართებით მისი უფლება შეცილებული არ ყოფილა. 1999 წლის შემდეგ მოსარჩელის ძმას არასდროს გამოივლენია მოპასუხესითვის თანხის დაბრუნების და სანაცვლოდ სადაც საცხოვრებელ ფართზე სარგებლობის უფლების აღდგენის ნება; თანხის დაბრუნების მცდელობა, თავის მხრივ, არც მოპასუხეს ჰქონია. ამდენად, ხელწერილში გამოივლენილი ნების გონივრული განსჯის შედეგად (სსკ-ის 52-ე მუხლი), არ დგინდებოდა, რომ ხელმომწერ მხარეებს შორის ჩამოყალიბდა სასესხო ურთიერთობა და მოპასუხეს თანხის დაბრუნებამდე დროებით მიეცა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება. სასამართლომ ისიც მიუთითა, რომ მოსარჩელს არც იმ ფაქტზე მიუთითებია, რაც 14 წლის განმავლობაში მის მიერ სადაც სადგომის არაპირდაპირ მფლობელობას დაადასტურებდა.

24. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, ხელწერილის გაფორმების შემდეგ, მოვლენათა განვითარება ადასტურებდა ხელწერილის ხელმომწერი ჰირების გამოვლენილი ნების თანხვედრას მათ შინაგან ნებასთან, კერძოდ, თანხის მიღების სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის/სარგებლობის უფლების დათმობის/გაყიდვის შესახებ, რადგან, 14 წლის მანძილზე მხარეებს არც ერთხელ არ ჰქონიათ არსებული სამართალურთიერთობის შეცვლის მცდელობა.

25. სასამართლომ განმარტა, რომ მატერიალურ სამართალში ურთიერთობის მონაწილე – კონტრაპენტის ამა თუ იმ საფუძვლით ურთიერთობიდან გასვლა იწვევს ამ ურთიერთობაში უფლებამონაცვლის ჩართვას და მისთვის იმ უფლება-მოვალეობათა გადაცემას, რაც თავდაპირველ სამართალსუბიექტს გააჩნდა. ზოგადად, სამოქალაქო სამართალში ორი სახის უფლებამონაცვლეობა გვაქვს: პირველი – უნივერსალური ანუ ზოგადი უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლები გა-

დადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა (მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვ.) და მეორე – სინგულარული (კერძო) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლებზე გადადის მხოლოდ (კალკეული უფლება (მოთხოვნის დათმობა). ორივე შემთხვევაში, უფლებამონაცვლეობის ფარგლები იმისდა მიხედვით დგინდება, თუ რა სახის უფლებამონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამასთან, უფლებამონაცვლე უფლებებსა და მოვალეობებს იმ ფარგლებში იძენს, რა ფარგლებშიც იგი მის წინამორბედთან იყო. უფლებამონაცვლეობის ფარგლების შეზღუდვა, განსაკუთრებით ადრე არსებული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების ფარგლებში, მხოლოდ უფლებამონაცვლის ნებაზე ან მასსა და მის წინამორბედს შორის შეთანხმებაზე არ არის დამოკიდებული, ვინაიდნა იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მესამე პირის ინტერესზე.

26. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის ძმამ, რომლის უფლებრივ წინამორბედსაც საცხოვრებელი სადგომი შეძენილი ჰქონდა მესაკუთრესთან ფორმის დაუცველად შედგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლება 3 000 დღოლარის სანაცვლოდ დაუთმო მოპასუხეს, 1999 წლის ხელწერილის ფარგლებში გამოვლენილი ნება, ფაქტობრივად, წარმოადგენს გარიგებას საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის თაობაზე. 1999 წლის ხელწერილის საფუძველზე, მოპასუხეზე გადავიდა ის უფლება-მოვალეობები, რაც სადავო საცხოვრებელ სადგომზე გააჩნდა თავდაპირველ მოსარგებლეს (მოსარჩელის პაპას), შემდეგ მის მემკვიდრეს (მოსარჩელის მამას) და ამ უკანასკნელის მემკვიდრეებს: მოსარჩელესა და მის ძმას (სსკ-ის 198-ე მუხლი).

27. სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნა, რომ მხარეთა შორის 1999 წლის აგვისტოს ოვეში დადებული გარიგების შესახებ ცნობილი იყო მოსარჩელისთვისაც და 14 წლის განმავლობაში ამ უკანასკნელის უმოქმედობა ადასტურებდა, რომ სადავო საცხოვრებელ სადგომზე სარგებლობის უფლება მასთან შეთანხმებით გასხვისდა, რის გამოც, მოსარჩელე არ წარმოადგენს სპეციალური კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ მოსარგებლეს.

28. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა სსკ-ის 156-ე მუხლზე: /მფლობელობა ითვლება შეწყვეტილად, თუ მფლობელი სამუდამოდ თმობს ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას/, რომლის მიხედვით, 1999 წლის აგვისტოდან მოსარჩელის მფლობელობის უფლება სადავო უძრავ

ნივთზე შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ, ხსენებულ ნივთზე ამ დროიდან პირდაპირ მფლობელობას მოპასუხე ახორციელებს, ხოლო მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რითაც სადაც უძრავ ნივთზე მის არაპირდაპირ მფლობელობას დაადასტურებდა (მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების სადაც საცხოვრებელ ფართში განთავსება, კომუნიკაციები გადასახადების გადახდა, სადგომის გასაღების ფლობა და ა.შ.).

29. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება, მისი შეცვლა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

29.1. გასაჩივრებული განჩინება უკანონოა და იურიდიულად დაუსაბუთებელი. მხოლოდ იმის გამო, რომ მოსარჩელე საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლომ მას ჩამოართვა კანონიერი სარგებლობის უფლება;

29.2. გასაჩივრებული განჩინება ენინაალმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრატიკას (№ას-341-660-09, 25.07.2009წ.), რომლის მიხედვით, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, მოსარგებლები შესაძლებელია არ ცხოვრობდეს სადაც საცხოვრებელ სადგომში გარკვეული ჰერიონიდი და ამ ხნის განმავლობაში არ იხდიდეს კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს, რომ მან მიატოვა სადგომით სარგებლობის უფლება. ამ შემთხვევაში უნდა დასტურდებოდეს სადაც საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის მიტოვების ნება;

29.3. სასამართლომ არ იმსჯელა და არ შეაფასა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოპასუხე დღემდეა რეგისტრირებული სადაც საცხოვრებელ სადგომში, მოპასუხე კი არ არის რეგისტრირებული, ამ უკანასკნელს არ წარუდგენია გადასახადის გადახდის ქვითობები. სასამართლომ უპასუხოდ დატოვა კითხვები მოპასუხე თავდაპირველი მესაკუთრის უფლებამონაცვლეა თუ არა; რატომ მიიჩნია სარგებლობის უფლება ხანდაზმულად და მოსარჩელის უმოქმედობა სარგებლობის უფლების გასხვისებაზე თანხმობად. რა უფლება ჰქონდა მოსარჩელის ძმას, სხვისთვის დაეთმო მისი მფლობელობის უფლება. მარტოდენ ის ფაქტი, რომ მოსარჩელე 14 წლის განმავლობაში არ სარგებლობდა საცხოვრებელი სადგომით, არ ადასტურებს მის თანხმობას ქონების გასხვისებაზე; სასამართლოს არ უნდა გაევრცელებინა სადაც ურთიერთობაზე სპეციალური კანონი.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2016 წლის 20 ივნისის განჩინებით, წარმოებაში

მიიღო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივარის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია, შემდეგი არგუმენტაციით:

31. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

32. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

33. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ №ას-1000-957-2013, 11.06.2015 წ.).

34. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

35. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებიც რომ ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების

პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საგალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელეს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

36. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელის პაპასა და თავდაპირველ მესაკუთრეს შორის, 1955 წელს დადგებული ფორმადაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სპეციალური კანონით განსაზღვრული ურთიერთობა წარმოიშვა, რომლის საფუძველზეც მოსარჩელის პაპა ფლობდა სადაც უძრავ ქონებას. მოსარჩელემ და მისმა ძმამ შემკვიდრეობით მიიღეს სადაც საცხოვრებელი სადგომით ფლობის უფლება მამისგან, რომელსაც თავის მხრივ, ეს უფლება თავდაპირველი მოსარგებლისგან ჰქონდა მიღებული. (იხ. წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტები, სსკ-ის 157-ე, 1328-ე მუხლები). ასევე, დადგენილი ფაქტია, რომ მოსარჩელის ძმამ 1999 წელს აღნიშნულ ფართის ფლობის უფლება მოპასუხეს მიჰყიდა (სსკ-ის 152, 477-ე მუხლები).

37. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კვლევის საგანია შეწყდა თუ არა მოსარჩელის მფლობელობა სადაც ფართზე, ძირითადად, სწორედ აღნიშნულ საკითხს უკავშირდება მოსარჩელის საკასაციო პრეტენზია.

38. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მფლობელის ფაქტია, რომელიც წივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებით მოპოვებაში გამოიხატება (სსკ-ის 155.1.-ე მუხლი). მფლობელობის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, კანონი ითვალისწინებს, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ მფლობელობას (სსკ-ის 155.3.-ე მუხლი). სსკ-ის 156-ე მუხლის შესაბამისად, მფლობელობა ითვლება შეწყვეტილად, თუ მფლობელი სამუდამოდ თმობს ნივთს ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, საცხოვრებელ სადგომში მხოლოდ გარკვეული პერიოდის მანძილზე არყოფნა და ამ პერიოდში გადასახადების გადაუხდელობის ფაქტი არ არის საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის მიტოვების საფუძველი, თუ სხვა მტკიცებულებებით დასტურდება არაპირდაპირი მფლობელის მიერ მფლობელობის ნების არსებობა (იხ. სუსგ №ას-1043-978-2012, 04.03.2014 წელი).

40. საკასაციო სასამართლო ვერგაზიარებს კასატორის პრეტენზიას (იხ. ამ განჩინების 28.1 ქვეპუნქტი), რომ სასამართლომ მხოლოდ იმის გამო ჩამოართვა მას კანონიერი სარგებლობის უფლება, რომ საზღვარგარეთ ცხოვრობდა. სააპელაციო სასამართლომ საზღვარგარეთ მოსარჩელის ხანგრძლივი ყოფნა მიიჩნია იმ ფაქტად, რომლითაც სხვა გარემოებებთან ერთად, დასტურდება სადაცო სადგომზე მფლობელობის მიტოვების ნება. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მფლობელობად მიიჩნევა საცხოვრებელი ფართის ფლობა, რაც შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოსარგებლის მიერ ნივთით უშუალოდ სარგებლობითა და ფლობით, ასევე მოსარგებლის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების საცხოვრებელ ფართში განთავსებით“ (იხ. სუსგ №ას-1665-1653-2011, 28 თებერვალი, 2012 წელი).

41. „საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობისათვის, როგორც ზოგადად მფლობელობისათვის, განმსაზღვრელია მფლობელის ნებითი მომენტი, სურვილი, იყოს ნივთის მფლობელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს მას. მფლობელობის იურიდიული ბუნება არ გულისხმობს ნივთან მხოლოდ ფიზიკურ შემხებლობას. კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარგებლე, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავისუფალია და ნივთის აუცილებლად პირადად სარგებლობით შეზღუდული არ არის. მოსარგებლე შესაძლებელია, არ ცხოვრობდეს სადაცო საცხოვრებელ სადგომში გარკვეული პერიოდი და, აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის განმავლობაში არ იხდიდეს კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან მიატოვა სადაცო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება“ (იხ. სუსგ №ას-1043-978-2012, 4 მარტი, 2014 წელი). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სადგომის არაპირდაპირი მფლობელობის განმსაზღვრელი ზემოაღნიშნული ელემენტები სადაცო (იხ. ამ განჩინების 28-ე პუნქტი) და საქმეში არა წარმოდგენილი

შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მო-  
სარჩელის მიერ სადაც სადგომის თუნდაც არაპირდაპირ  
მფლობელობას. საქმის მასალებით უდავოა, რომ მიუხედავად  
პერიოდულად საქართველოში ჩამოსვლისა, მოსარჩელეს შეცი-  
ლებაც კი არ განუცხადებია ძმის ან მოპასუხის მიმართ, ამ უკა-  
ნასკნელის მიერ სადაც ქონების ფლობის ფაქტზე. მოსარჩე-  
ლე არ უარყოფს და არ აპროტესტებს 1999 წლის აგვისტოს შე-  
თანხმების განმარტებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასა-  
მართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. ამ განჩინების 26-ე  
პუნქტი), ისევე, როგორც არ უარყოფს მოპასუხის მიერ 1999  
წლიდან ქონების უწყვეტად ფლობის ფაქტს და იმ გარემოებას,  
რომ მისთვის ცნობილი იყო ამ ფაქტის თაობაზე და არ განმარ-  
ტავს, 14 წლის მანძილზე მოპასუხესთან შეცილების განუცხა-  
დებლობის (უმოქმედობის) მიზეზებს.

42. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს  
ქვემდგომ სასამართლოებში არ წარუდგენია მტკიცებულებე-  
ბი, რომლითაც სადაც ქონებაზე თავის არაპირდაპირ მფლო-  
ბელობას დაადასტურებდა, ხოლო საკასაციო სასამართლოში  
იმგვარი დასაბუთებული შედავება, რაც გასაჩივრებული გან-  
ჩინებით დადგენილი გარემოებების უსწორობას დაადგენდა არ  
არის წარმოდგენილი.

43. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გან-  
ჩინების მსჯელობასა და დასკვნებს, რომ მოსარგებლის უფ-  
ლების დათმობა მოხდა (იხ. 25-26 პუნქტები) და მიაჩნია, მო-  
სარჩელემ იცოდა, რომ სადაც ბინა გასხვისდა და მას სხვა პი-  
რები ფლობდნენ, მაგრამ ამასთან დაკავშირებით პრეტენზია  
არ ჰქონია. აღნიშნული კი უპირობოდ ადასტურებს მის მიერ ნივ-  
თის მფლობელობის მიტოვებისა და შესაბამისად მფლობელო-  
ბის შეწყვეტის ნებას.

44. ზემოხსენებული მოტივაციით, როგორც ფაქტობრივად,  
ასევე სამართლებრივად, დაუსაბუთებელია სადაც საცხოვრე-  
ბელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ  
მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის კომპენსაციის მოთხოვნა,  
რაც საკასაციო საჩივრის დაუსაბუთებლობაზე და არსებითი  
განხილვისათვის მის დაუშვებლობაზე მიუთითებს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე,  
408.3-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საპირელო

საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლე .....	3; 8; 14; 25
მოსარგებლის მიერ სადგომზე	
საკუთრების უფლებას მოპოვება .....	32
მესაკუთრის მოთხოვნით მოსარგებლის მიერ საცხოვრებელ	
სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა .....	44
მესაკუთრის მოთხოვნით მოსარგებლის მიერ	
საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა .....	52
მოსარგებლის მიერ სადგომზე	
საკუთრების უფლებას მოპოვება .....	52; 68; 78; 88
საცხოვრებელი სადგომის გაუმჯობესების	
ლირებულების ანაზღაურება .....	103; 117
კომპენსაცია ადმინისტრაციული წესით მიღებული	
მფლობელობის შეწყვეტისათვის .....	123; 136; 143; 149
სადგომზე მფლობელობის მიტოვება .....	156

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 299 04 18  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)